# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 10 მარტი 2000 №44 (1066) | ფასი 50 თეთრი


## 3 პრეზიდენტი ბათუმში

ასლან აბაშიძე მერაბ ჟორდანიას უმასპინძლებს, ბათუმი — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს



მერაბ ჟორდანია და დანიელი . მწვრთნელი მორტენ ოლსენი (მარჯვნივ) ბათუმში საქართველო — მოლდოვას სამი წლის წინანდელი მატჩისას

## 6 ქარსა და სუნში კონკორდის ქვეშ

ფრანკ ლებეფი „ჩელსიში“ ყოფნით უკმაყოფილოა

## 6 ალო, რონალდო ხარ?

ბრაზილიელმა ვარსკვლავმა ქვეყნის ნაკრების მწვრთნელთან სატელეფონო საუბარი იუარა

## 10 ფორმულა სიკვდილს ებრძვის



UEFA CUP

# იტალიას ჩქმა შემოაცვდა




REUTERS ფოტოები

უეფას თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩებში ერთი უცნაურობა მოხდა: ოთხივე იტალიურმა კლუბმა ერთბაშად წაიკრა ფეხი და ტურნირს დაეთხოვა. 90-იან წლებს ასეთი რამ არ ახსოვს. ერთ-ერთი მთავარი ფავორიტის, ტურინის „იუვენტუსის“ ესპანურ „სელტასთან 0:4 მარცხი გასაკვირიც კი იყო. ფოტოზეც მეოთხეგოლგაშვებულ იუვენტუსელებს ხედავთ — ედვინ ვან დერ სარი, ზორან მირკოვიჩი, ალესანდრო დელ პიერო და ჩირო ფერარა ესოდენ შერცხვენას გაუოგნებია.

იხილეთ მეორე გვერდი

# ექვსი ა და ორი ბ

საქართველოს თასის მეოთხედფინალში მხოლოდ პირველლიგელებმა გააღწიეს: გუშინ „დინამომ“ „გურია“, გუშინწინ კი „ტორპედომ“ „აკადემია“, „დილამ“ „ზოოვეტი“, „სამგურალმა“ „მარგვეთი“ იმსხვერპლეს. კიდევ ოთხი მეოთხედფინალისტი კი პირველლიგელთა შორის გამოვლინდა: პირველი მატჩების მერე გაჩენილ კითხვებს „კოლხეთმა“, „ბათუმმა“ „ვიტ ჯორჯიამ“ და „ლოკომოტივმა“ დამაჯერებლად უპასუხეს. ორადორი ვუნდი შერჩა საქართველოს თასს პირველი ლიგის „ბ“ ზონიდან: ერთი შარშანდელი ფინალისტი „სამგურალია“, მეორე კი წლევანდელი გათამაშების ფავორიტად მიჩნეული რევაზ ძოძუაშვილის „ლოკომოტივი“

იხილეთ მესამე გვერდი



ბადრი კიტიაშვილის ფოტო

„თბილისი“ — „ლოკომოტივი“ 0:1. ლოკომოტიველი ივანე ჯუღელი (№18) და თბილისელი თენგიზ ენუქიძე

## საქართველოს თასი
საპასუხო მატჩები
მერვედფინალი

9 მარტი, ხუთშაბათი

| | |
|---|---|
| გურია | 0 (0) |
| დინამო | 3 (6) |

8 მარტი, ოთხშაბათი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 2 (5) |
| აკადემია | 0 (0) |
| თბილისი | 0 (1) |
| ლოკომოტივი | 1 (1) |
| ზოოვეტი | 1 (0) |
| დილა | 2 (3) |
| მერანი | 0 (0) |
| კოლხეთი | 0 (1) |
| თსუ | 1 (1) |
| ვიტ ჯორჯია | 5 (1) |
| სამგურალი | 2 (2) |
| მარგვეთი | 2 (0) |
| გორდა | 1 (0) |
| ბათუმი | 1 (2) |

ფრჩხილებში პირველი მატჩის ანგარიში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი. მერვედფინალი
მეორე წრე. 9 მარტი
UEFA CUP

**ლიდსი (ინგლისი) 1:0 რომა (იტალია) (0:0)**
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, ჰაალანდი, რადებე, ჰარტი, მაკფეილი (ჰაკერბი 89), ბოიერი, უილკოქსი, ბაკე (ჯონსი 83), კიუელი, ბრიჯისი (სმიტი 81)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
რომა: ანტონიოლი, მანგონე, ალდაირი, ძაგო, რინალდი, ტომაზი, ნაკატა (დი ფრანჩესკო 69), კანდელა, ტოტი, დელვეკიო, მონტელა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ტოტი, კანდელა, ბრიჯისი, დელვეკიო, ჰაალანდი, ძაგო, სმიტი
გაძევება: კანდელა (90), ძაგო (90)
მსაჯი: ხოსე მარია გარსია არანდა (ესპანეთი)
39 149 მაყურებელი

**გალათასარაი (თურქეთი) 0:0 დორტმუნდი (გერმანია) (2:0)**
გალათასარაი: ტაფარელი, კაპონე, დავალა უმითი, ბიულენთი, პოპესკუ, ჰაჯი (დოს სანტოსი 88), ბელოზოღლუ, სუათი (აჰმეთი 86), ერგუნი, ჰაქან შუქური, არიფი (ჰასან სასი 81)
მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, ა. ნიეგუსი, სტევიჩი (ბუგრი 62), კოლერი, ფაიერზინგერი, ჯ. რეინა (ტანკო 72), კაპეტანოვიჩი (დედე 45), რიკენი, ბობიჩი, ჰერლიხი
მწვრთნელი: ბერნდ კრაუსი
გაფრთხილება: კაპეტანოვიჩი, ერგუნი, ჰერლიხი, ვიორნსი
მსაჯი: ჩეზარე გრაციანო (იტალია)
25 000 მაყურებელი

**ლანსი (საფრანგეთი) 4:2 ატლეტიკო (ესპანეთი) (2:2)**
1:0 ნუმა (28), 2:0 სახო (38), 2:1 ჰასელბაინკი (45), 3:1 ნუმა (53), 3:2 კიკო ნარვაესი (64), 4:2 ბრუნელი (71)
ლანსი: ვარმუზი, კუენდრუ, პიერ-ფანფანი, ისმაელი, სიკორა, კორიდონი (ლაშორი 83), ბლანშარი, დაკურტი, ბრუნელი, ნუმა (როდრიგესი 85), სახო (მორეირა 72)
მწვრთნელები: ფრანსუა ბრისონი, დიდიე სენაკი
ატლეტიკო: მოლინა, ს. აიალა, გამარა, ზ. ნიეგუსი, კაპდევილა, ბეიბლი, სოლარი (კიკო ნარვაესი 46), აგილერა, ვალერონი (უგო რიბეირო 81), ჰასელბაინკი, რობერტო (კორეა 69)
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაძევება: კიკო ნარვაესი (90)
მსაჯი: ნიკოლაი ლევნიკოვი (რუსეთი)
40 000 მაყურებელი

**სელტა (ესპანეთი) 4:0 იუვენტუსი (იტალია) (0:1)**
1:0 მაკელელე (1), 2:0 ბირინდელი (33ს.კ.), 3:0, 4:0 ბენი მაკკარტი (46, 70)
სელტა: პინტო, სელადესი, კასერესი, სერხიო, ხუანფრანი, მაკელელე (რევივო 56), კარპინი, ჯოვანელა, მოსტოვოი, გუსტავო ლოპესი (ტომასი 76), ბენი მაკკარტი (მაზინიო 81)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა (ტუდორი 79), მირკოვიჩი, მონტერო, ბირინდელი, კონტე, ძამბროტა (იულიანო 63), ტაკინარდი, დავიდსი, დელ პიერო, კოვაჩევიჩი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: კონტე
გაძევება: კონტე (27), მონტერო (45)
მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)
30 000 მაყურებელი

**დეპორტივო (ესპანეთი) 2:1 არსენალი (ინგლისი) (1:5)**
0:1 ანრი (63), 1:1 ვიქტორ სანჩესი (68), 2:1 ივან პერესი (90)
დეპორტივო: კოუბა, მანელი, მაურო სილვა, ნაიბეტი, რამისი, ფერნანდო (ივან პერესი 79), ხაიმე (ფრანი 64), სკალონი, მაკაი (ვიქტორ სანჩესი 56), პაულეტა, ტურუ ფლორესი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
არსენალი: ხიმენი, დიქსონი, უინტერბერნი (ვერნაძა 83), ლუენი, სილვინიო, ლიუნგბერგი, პეტი, ვიეირა, პარლოუ, კანუ (მალცი 81), ანრი (შუკერი 78)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ანრი, დიქსონი
მსაჯი: ოგიუზ სარვანი (თურქეთი)
20 000 მაყურებელი

**მონაკო (საფრანგეთი) 1:0 მალიორკა (ესპანეთი) (1:4)**
1:0 სიმონე (33)
მონაკო: ბარტეზი, კონტრერასი (რიისე 63), კრისტენვალი, ჯეტუ, ლეონარი (პრსო 84), და კოსტა, ლამუში, გალიარდო, ჟიული (ნდიაე 68), სიმონე, ტრეზეგე
მწვრთნელი: კლოდ პიუელი
მალიორკა: ლეო ფრანკო, არმანდო, მიგელ სოლერი, სივიერო, ნადალი, ოლაიზოლა, ლორენი, ენგონგა (ფერნანდო ნინიო 72), ჩიჩი სოლერი, დიეგო ტრისტანი (კარერასი 89), კარლოსი (იბაგასა 71)
მწვრთნელი: მარიო გომესი
გაფრთხილება: ენგონგა, გალიარდო, კარლოსი, ტრეზეგე
გაძევება: გალიარდო (53)
მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)
10 000 მაყურებელი

**ვერდერი (გერმანია) 3:1 პარმა (იტალია) (0:1)**
1:0 დაბროვსკი (29), 1:1 სტანიჩი (32), 2:1 ბოდე (45), 3:1 კანავარო (66ს.კ.)
ვერდერი: ფ. როსტი, დაბროვსკი, ბარტენი, ფ. ბაუმანი, ვიდნერი, ფრინგსი, აილტსი, ა. ჰერცოგი (ბოგდანოვიჩი 82), ბოდე (მაქსიმოვი 71), აილტონი (შირენბეკი 90), პიზარო
მწვრთნელი: თომას შააფი
პარმა: ბუფონი, სარტორი, ტურამი, კანავარო, ფუზერი (ბენარივო 73), პაულო სოუზა (დი ვაიო 69), დ. ბაჯო, ვანოლი, ორტეგა (დაბო 46), კრესპო, სტანიჩი
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
გაფრთხილება: ფუზერი, სარტორი, როსტი, ვიდნერი
მსაჯი: რიხარდ ვოიჩიკი (პოლონეთი)
30 500 მაყურებელი

## უეფას თასი. მეოთხედფინალი
პირველი წრე — 16 მარტი; მეორე წრე — 23 მარტი
UEFA CUP

მალიორკა (ესპანეთი) — გალათასარაი (თურქეთი)
არსენალი (ინგლისი) — ვერდერი (გერმანია)
სელტა (ესპანეთი) — ლანსი (საფრანგეთი)
ლიდსი (ინგლისი) — სლავია (ჩეხეთი)

# ოლიმპიაშტადიონი, 89-ე წუთი

მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონი". მასპინძლები მეტოქეს დიდი ანგარიშით ამარცხებენ. 89-ე წუთზე მოედნის გვერდით ხაზთან პატრიკ ანდერსონი მიდის. ოტმარ ჰიცფელდის გადაწყვეტილებით, მან ლოთარ მათეუსი უნდა შეცვალოს. მათეუსი გასვლას არ ჩქარობს. მოწინააღმდეგე, წასაგებად განწირული გუნდის მოთამაშეებიც პროტესტს არ გამოთქვამენ... გერმანია და საერთოდ მთელი ევროპა ლოთარ მათეუსს ამერიკაში აცილებდა.

„უაღრესად ამაღელვებელი საღამო იყო — თქვა ვეტერანმა ლიბერომ — ამაზე უკეთეს გაცილებას ვერც წარმოვიდგენდი". ოტმარ ჰიცფელდმა კი დაუმატა: „ასეთი პატივისცემა ლოთარმა ნამდვილად დაიმსახურა. ის უდიდესი სპორტსმენია და მისი ღვაწლი „ბაიერნის" და გერმანული ფეხბურთის წინაშე ფასდაუდებელია".

ლოთარ მათეუსმა თითქმის ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა. მხოლოდ ჩემპიონთა თასის ალმართვა არ ეღირსა. არადა, წინა წელს რა ახლოს იყო მიზანთან. „ბაიერნს" ორი წუთიც უნდა გაეძლო...

მადრიდის „რეალის" ორჯერ ძლევამ (თანაც როგორ!) დაგვარწმუნა, რომ „ბაიერნი" ჩინებულ ფორმაშია და ეგებ ჩემპიონთა თასი არც ისე შორსაა. ეს თუ მოხდა, ლოთარ მათეუსიც მეგობრების გვერდით იქნება. „დარწმუნებული ვარ, „ბაიერნი" ფინალში გავა. მე კი აუცილებლად ჩამოვალ ამერიკიდან და გუნდს ტრიბუნიდან ვუქომაგებ" — თქვა მან.

იქამდე მათეუსს ნიუ იორკის „მეტროსტარზი" ელის. იგი ამერიკაში დღეს მიემგზავრება.

**გიორგი დარჯანია**

### ლოთარ მათეუსი



დაიბადა 1961 წლის 21 მარტს ერლანგენში, გერმანია
1979: დაიწყო საფეხბურთო კარიერა მიონხენგლადბახის „ბორუსიაში"
1980: ჰოლანდიის წინააღმდეგ პირველად ითამაშა გერმანიის ნაკრებში
1984: გადავიდა მიუნხენის „ბაიერნში"
1988: დატოვა „ბაიერნი" და წავიდა იტალიურ „ინტერში"
1990: მისი კაპიტნობით გერმანია გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. იმავე წელს დაასახელეს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად
1992: დაბრუნდა მიუნხენის „ბაიერნში"
2000: 23 თებერვალს ჰოლანდიასთან ამხანაგურ მატჩში 144-ედ ითამაშა ნაკრებში, რითაც დაამყარა მსოფლიოს ახალი რეკორდი
4 მარტს გამართა ბოლო შეხვედრა ბუნდესლიგაში, „შტუტგარტის" წინააღმდეგ
8 მარტს ბოლოჯერ გამოჩნდა „ბაიერნის" რიგებში, მადრიდის „რეალის" წინააღმდეგ
გერმანიის ჩემპიონი: 1985, 1987, 1994, 1997, 1999
გერმანიის თასი: 1986, 1998
იტალიის ჩემპიონი: 1989
ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალისტი: 1987, 1999
უეფას თასი: 1991
ევროპის ჩემპიონი: 1980 (ფინალში არ უთამაშია)
მსოფლიოს ჩემპიონი: 1990
ერთადერთი ფეხბურთელი ევროპაში, რომელმაც მსოფლიოს ხუთ ჩემპიონატში (1982, 1986, 1990, 1994, 1998) ითამაშა.



REUTERS
„ბაიერნის" მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი მადრიდის „რეალთან" თამაშის შემდეგ ლოთარ მათეუსს ემშვიდობება

# შიდზლონი

ბოლო ორი დღეა, ბარსელონელი ლუის ენრიკე ორჯერ ვახსენეთ. თავდაპირველი ინფორმაციით, „პორტუსთან" პირველ მატჩში მუხლნატკენი ფეხბურთელი ორ-სამ კვირაში ჩადგებოდა მწყობრში. გუშინდელი ცნობა უფრო სამწუხარო გახლდათ. მისთვის ართოსკოპიული ოპერაცია ჩაუტარებიათ და მკურნალმა ექიმმა თქვა, თუ ლუის ენრიკე აღდგენის პერიოდს მაქსიმალური სიფრთხილით მოეკიდება, მაშინ მომავალი სეზონის დასაწყისისთვის გამოჯანმრთელდებაო. იქამდე კი მეტად დიდი დროა — „ბარსელონას" ქვეყნის ჩემპიონატი აქვს ჩასამთავრებელი, ხოლო ესპანეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე იბრძოლებს. ვფიქრობთ, უინტერესო არ უნდა იყოს, რას ფიქრობს თავად ფეხბურთელი. „ოპერაციის შემდეგ თავს ჩინებულად ვგრძნობ — უთქვამს ლუის ენრიკეს — შეიძლებოდა, ქირურგიული ჩარევა გადაგვედო და ევროპის ჩემპიონატზე თამაში მეცადა, მაგრამ ეს გაუმართლებელი რისკი იქნებოდა. ცხადია, გული მწყდება, რომ ბელგია-ჰოლანდიაში ვერ წავალ. თუმც ესპანეთში უამრავი ფეხბურთელია, რომლებიც ქვეყნის ღირსების დაცვას შეძლებენ. ამიტომ ჩემი არყოფნა დიდი დანაკლისი არ იქნება".

კიდევ ერთ ტრავმირებულ ფეხბურთელზე ვთქვათ. თუ ლუის ენრიკე ახლახან დაშავდა, მადრიდის „რეალის" მეკარე ბოდო ილგნერს კარგა ხანია, მოედანზე ველარ ვხედავთ. გერმანელს მხარი ამოუვარდა და რამდენიმეთვიანი შესვენების შემდეგ ვარჯიში სამი კვირის წინ განაახლა. მაგრამ კაცს რომ უიღბლობა დაებედება... ორშაბათს ვარჯიშის დროს ილგნერი გადახტა, ბურთს შესწვდა და კვლავ მხარი ამოიგდო. ექიმები ამბობენ, ხელახალი მკურნალობა ოთხ კვირას გასტანს და აპრილის ბოლოსღა თუ შეძლებს ხელთათმანების მორგებასო. როგორც ჩანს, გერმანიის ნაკრების ყოფილ წევრს და 1998 წლის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულს დიდ ფეხბურთში მომავალ სეზონამდე არ უნდა ველოდოთ.

უიღბლოთა მარაქაში ნიკოლა ანელკაც უნდა გავურიოთ. არა, მან ტრავმა უკვე მოიშუშა, მაგრამ მის თამაშს რომ უყურებ, ფიქრობ, სჯობს დაშავებული იყოს, არ გალანძღავდნენ მაინცო. „რეალში" დიდი ზარ-ზეიმით გადაყვანილ თავდამსხმელს, გოლების გატანას ვინ ჩივის, ხეირიანი მომენტიც არ შეუქმნია. ერთი ეგ იყო, „ბარსასთან" მატჩში ბურთი მიუგორდა და ახლო მანძილიდან კარს არ ააცილა.

და როგორ გგონიათ, რა პასუხი გასცა ანელკამ „ფრანს ფუტბოლის" კორესპონდენტს კითხვაზე: „რომელ ქვეყანაში უფრო ძლიერი ჩემპიონატი იმართება, საფრანგეთში, ინგლისში თუ ესპანეთში?" ანელკამ უპასუხა: „რა თქმა უნდა, ესპანეთში".

ამ მოსაზრებას შეიძლება დაეთანხმო, შეიძლება არა. თავად ფეხბურთელი კი ასე ხსნის: „ესპანელი მცველები ყველაზე სწრაფები და ტექნიკურები არიან. ბურთისართმევის უამრავი ხერხიც იციან". კი მაგრამ, სალვა ბალესტას და ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს თუ ძალუძთ ესპანელი მცველებისთვის გვერდის ავლა, ანელკას რა ღმერთი უწყრება?

**გიორგი დარჯანია**



## საქართველოს თასი

## მეოთხედფინალი

*საპასუხო მატჩი*

# კოლხეთამდე

ლანჩხუთი
9 მარტი
15.30 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
300 (ტევადობა 22 000)

**გურია 0:3 დინამო**

პირველი მატჩი 0:6

0:1, 0:2 შენგელია (28, 42), 0:3 სახვაძე (48)
გურია: რ. ჩხაიძე, წილოსანი, განევი, მაჩიტიძე, ფირცხალაიშვილი, ს. ჩხაიძე (გ. ღლონტი 46), იმნაიშვილი (ნიკოლაიშვილი 75), ფაცურია, გ. ქიქავა, პატარაია, ტ. გოგოლაძე
დინამო: გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ი. ვაშაკიძე, დიდავა, ა. სახვაძე, გ. შენგელია, რუხაძე (ო. გველესიანი 46), სიჭინავა (წიტაიშვილი 46), გუჩუა (შაშიაშვილი 54), დათუაძე, ხუციშვილი
*სათადარიგო:* პ. ჯინჭარაძე
მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, მ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან

თუ ისტორიას გადავხედავთ, რაც ეროვნული თასი თამაშდება, ორად-ორჯერ აღმოჩნდა „დინამო" ფინალს მიღმა. აქედან ერთის შემოქმედი სწორედ „გურია" გახლდათ. ალბათ გემახსოვრებათ, პირველ გათამაშებაში გურულებმა ორი მატჩის ჯამში რომ სძლიეს ქვეყნის უცვლელ ჩემპიონს და საბოლოოდ პირველი თასის მფლობელებიც შეიქნენ. ეს ისე, უბრალოდ გავიხსენეთ, თორემ „დინამოს" ამ უსიამოვნო ფაქტის გასამეორების საფრთხე ამ ეტაპზე სულაც არ ჰქონია. თანაც ახლანდელი „გურიას" ამბიციები მაშინდელთან აბა, რა მოსატანია.

ულმობელია ჟამთა სვლა. ვინ იფიქრებდა, ასეთ ყოფაში თუ აღმოჩნდებოდა ჩვენი ქვეყნის თასის პირველი მფლობელი. უკვე რეგიონალური ლიგის ფსკერზე ჩაშვებულ გურულებს ჰორიზონტზე არარაფერი უჩანთ. კვლავაც უფულობა და უყურადღებობაა მათი თანამგზავრი. არადა, ელემენტარულ პირობებს ითხოვენ ბიჭები, მაგრამ არავინ არის მათი გამკითხავი.

პირველი შეხვედრის ფონზე უაზრობაა საპასუხო მატჩის მნიშვნელობაზე საუბარი. აქ უბრალოდ ერთი ნიუანსია აღსანიშნავი — წესით და რიგით, ეს შეხვედრა 8 მარტს უნდა შემდგარიყო, მაგრამ „დინამოს" თხოვნით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თამაშის ვადა ერთი დღით გვიან გადაწია. ამაში კი უდავოდ ფოთის „კოლხეთის" ფაქტორია გასათვალისწინებელი. კი მაგრამ, „კოლხეთი" რა შუაშიაო, იკითხავს მავანი. საქმეც სწორედ ეგაა. „დინამოს" შაბათს უპრინციპულესი თამაში ელის ფოთში. ეს სათასო მატჩიც „კოლხეთთან" დაპირისპირების ჭრილში უნდა განვიხილოთ.

ერთი სიტყვით, ახალგაზრდა გურულებთან შეხვედრა დინამოელებმა „კოლხეთთან" მატჩის სამზადისში შეიტანეს. ამიტომ ჩავთვალოთ, რომ გუშინ ერთგვარი ამხანაგური სპარინგ-მატჩი შედგა.

ნახევარი საათით გვიან დაწყებული თამაშის პერიპეტიებზე რა გითხრათ? „დინამო" კვლავაც იოლად რომ მოიგებდა, ამას დიდი სჯა-ბაასი არ სჭირდებოდა. ეს ასეც მოხდა, მაგრამ პირველი თამაშის დარად საწყის წუთებში მასპინძლებთან უმოტივაციოდ გარჯილ სტუმრებს დიდი არაფერი გამოსდიოდათ. უფრო მეტიც, პირველად „გურიას" უნდა გაეტანა, ტაიმის შუაწელისკენ გოჩა იმნაიშვილს გრიშიკაშვილისა და მცველების შეუთანხმებლობით რომ ესარგებლა და ცარიელი კარის ბადე გარედან არ შეერხია. ამ ეპიზოდმა „დინამო" გააღიზიანა და შედეგმაც არ დააყოვნა. ხუთიოდე წუთსაც არ გაევლო, არჩილ სახვაძემ მარცხენა ფლანგზე გაინავარდა და საჯარიმოში გიორგი შენგელიას თავზე დაასვა ბურთი, რომელმაც ჩხაიძე უშანსოდ დატოვა. შენგელიამ 42-ე წუთზეც შეძლო გატანა და ტაიმიც 2:0 მორჩა.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე „დინამომ" ანგარიშს სოლიდური სახე მისცა. კვლავაც სახვაძე გამოირჩა, ოღონდ ამჯერად ასისტენტობას მეგოლეობა შეუნაცვლა. დარჩენილ დროში ღირებული არარაფერი შექმნილა. „დინამომ" არ მოინდომა, თორემ ერთი ამდენსაც თავისუფლად გაიტანდა. თანაც „კოლხეთთან" თამაშამდე ძალებიც დაზოგა და სტადიონიდან პირდაპირ ყვავილნარს მიაშურა, სადაც ორ დღეს დაისვენებს და ხვალ ფოთს ესტუმრება. გუშინდელი თამაშის რა გითხრათ, შაბათს კი დიდი ბრძოლა იქნება ზღვისპირეთში.



დუბლის ავტორი გიორგი შენგელია (მარცხნივ)

# პრეზიდენტი ბათუმში

ხვალ ბათუმში საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპის მეორე ტურის ცენტრალური მატჩია — მასპინძლების მეტოქე ქუთაისის „ტორპედო" იქნება. ამ შეხვედრას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია დაესწრება, რომელიც ბათუმს დღეს უნდა გაემგზავროს. თამაშის შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტი აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ასლან აბაშიძეს შეხვდება. მათ ბევრი საკითხი აქვთ გადასაწყვეტი. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ფედერაციას რამდენიმე საერთაშორისო მატჩის ბათუმში ჩატარება განუზრახავს, აბაშიძე და ჟორდანია ამაზეც ილაპარაკებენ და ბათუმის სტადიონის კიდევ უფრო კეთილმოწყობაზეც.

ქობა ინასარიძე

# პატივისცემა სტუმრისა...



ათენში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ბერძენ თანატოლებს რომ ეთამაშებოდა, ერთი ამბავი მოხდა. მოკლედ მოგიყვებით.

მეორე ტაიმში, როცა ანგარიში 2:2 იყო, ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ფეხბურთელი ახლა „ვიტ ჯორჯიაში" მოთამაშე ლევან მელქაძემ შეცვალა. ერთიორი გაირბინა და მეტოქის მცველს ისე შეასკდა, გონი დაკარგა. ექიმებმა საკაცეზე წამოაწვინეს და მინდვრის განაპირას გაიყვანეს. დამთავრდა მატჩი, ფეხბურთელი ვერ წამოაყენეს. რამდენიმე კაცი ცდილობდა მის მოსულიერებას, მათგან ერთი სტადიონის თანამშრომელი. ჩვენ, ჟურნალისტები, პრესკონფერენციას დავესწარით, გასახდელებთან ფეხბურთელებსაც გამოველაპარაკეთ. მელქაძე არსად ჩანდა. თურმე ჩაბნელებულ არენაზე ისევ წამლობენ, აბა, წყალი, ნიშადური, მასაჟი... ბიჭს არაფერი შველის.

— სასწრაფო სად არის? — ჰკითხა ნაკრების ექიმმა იმ ბერძენს.

— იყო და წავიდა — უპასუხა ლიპიანმა.

— რას ჰქვია წავიდა?

— თამაში დამთავრდა და...

— ამ ბიჭის გაძრევა არ შეიძლება. ჩვენ რა ვქნათ? საავადმყოფოშია წასაყვანი — ამბობდა ქართველი.

— მე რაღა ვქნა? — მხრებს იჩეჩდა ბერძენი.

ფეხბურთელი როდის-როდის სასტუმროში გადაიყვანეს. მეორე დღეს ნაკრები შინ უნდა დაბრუნებულიყო. ითქვა, რომ ლევანი ათენში დაეტოვებინათ. საბოლოოდ ის მაინც წამოიყვანეს. თვეზე მეტ ხანს თბილისში მკურნალობდა. ახლა, საბედნიეროდ, ფეხბურთელი ბოლომდე გამოჯანმრთელდა.

და რატომ გავიხსენეთ ეს შემთხვევა? ზემოხსენებული თამაშის ბერძენ ორგანიზატორთა უყურადღებობაზე, უგულობაზე, საქმის უცოდინრობასა და არაპროფესიონალიზმზე რომ მეთქვა, იმიტომ.

სამწუხაროდ, ამ ფაქტის ანალოგიური შემთხვევები ხშირად ხდება. ყოფილა ჩვენთანაც, უცხოეთშიც.

საერთაშორისო მატჩებისას, მატჩამდე და შემდეგაც, მილიონია ისეთი დეტალი, რომელიმე გუნდის გულისწყრომას, აღშფოთებას რომ იწვევს, რისი გაუკეთებლობაც ხანდახან დანაშაულის ტოლფასიც კი არის. ამიტომაცაა საჭირო მასპინძლისა და სტუმრის უფლება-მოვალეობათა წინასწარ განსაზღვრა, შეთანხმება.

ქვემოთ იმ ოქმს გთავაზობთ, რომელსაც ბუქარესტში, მსოფლიოს ჩემპიონატის მე-8 შესარჩევი ჯგუფის კალენდარზე მოსალაპარაკებლად ჩასულმა გუნდების წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი. საქართველომ, იტალიამ, რუმინეთმა, ლიტვამ და უნგრეთმა ყველა ჩამოთვლილი პუნქტი ზუსტად უნდა შეასრულონ.

ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება იმის წაკითხვა, თუ რა ევალებათ შესარჩევი მატჩების ორგანიზატორებსა და ქვეყნის სტუმრებს.

იმედი ვიქონიოთ, რომ თავის საქმეს ხუთივე გუნდი შეთანხმებისამებრ გააკეთებს და, ბერძნებისგან განსხვავებით, სტუმარს უპატრონოდ არ დატოვებს.

მაშ ასე, დავიწყოთ:

- სტუმარი სასტუმროსა და მგზავრობის ხარჯებზეა პასუხისმგებელი, ორგანიზატორი ვალდებულია, მათი თხოვნის შემდეგ სასტუმროში ნომრების გარკვეული რაოდენობა დაჯავშნოს.
- ორგანიზატორი ვალდებულია, სტუმრებს აეროპორტში დაახვედროს ერთი ან ორი კომფორტაბელური ავტობუსი, ერთი ან ორი მსუბუქი ავტომანქანა, საჭიროების შემთხვევაში სატვირთო სატრანსპორტო საშუალებაც. უზრუნველყოს პოლიციის ესკორტი მატჩებისა და ვარჯიშების დროს. ტრანსპორტის ხარჯებს კისრულობს ორგანიზატორი. ისინი პასუხისმგებელნი არიან თარჯიმანის მომსახურეობაზე.
- სტუმარს უფლება აქვს, მატჩის წინა დღით ერთი საათი ივარჯიშოს იმ სტადიონზე, სადაც თამაშია დანიშნული. უამინდობის შემთხვევაში ფიფას წარმომადგენლები გადაწყვეტენ, შესაძლოა თუ არა ვარჯიში.
- თუ მეტოქე გუნდების მწვრთნელები ერთმანეთის მატჩებზე დასწრებას მოისურვებენ, მასპინძელი ფედერაცია ვალდებულია, სტუმარს გამოუყოს საუკეთესო ადგილი ტრიბუნაზე, თან აახლოს თავისი წარმომადგენელი. თუ სტუმარი მოისურვებს იმ სტადიონის ნახვას, სადაც მატჩი უნდა ჩატარდეს, ასევე სავარჯიშო მინდვრისა და სასტუმროს დათვალიერებას, ხარჯს თავად დაფარავს.
- ორგანიზატორმა სტუმარი გუნდის წარმომადგენლები უნდა დაპატიჟოს სადილზე ან ლანჩზე.
- ორგანიზატორს შეუძლია სტუმარს შესთავაზოს საჩუქრად ეროვნული სუვენირები. ასევე ნაირ-ნაირი სამკერდე ნიშნები.
- ორგანიზატორი ვალდებულია, გააკონტროლოს სტადიონის ჭიშკარი.
- მასპინძელმა სტუმრებს უნდა გამოუყოს მატჩზე დასასწრები შემდეგი სახის ბილეთები: 10 ცალი ვიპ-თა ლოჟის, 100 ცალი საუკეთესო ადგილზე მოსათავსებელი ბილეთი ეროვნული ნაკრებისთვის და 25-ახალგაზრდული ნაკრებისთვის, უფასოდ. ასევე სტუმარს შეუძლია თამაშამდე 30 დღით ადრე სთხოვოს გულშემატკივრებისთვის ბილეთები არაუმეტეს სტადიონის ტევადობის 10 პროცენტისა. გამოუყენებელი ბილეთების რაოდენობა სტუმარმა ორგანიზატორს უნდა აცნობოს მატჩამდე არაუგვიანეს 15 დღისა. ბილეთების ფასი სტუმარ-მასპინძლისთვის ერთნაირი უნდა იყოს.
- სტადიონზე რეკლამების განთავსება და სატელევიზიო უფლებები მთლიანად მასპინძელს ეკუთვნის.
- მატჩამდე 10 დღით ადრე მასპინძელმა უნდა იცოდეს სტუმართა ჟურნალისტების რიცხვი და შეძლებისდაგვარად ყველას მისცეს მატჩზე აკრედიტაცია.
- სტუმარმა მოთხოვნის შესაბამისად უნდა გააგზავნოს ინფორმაცია თავის გუნდზე — ფოტო, სტატისტიკა...
- ორგანიზატორი სტუმარს უნდა დაეხმაროს სავიზო-საპასპორტო პრობლემების მოგვარებაში.
- ყოველივე ზემოხსენებული ეხება 21-წლამდელთა ნაკრებებს.
- ახალგაზრდების თამაში შეიძლება ჩატარდეს ეროვნულ ნაკრებთა მატჩის წინადღით ან რამდენიმე საათით ადრე. სტადიონებს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 100 კილომეტრს, ან საათისა და თხუთმეტი წუთის სავალს.
- მოთხოვნის შესაბამისად, ფედერაციებმა ერთმანეთს უნდა გაუგზავნონ ამხანაგურ და შესარჩევ თამაშთა ვეჰაეს-ის ვიდეოკასეტა.
- ორი კვირით ადრე ფედერაციებმა ერთმანეთს უნდა აცნობონ ამხანაგური მატჩების ჩატარების ადგილი და დრო.

ოქმში ისიცაა აღნიშნული, თუ რა ფერის ფორმებით ითამაშებენ სტუმარ-მასპინძლები. საქართველოში უნგრელები სულ თეთრებში გამოეწყობიან, იტალიელები ტრადიციულ ცისფერთეთრ-ცისფრებს ჩაიცმევენ, ლიტველები — მთლიანად მწვანეებს, რუმინელები კი — ყვითლებს. გადაწყვეტილი მხოლოდ ის არაა, ჩვენები შინდისფერ-შავ-თეთრების როგორ კომბინაციას აირჩევენ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ „ლოტოსთან" კონტრაქტი ამ ოქმის შედგენის შემდეგ გააფორმა. სხვათა შორის, ჩვენი ნაკრები უახლოეს მატჩს ისრაელის ნაკრებთან 29 მარტს სწორედ „ლოტოთი" ჩაატარებს.

სასწრაფო დახმარება კი... ნუთუ ესაც შესათანხმებელია? ეს ბერძნების თანაჯგუფელებმა იკითხონ.

ქობა ინასარიძე

# ფიფა დაგვემუქრა

გუშინ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიოს ჩემპიონატების საორგანიზაციო კომიტეტმა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ევროპის VIII შესარჩევი ჯგუფის ქვეყნების საფეხბურთო ფედერაციებს ულტიმატუმი წაუყენა.

შეგახსენებთ, რომ ევროპის VIII შესარჩევ ჯგუფში იტალიასთან, რუმინეთთან, უნგრეთთან და ლიტვასთან ერთად საქართველოც მოხვდა. ამ ქვეყნების წარმომადგენლები 31 იანვარს ბუქარესტში შეიკრიბნენ და ვერ მოილაპარაკეს კალენდარზე. ევროპაში VIII ჯგუფი ერთადერთია, ვისაც კალენდარი ჯერაც არ შეუმუშავებია.

ბუქარესტის უშედეგო შეხვედრის შემდეგ საქმეში უეფა ჩაერია, თუმცა თებერვლის ბოლოს ამ ჯგუფის საქმეების გარკვევა ფიფამ მსოფლიოს ჩემპიონატების საორგანიზაციო კომიტეტს გადაულოცა.

კომიტეტმა გუშინდელი ულტიმატუმით კიდევ ერთი შანსი მისცა ჯგუფში მოხვედრილი ქვეყნების წარმომადგენლებს, თავად მიაღწიონ კონსენსუსს და შეიმუშავონ კალენდარი. ეს 13 მარტს ციურიხში უნდა მოხდეს, სადაც ფიფამ სპეციალურად დაიბარა ჯგუფის მონაწილე ფედერაციების წარმომადგენლები. თუ ბუქარესტის შეხვედრაზე საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი წარმოადგენდა, ციურიხში ქართველების ინტერესს ფედერაციის გენმდივანი ვალერი ჩოლარია დაიცავს.

იტალია, რუმინეთი, უნგრეთი, ლიტვა და საქართველო 13 მარტსაც თუ ვერ შეთანხმდნენ, მაშინ ფიფა იმუქრება, რომ თავად დაუდგენს ამ ჯგუფს „მეტად სპეციფიკურ კალენდარს“. რა იგულისხმება ამ მუქარაში, ძნელი სათქმელია.

ისე კი თავის დროზე არსებობდა უეფასეული ვარიანტი, რომლის მიხედვით 2 სექტემბერს საქართველო იტალიას სტუმრობდა, 7-ში კი უნგრეთს მასპინძლობდა. დავით ყიფიანმა კალენდრის იმ ვარიანტს „საქართველოსთვის ხელსაყრელი უწოდა“.

**სიმონ მენაბდე**

# დინამო — ანჩაბაძე — ალანია
## კავკასიური ცარცის წრე



ბადრი ქათამაძის ფოტო

გიორგი ანჩაბაძე

მოგეხსენებათ, კარგა ხანია ვლადიკავკაზის „ალანიამ“ და მისმა მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა თბილისის „დინამოს“ გამთამაშებელ გიორგი ანჩაბაძისადმი თავისი ინტერესი გამოამჟღავნეს. ვლადიკავკაზური კლუბის მოწადინებამ და წინადადებამ თავად ფეხბურთელიც დაინტერესა, მერე „ალანიასა“ და „დინამოს“ კვიპროსული შეკრებებიც დაემთხვა ერთმანეთს და ჩვენებურის ვლადიკავკაზში გადაბარგებასაც თითქოს აღარაფერი უშლიდა ხელს.

და მაინც, გიორგი ანჩაბაძის ტრანსფერი ჯერაც არ შემდგარა.

წინასწარ და ვარაუდებით საუბარი ცოტა ძნელია, მაგრამ ანჩაბაძის „ალანიასთან“ ხელშეკრულების გაფორმებას საკმაოდ მიწიერი მიზეზები უნდა უშლიდეს ხელს. როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, ჩვენებურში ქართული მხარე გარკვეულ საკომპენსაციო თანხას ითხოვს და ბუნებრივია, ტრანსფერის გაჯანჯლების უმთავრესი პრობლემაც ესაა.

რაც შეეხება გუცაევს, თბილისში სუპერფინალზე ამასწინანდელი ყოფნისას, ბატონ ვლადიმერს ფეხბურთელისთვის ბილეთიც კი დაუტოვებია, რათა ანჩაბაძე „ალანიას“ მოსკოვში შეერთებოდა, საიდანაც ვლადიკავკაზელები ერთ-ერთ კვიპროსულ ტურნირზე აპირებდნენ გამგზავრებას.

ასე იყო თუ ისე, „ალანიას“ უცხოური ტურნე ჩვენებური გამთამაშებლის გარეშე მიმდინარეობს. მისი ტრანსფერის თაობაზე კი დღეს სფფ-ს მესვეურებს ანჩაბაძის მენეჯერი უნდა შეხვდეს და სწორედ ამ შეხვედრაზე გადაწყდება, ანჩაბაძე ალანიელი გახდება თუ მეთერთმეტე ეროვნულ ჩემპიონატში თამაშს გააგრძელებს თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში.

**ლუკა თალაკვაძე**

# პრობლემები ტრავმებისგან

შაბათს ბათუმში მეორე ტურის ცენტრალური შეხვედრაა. ადგილობრივი „ბათუმი“ „ა“ ზონის ლიდერს, ქუთაისის „ტორპედოს“ მასპინძლობს. მეტოქეთა ბანაკში სრული საბრძოლო განწყობაა და გუნდებიც უძლიერესი შემადგენლობით გავლენ მოედანზე. თუმცა ორივე ძირითადის თითო ფეხბურთელს მოისაკლისებს და მათ შემცვლელს დააყენებს. ქუთაისელთა დანაკლისის შესახებ გუშინდელ „სარბიელშიც“ გამცნეთ. „ტორპედოს“ ცენტრალური მცველი ვახტანგ ხვადაგიანი „დინამოსთან“ სუპერფინალში ნატკენ მუხლს იმუშებს და ათი დღით იძულებით ისვენებს.

ახლა ბათუმელთა პრობლემაზეც ვთქვათ. რუსთავში თასის მერვედფინალურ შეხვედრაში „გორდას“ მცველ პავლე ბექაურთან ორთაბრძოლისას დაშავდა აჭარელთა ნახევარმცველი კახა კობიძე. კლუბის ექიმთა ხუთწუთიან ჩარევა იმით დასრულდა, რომ „ბათუმის“ თავკაცი ჯანი კარნევალე იძულებული გახდა, კობიძე ქაცარავათი შეეცვალა. მატჩის შემდეგ ტრავმირებულმა ფეხბურთელმა კოჭლობით დატოვა სტადიონი.

— არ მეგონა, ასე უცებ თუ გამისივდებოდა კოჭი. ვეჭვობ, ტრავმა სერიოზულია და მკურნალობა დასჭირდება — განუცხადა ტკივილისგან შეწუხებულმა კობიძემ „სარბიელს“.

თუ ვის გაამწესებენ მოედანზე ხვადაგიანისა და კობიძის შემცვლელებად სტუმართა თავკაცი დავით ყიფიანი და მისი იტალიელი კოლეგა, ამას თავად ბათუმური მატჩი დაგვანახებს.

**ხვიჩა სანიკიძე**

# საუბრები ღმერთთან
## საუბარი მესამე



მას შემდეგ, რაც პირველად საქართველოში და პირველად ლეგალურად ჩემპიონთა ლიგის თამაშები გაგვიხშირდა, ჩემს საჭმლის მომნელებელ სისტემაში ერთი ძირეული ცვლილებაც შევნიშნე — კვირაში ორ დღეს, სამშაბათობით და ოთხშაბათობით, ნერწყვის იმოდენა დოზას გამოყოფენ-ხოლმე ჩემი სანერწყვე ჯირკვლები, რომ გაეგო პავლოვის ძაღლს, შურით ყეფა დაავიწყდებოდა. თავდაპირველად მეგონა, ყველაფერი „ნუთელას“ ბრალი იყო (ჩემპიონთა ლიგის სპონსორია და ჩვენებური შოკოლადის კარაქის გარე ბიძაშვილი), მაგრამ მერე, როცა ბაზრობაზე სპეციალურად გავედი, დაახლოებით ნახევარი ტაიმი ვუცქირე „ნუთელას“ დიდ-პატარა ქილებს და პირი ნერწყვით რომ არ გამევსო, მივხვდი სულ სხვა ნუგბარი გახლდათ მიზეზი — დიახ, დიახ, მისი უდიდებულესობა ფეხბურთი არ მისვენებდა სანერწყვე ჯირკვლებს.

ეს კვირა რა გამონაკლისი იქნებოდა და, მოახლოვდა თუ არა სამშაბათი, ჩემი საფეხბურთო (უკაცრავად, სანერწყვე) ჯირკვლები ჩვეულად, პერმანენტულად ამუშავდნენ და...

მე თელასის, მისი გამყიდველის და ნამეტნავად მისი შემსყიდველის... მავთულსადენები დავგლიჯე. თანაც სწორედ მაშინ, როცა მათი საყვარელი ტელეგადაცემა გადის, მაგათ გენერატორს დაერხა რონალდოსავით და ეგენი ვნახე ბენ ჯონსონივით მოკვეთილი თავ-თავიანთი სარბიელიდან...

შუქი, შუქი გამომირთეს, თანაც ზედ „ბაიერნი“ — „რეალის“ მატჩის წინ... შავლონდი, ხალხოო!

ჰოდა, ამ ჩემს მადრიდის „ატლეტიკოსავით“ (იგივე „დორტმუნდი“, იგივე „დინამო“ (თბილისის ან ბუქარესტის) მოფამფალებულ გულსაც მეტი რა უნდოდა, ერთი გაიბრძოლა და...

### ღმერთთან (მისაღებში)

მწვავე, ხორციელმა ტკივილმა მომიყვანა აზრზე და საამქვეყნოდ. თვალები რომ გავახილე, ვიღაც ქერა ასულს ჩემი ნეკი მატყუარა საწოვარასავით ჩაედო პირში და იმგვარი სიძლიერით უჭერდა (ნეკს) კბილებს, ბულტერიერი (ძაღლია ოთხფეხა) მონაგონი გახლდათ. ტკივილისგან გამწარებულმა ქვედა იარუსზე, უკაცრავად, ქვედა ტუჩზე ვიკბინე და ამოვიკვნესე — ვინა ხარ და რომელი პასტით იხეხავ კბილებს? — არ ვიხეხავ, „ვრიგლი სპერმენტ დაბლმინტ ჯუსი ფრუტს“ ვღეჭავ — მიპასუხა სირინოზისხმიანმა ასულმა და ბროლივით ქათქათა კბილები მომანათა. ასულს მზერა ავაყოლე, მერე ჩავაყოლე, მერე ისევ ავაყოლე და როდესაც ჩემი თვალები სადღაც მისი ყელისა და ჭიპის შუაგზაზე გაჩერდნენ, ე, ზუსტად იმ ადგილით ვიცანი — ანა იყო, კურნიკოვა. ახლა მე კაცი ვიყავი, თავზე ქუდი მეხურა (თმები გამიიშვიათდნენ ამ ბოლო დროს) და რაღაც ხომ უნდა მეთქვა ამ ლამაზი ქალისთვის. შევეცადე, გამეღიმა და — ალუუ, ნეკზე არ მიკბინო-მეთქი, მივეფერე — უკვე გიკბინე — ისევ გამიღიმა კურნიკოვას ქალმა და ნაკბენზე ჯადოსნური მალამო „ფიტომალი“ წამისვა. სანამ ანა „ვსე მი ბაბი სწერვის“ ღიღინით მწამლობდა, თვალები კედლის საათისკენ გამექცა და ისე წამოვხტი, კინაღამ წავაქციე ეს საფერებელი ქალი. ანა შეეცადა, შევეჩერებინე, მაგრამ უფლის ოთახიდან „რუსთავი 2“-ის შუშპარა რეპორტაჟის ხმა ისმოდა და... ანა მოიცდიდა.

### ღმერთთან (ოთახში)

მამაზეციერმა წამით მოაშორა მზერა ტელევიზორს, რომ დამინახა, თითი ტუჩებზე მიიდო და ისევ რეპორტაჟს ჩაუღრმავდა. მერე კი არც ერთს აღარაფერი გვახსოვდა...

როცა გამოვერკვიეთ, ყველაფერი უკან იყო — რივალდოს გატანილი, დემეტრაძის ვერგატანილი, რუი კოშტას არჩათვლილი, რებროვის ჩათვლილი, „მანჩესტერის“ მოგება, „ლაციოს“ ვერმოგება და ასე...

გოლების კოლაჟისას ღმერთი მომიბრუნდა და — რა ჰქენიო — მკითხა. ნეტა, რაზე მეკითხება? — დემეტრაძის ვერგატანით გაცოფებულს რისი თავი მქონდა, მაგრამ ეს ნამდვილად გავიფიქრე — რაზე გეკითხები, და „კუშებზე“, მოიგე რამე? — „რეალის“ დაცვის იმედზე რამეს მოიგებ? — აბა, კაცო — დანანებით გაიქნია თავი მამაზეციერმა — ამ იეროსი ვერაფერი გამიგია... — დაბერდა და გამოყეყეჩდა. — ოხ! — აიბზუა ტუჩი უფალმა — ივან კამპო თუ მყავს გაფურჩქვნის ასაკში, იმიტომაა ანგრევს ყველაფერს.

— მაგათ მოეშვი და დემეტრაძისთვის იმ მომენტში ფეხი არ მოგენგრია, რა მოხდებოდა. ვითომ?

— ვისზე ამბობ, ბიჭო, მაგას, მე მოვუნგრიე ფეხი? მაგის ცოდვა მიეცა გაზაევს, საჯარიმოში შეხვალ თუ არა, წაიქეციო, ორი წელი რომ ასწავლიდა, შენ მე დილენტანტი ხომ არ გგონივარ, ოსეთში მაგათი საუბარი ქუხილივით ისმოდა აქ ჩემთან. — უთქვენოდ მაინც არაფერი ხდება, უფალო — გავჯიქდი მე.

— რა არ ხდება, ბიჭო, რა — ანერვიულდა იგი — ა, ნახე თუ არ გჯერა — და ღმერთმა „ნაიკის“ ფირმის შორტის ჯიბიდან „კროკოს“ მწვანე ქვითარი დააძრო — როგორც შენ გიყურებ, ისე ვფიქრობდი „ლაციოს“ მოგებას და „ფიორენტინას“ „იქს დვას“, მაგრამ ხომ ხედავ რა ხდება.

— და იტყვი, დილეტანტი არა ვარო, „ფიორეს“ „იქს დვა“ რამ აგალებინა? — ირონიულად ჩავიცინე მე.

— ირონია ჩემი მოგონილია, იცოდე — ირიბად გადმომხედა უფალმა — ერთი შენს ჩაოხრებულ [illegible] ხედე, „რუსენბორგის“ „ადინ იქსი“ არა, ბუს კვერცხები არ გინდოდა? ამის მერე მოდიხარ და დემეტრაძეს რატომ არ გაატანინეო — რა უნდა მეთქვა, უფალმა აშკარა ცრუპატრიოტიზმში მამხილა და თითი უნდა მომეკაკვა.

— მაგას შევეშვათ და რუი კოშტა რატომ დაჩაგრე? — ვინ დავჩაგრე, ბიჭო, მე ბატისტუტას გუნდელი დავჩაგრე? — ბატისტუტა რაა ვითომ, პირველი ყომარბაზია. არ გახსოვს, ფლორენციაში, „ვალენსიასთან“ თავით რა ბურთი ააცილა?

— ერთი ალილუია მღვდელსაც შესცდებაო, არ გაგიგია? თუ ჩემი ხათრი გაქვს, ბატისტუტაზე ცუდს ნუ მეტყვი — შემეხვეწა უფალი.

— რატომ, რატომ, გამაგებინე, ვინაა ამისთანა. მამაზეციერმა ხელი ჩამავლო. კედელზე გაკრული გაბრიელ ომარის პლაკატთან მიმიყვანა და მითხრა — შეხედე, ბიჭო, შეხედე, ამის დაჩაგვრა იქნება? — მე არგენტინელს მზერა გავუშტერე, მერე მის სიცოცხლეში დადგმული ძეგლი, მრავალმილიონიანი ანგარიშები, ლამაზი ცოლი და მანქანები წარმოვიდგინე ჩემს უფულო, უშუქო, უსაშველო და ასე შემდეგ ცხოვრებასთან კავშირში და — დაჩაგრული ვინცაა კი ვიცი-მეთქი — გავიფიქრე — რა ჩიტიცა ხარ, იმ გალიაში ზიხარ — ჩვეულ სტილში გამომიცნო ფიქრი უფალმა და ერთხელაც შეავლო მზერა არგენტინელს — ჰო-ჰო-ჰო, რა თვალები აქვს, ბიჭო? მაგი მეკარეს კი არა, მამაზეციერს შეაცდენს — მერე მომიბრუნდა და წადი ახლა, მოვიდა თემქაზე შუქიო — მითხრა. მე თვალწინ მისაღებში მოღიღინე ანა წარმომიდგა — აწი რა აზრი აქვს. ბარემ აქვე დავიძინებ. — თუ გინდა დაგაძინებ სამუდამოდ და ჩაგწერ აქაური „დინამოს“ ფანებში. — რომელი „დინამოს“? — ვცქვიტე ყურები. — რომელი და ჩვენი, თბილისის, მე შენ გეტყვი, ვარსკვლავები არ არიან. ისე, დაფიქრდი, იმ „დინამოს“ ყურებას ეს არ გირჩევნია? ჩემპიონობაზე იქაჩებიან — მე მუხლებში სისუსტე ვიგრძენი, ყბა ამიკანკალდა და უცებ ისეთმა აზრმა გამიელვა, აინშტაინს დაამშვენებდა — საპრეზიდენტო არჩევნები?! ღმერთმა გაიცინა — წადი, წადი, ჯერ, რომც შემეხვეწო, მაინც ვერ მიგილებ, არა ხარ მზად.

— ეს კურნიკოვა როგორ დაითრიე? — მოვედი ფერზე — გაზეთში განცხადება მივეცი და თავად მოვიდა. — კი მაგრამ აქ როგორ მოვიდა? — სულელო — შემრიგებლურად გამიწყრა უფალი — მოახტა რაკეტას და მოვიდა. — რომელ რაკეტას? — რომელს და რუსულს, ერთი რაკეტა რაა რუსებისთვის. — ისე, გემოვნებას კაცი ვერ დაგიწუნებს — ძმაბიჭურად ჩავუკარი თვალი მამაზეციერს და წარბი რომ შეიკრა, მივხვდი, ფამილარობა არც აქ ჭრიდა, ზეცაში.

მერე კი... მერე თბილისში მარტის ჭინჭყლი დილა თენდებოდა.

**კონსტანტინე გოგიშვილი**





ბატისტუტას ღმერთი სწყალობს, დემეტრაძეს ლობანოვსკი

# ორი არის, სამიც იქნება?

## დევაძე და მერანი არ ჩქარობენ

თბილისის „მერანის“ თავკაც სერგო გაბელაიას რომ სატრანსფერო სეზონის მიწურულს 5 ახალწვეულის დამატება ჰქონდა დაგეგმილი, თავად მწვრთნელმა გაანდო „სარბიელს“. თუმცა მათი ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა — საქმისთვის ასე აჯობებსო.

ავჭალელებმა 5 უცნობიდან 2 უკვე ჩარიცხეს გუნდში. დანარჩენების გამერანელება კი სამ დღეში უნდა გადაწყდეს. როგორც სერგო გაბელაიამ გუშინ გვითხრა, ამ სამეულის ტრანსფერთა მოსაგვარებლად კლუბის ახალ პრეზიდენტთან, დავით ფურცელაძესთან კონკრეტული მოლაპარაკებაა საჭირო. თუ იგი თანახმა იქნება და საჭირო სახსრებიც გამოიყოფა, მაშინ „მერანი“ უპრობლემოდ შეძლებს ჯერჯერობით უცნობი ტრიოს დამატებას.

ახლა კი იმ დუეტის შესახებ გეტყვით, ავჭალელთა ამქარში რომ ჩაირიცხა. გამოცდილ მცველს გოჩა გუჯაბიძეს წარდგენა არ სჭირდება. პოლონეთმოვლილი გუჯაბიძე შარშან „ბათუმის“ ღირსებას იცავდა. მეთერთმეტე ეროვნულის პირველ ეტაპზე კი არ უთამაშია.

„მერანის“ მეორე ახალწვეული რეგიონალური ლიგის ბინადრის, სოხუმის „ცხუმის“ თავდამსხმელი სულიკო კაკაბაძეა.

რაც შეეხება აკაკი დევაძის ავჭალელთა რიგებში გადაბარგებას, სერგო გაბელაიას თქმით, გუნდი არ ჩქარობს გამოცდილი მეკარის აყვანას. ამის ერთ-ერთი და ალბათ მთავარი მიზეზი დევაძის უცხოურ კლუბში გამგზავრების ვარიანტია. თუმცა კონკრეტულად რომელი ქვეყნიდან ელის მიწვევას აკაკი დევაძე, მერანელთათვის უცნობია.

**ხვიჩა სანიძე**



გოჩა გუჯაბიძე

# საფეხბურთო სასამართლო სამშაბათს შედგება

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომიტეტმა როგორც იქნა, მიიღო გადაწყვეტილება, თუმც ყველაფერი ბოლომდე ჯერ არ არის დაზუსტებული. საერთოდ, როგორც წესი, სტკ-ს სხდომები ოთხშაბათობით იმართება, მაგრამ „დისციპლინარებს“ გუნდების ინტერესები გაუთვალისწინებიათ, ვინაიდან თასის მეოთხედფინალური მატჩები მოახლოვდა, გადავწყვიტეთ, სხდომა სამშაბათს ჩავატაროთო.

— ზოგი რამ ჯერ დაუზუსტებელია, თავმჯდომარე ომარ გოგიაშვილთან და სტკ-ს სხვა წევრებთან დროა შესათანხმებელი — გვითხრა გუშინ სპორტულ-ტექნიკური კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა ზვიად დარასელმა.

თავად სხდომა, როგორც ყოველთვის, სპორტისა და ფიზიკური კულტურის აკადემიაში, რექტორის კაბინეტში ჩატარდება. განსახილველი კი ის დარღვევები იქნება, რომლებიც ეროვნული თასის მერვედფინალურ თუ ჩემპიონატის მეორე ეტაპის პირველი ტურის კალენდარულ მატჩებში მოხდა.

ჯერ წვრილმან საკითხებს მოილევენ, შემდეგ კი უმთავრესსაც განიხილავენ. ასეთად კი ფოთელების ჯონი შალამბერიძისა და ელდარ გვასალიას, ასევე თბილისის „მერანის“ ფეხბურთელთა საკითხი იქნება. ავჭალელთა მწვრთნელ სერგო გაბელაიას გუშინწინ ფოთის „კოლხეთთან“ მატჩის ბოლოს მერანელთა უწესო საქციელზე მოსთხოვენ პასუხს.

ფოთის „კოლხეთის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ვახტანგ ხაინდრავამ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გუშინდელ „სარბიელში“ ლოზუნგებით მუშაობაში რომ დაადანაშაულა, შვებით ამოისუნთქა: „გადაწყდა, სტკ სამშაბათს ჩატარდება, თუმცა დრო ჯერ არ დაუდგენიათ. სხდომას აუცილებლად დავესწრები და სიმართლესაც დავამტკიცებ. რაც შეეხებათ ფეხბურთელებს, შალამბერიძესა და გვასალიას, ორივე ფოთში იქნება და გუნდთან ერთად ივარჯიშებს“.

ერთი სიტყვით, სამშაბათს საფეხბურთო სასამართლოა.

**გიორგი ვაშაკიძე**

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I-VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ტორპედო<br>*დავით ყიფიანი* | ჩხაბერიძე, სტურუა (სამგურალი), მ. ზანიშვილი, ვ. მაისურაძე (სიონი), კ. ჯანაშია (იბერია) | თავბერიძე (ინტერი) | ქოიზმეთესფორი (თურქეთი) 5:0, შინიკი (რუსეთი) 0:1, ნოსტა (რუსეთი) 2:2, ვენტსპილსი (ლატვია) 2:1, ანთალია 2 (თურქეთი) 3:1, იესილი (ყაზახეთი) 0:0, ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) 1:2, ყაზახეთი 2:2, დუსტლიკი (უზბეკეთი) 4:3, სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:3, სამგურალი 4:0 |
| დინამო<br>*ოთარ კორღალიძე* | ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომაია (ლოკომოტივი), ზირაქიშვილი (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), ხომერიკი, ლლონტი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ს. გოგიაძე (იბერია), აშვეთია, ანჩაბაძე (ალანია, რუსეთი), ვ. გოგიაძე (ანჟი, რუსეთი), ხიზანეიშვილი (კრივბასი, უკრაინა) | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, რუხაძე, გ. ვ. მიქაძე, ა. ჩიხრაძე (თბილისი), დათუაძე (სიონი), რ. არველაძე (ობერჰაუზენი, გერმანია), ხუციშვილი (შერიფი, მოლდოვა), ჩხეიძე (არ თამაშობდა), შელია (მანჩესტერ სიტი, ინგლისი) | ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველო U21 2:2, ცაგ დინამო (ყირგიზეთი) 5:2, ვარზობი (ტაჯიკეთი) 3:5, ირტიშ ბასტუ (ყაზახეთი) 5:2, მერანი 0:0, დებრეცენი (უნგრეთი) 0:1, რუბინი (რუსეთი) 2:3, დინამო (რუმინეთი) 4:2, პოლონია (პოლონეთი) 2:3 |
| კოლხეთი<br>*გია ტყებუჩავა* | ჭოხონელიძე (ზოოვეტი), მელაძე (გორდა), ბულუხია, გ. გიორგაძე (ხობი), დ. გოგოლაძე (ვენტსპილსი, ლატვია) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), გ. ჩიტაია (დილა), ფანჩულიძე, შ. ჩხენკელი (ტრავმის გამო არ თამაშობდნენ), დ. კვირკველია, კრასოვსკი (კოლხეთი 2), რ. ახალკაცი (მეტენი, ბულგარეთი) | ნივა (ტერნოპოლი, უკრაინა) 1:1, სტალი (ალჩევსკი, უკრაინა) 0:1, 1:1, პოლიგრაფტეხნიკა (ალექსანდრია, უკრაინა) 2:1, 1:2, 0:2, ობოლონ პპო (კიევი, უკრაინა) 0:0, ჩკალოვეცი (რუსეთი) 2:1 |
| ბათუმი<br>*ჯანი კარნეველე* | პაპიძე, გადელია (თბილისი), კანტიძე (თამაშის მიატოვა), უვაკვე (?) | ხომერიკი, ლლონტი (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (სამგურალი), სიდამონიძე (სიონი) | რეშიცა (რუმინეთი) 1:2, არეცო (იტალია) 3:1, სტიაუა (რუმინეთი) 3:4, არჯეში (რუმინეთი) 1:2, ზაგლებიე (პოლონეთი) 4:1, ვისლა (პოლონეთი) 3:2, თსუ 1:2 |
| ვიტ ჯორჯია<br>*სერგო კუტრიკაძე* | კ. ალადაშვილი (გორდა), მ. ზიაშვილი, ბარქაია, ხართიშვილი (თსუ), ა. ბოკერია (სიონი) | ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ხაჭაპურიძე (სამგურალი), თ. კობიაშვილი (დინამო), მორჩილაძე (ლოკომოტივი 2) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0, საქართველო U21 1:0, არსენალი 2:1, ფენერბახჩე (თურქეთი) 3:1, სპორტული (რუმინეთი) 1:1, სლოგა (მაკედონია) 3:0, ნოვდოროვლი (ავსტრია) 0:0, პოგონი (პოლონეთი) 1:1, ჭაბუკიანი 1:0 |
| სიონი<br>*სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი (ლოკომოტივი), ლ. გაგუა (გლკს, პოლონეთი), სიდამონიძე (ბათუმი), ი. კაპანაძე (არსენალი) | მ. ზანიშვილი, ვ. მაისურაძე (ტორპედო), ისიანი (თბილისი), ბ. შენგელია (ივერია), კ. გოგოლაძე (ერევანი, სომხეთი), ა. ბოკერია (ვიტ ჯორჯია), ელბაქიძე (საუ) | ვიტ ჯორჯია 0:1, გორდა 1:1, 0:0, ზოოვეტი 8:2, თბილისი 4:1, არსენალი 1:1, 1:3, 0:3 |
| დილა<br>*მერაბ კოჭლაშვილი* | გ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (შერიფი, მოლდოვა), მარლიშვილი, შატაკიშვილი (?) | საყვარელიძე (დილას სკოლა) | ვიტ ჯორჯია 0:1, ლოკომოტივი 3:1, თსუ 0:0, თბილისი 0:2, 1:0, მერანი 0:0, 0:5, არსენალი 1:1 |
| იბერია<br>*სოსო ფრუიძე* | დარსაძე (სამგურალი), გ. ლურსმანაშვილი (ცხინვალი), კ. მეტრეველი, ზ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), ქველაძე, გეგეშიძე (?) | გ. ნოზაძე, კ. ალანია (საუ), კ. ჯანაშია (ტორპედო), ს. გოგიაძე (დინამო), გედენიძე (ხობი), ბ. ძაგნიძე (არ თამაშობდა) | სამგურალი 1:0, მარგვეთი 2:1, ჩკალოვეცი (რუსეთი) 2:4 |

| IX-XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ლოკომოტივი<br>*რევაზ ძოძუაშვილი* | მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), ქებაძე (არაკლისი, საბერძნეთი), ბარამიძე (პიერიკოსი, საბერძნეთი), კ. მელქაძე, ამაშუკელი, ბარნოვი (თბილისი), ბერაძე (სამგურალი), ნივნივაძე (არსენალი), შ. ჩომახიძე (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), ნემსაძე (კრივბასი, უკრაინა), დოლაბერიძე, დ. ჯანელიძე, გოგიჩაიშვილი (?) | ლომაია (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (თბილისი), ხურიძე (სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), დ. გოდერძიშვილი (სიონი), პარამონოვი (თბილისი 2), ჭიჭვეიშვილი, გ. ჩხაიძე (ალანია, რუსეთი), გ. გვაზავა (თსუ), ნიკურაძე, გულორდავა, სალუქვაძე (გურია), ისიანი (ხობი), ჯულელი (მეტალურგი, ლიპეცკი, რუსეთი), ლ. ჩხაიძე (ამირანი), ა. ჯულაძე (ალ იტიჰადი, საუდეთი), არეშიძე (ლოკომოტივი 2), გამცემლიძე (არ თამაშობდა) | დინამო 2:1, დილა 1:3, მერანი 2:2, 0:1, თსუ 1:0, 2:2, ასკ (ხაბაროვსკი, რუსეთი) 2:1, აეკ (ლარნაკა, კვიპროსი) 1:0, შერიფი (მოლდოვა) 0:2, ლადა ვაზ (ტოლიატი, რუსეთი) 1:3 |
| გორდა<br>*იასონ ალადაშვილი* | გ. ხიზანიშვილი (აკადემია), ინასარიძე (თორი), ლ. ალადაშვილი (აპოლონი, საბერძნეთი), თელიაშვილი (ალაზანი) | კ. ალადაშვილი (ვიტ ჯორჯია), ბედიაშვილი (თბილისი), ლ. სილაგაძე (სკონტო 2, ლატვია), მელაძე (კოლხეთი), ბურნაძე, გ. კილასონია (არ თამაშობდნენ), ქოქაშვილი (ოლიმპიკი), ლ. კაპანაძე, დ. ნიკლაური (ხალიბი) | სიონი 1:1, 0:0, ხალიბი 4:3, 3:2, 2:0, ზოოვეტი 2:0 |
| თსუ<br>*თენგიზ კაცია* | ნინუა (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), გ. გვაზავა (ლოკომოტივი), ჯობაძე (არსენალი), გ. ა. მიქაძე (აკადემია) | მ. ზიაშვილი, ბარქაია, ხართიშვილი (ვიტ ჯორჯია), ებრალიძე (თბილისი), სულავა, ქადაგიძე (ნორჩი დინამოელი), ა. ლობჟანიძე (აგაზა) | ვიტ ჯორჯია 4:6, ლოკომოტივი 0:1, 2:2, ამირანი 1:0, ზოოვეტი 4:2, დილა 0:0, ზუგდიდი 6:1, ბათუმი 2:1 |
| მერანი<br>*სერგო გაბელაია* | ბაჯელიძე (ჰაპოელი, ტაიბე, ისრაელი), ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი), დავითაშვილი (არსენალი, ტულა, რუსეთი), ბ. ამბიძე (დინამო, ასტრახანი, რუსეთი) | გ. კვეტენაძე (ანდიჯანი, უზბეკეთი), ბოლქვაძე (გურია), გ. ილურიძე, აბულაძე (განთიადი), კაკაბაძე (ცხუმი), მელიქია (ამირანი), ა. ხორხელი, კობესაშვილი, გუჯაბიძე, დევაძე (არ თამაშობდნენ) | ვიტ ჯორჯია 0:0, ლოკომოტივი 2:2, 1:0, დინამო 0:0, ჭაბუკიანი 1:1, ცხუმი 6:0, 3:1, დილა 0:0, 5:0, ლოკომოტივი 2 3:1, მეტალურგი 3:0, აკადემია 1:0, 2:0 |
| თბილისი<br>*რამაზ მუმლაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, რუხაძე, გ. ვ. მიქაძე, ა. ჩიხრაძე (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (ლოკომოტივი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია), ბედიაშვილი (გორდა), ებრალიძე (თსუ), ისიანი (სიონი), ზ. ხიზანიშვილი (კრივბასი, უკრაინა) | კ. მელქაძე, ამაშუკელი, ბარნოვი (ლოკომოტივი), გადელია (ბათუმი), ყუფარაძე, გონჩაროვი (არსენალი), კოხრეიძე (სამგურალი), პაპიძე (ბათუმი), ნორაკიძე, ჩივაძე, კანდელაკი, ახალაია (თბილისი 2), თ. დოლიძე, გ. ლუდუშაური (არ თამაშობდნენ) | დილა 2:0, 0:1, საქართველო U18 0:0, ს.ა. იბერია 0:0, ჭაბუკიანი 3:1, აკადემია 2:1, სიონი 1:4 |
| სამგურალი<br>*იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კოხრეიძე (თბილისი), კოპალიანი (XXI საუკუნე) | ბერაძე (ლოკომოტივი), ჩხაბერიძე, სტურუა (ტორპედო), ვადაჭკორია, კვერნაძე, ბაბუნაშვილი, ფუტკარაძე, გ. გოგოლაძე (ინტერი), დარსაძე (იბერია), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), გიორგობიანი (ლუჩი, ვლადივოსტოკი, რუსეთი), ხუნდაძე (ლოკომოტივი, ს-პ, რუსეთი) | ინტერი 8:0, გაგრა 5:1, ტორპედო 0:4, იბერია 0:1 |
| ხობი<br>*ფრიდონ გოცირიძე* | ლ. გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ისიანი (ლოკომოტივი), გედენიძე (იბერია), თორია (ზუგდიდი), ბაბუაძე, გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი (?) | ოდიშარია (ცხუმი), ჯღამაძე (კოლხეთი 2), გიორგაძე, ბულუხია (კოლხეთი) | |
| არსენალი<br>*ჯონი ჯანელიძე* | ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), ყუფარაძე, გონჩაროვი (თბილისი), დაუშვილი, მ. მაისურაძე (?); მამუკა ჯვეჯეჭკორი (მწვრთნელი, დაითხოვეს) | ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი), დ. ჯანელიძე, ნივნივაძე (ლოკომოტივი), ქოიავა (არაგვი), ი. კაპანაძე (სიონი), გ. ტულუში (ცხინვალი), ჯობაძე (თსუ), შუკაკიძე (ზოოვეტი), ა. ხმალაძე (ივერია), გ. მეტრეველი (ს.ა. იბერია); ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი) | ვიტ ჯორჯია 1:2, არსენალი 2 3:0, აკადემია 3:0, დილა 1:1, მეტალურგი 4:0, ლოკომოტივი 2 3:1, სიონი 1:1, 3:1, 3:0 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

# ქარსა და სუნში კონკორდის ქვეშ

„ჩელსის" ფრანგი მცველი, მსოფლიოს ჩემპიონი ფრანკ ლებეფი იმ თანამემამულეებს, რომლეთაც გულში ინგლისურ პრემიერლიგაში გადაბარგება ამოუჭრიათ, რომელიმე ლონდონურ კლუბში გადასვლას ურჩევს, თუმცა იქვე დასძენს, რომ არჩევანი რომ ჰქონოდა, თავად მადრიდის „რეალს" ამჯობინებდა. ამასთან, ლებეფი აღიარებს, რომ „ჩელსის" საწვრთნელი პირობები ეზიზღება.

„გირჩევთ, ნურავინ დაიჯერებთ, რომ „მიდლსბროში", „ნიუკასლში" ან „ბლექბერნში" ფრანგი კაცი შეიძლება უპრობლემოდ მოეწყოს. ერთადერთი, რის გამოც შეიძლება აქ ყოფნას შეეგუოთ ფულია. აი, ლონდონში კი თქვენ საშუალება მოგეცემათ სრულყოფილად, ფრანგულად იცხოვროთ — ამბობს იგი და განაგრძობს — მე რომ ინგლისში ჩავედი ყურადღების ცენტრში ერიკ კანტონა იყო. შემდეგ, ყოველი ახალი ფრანგის ჩამოსვლა სულაც არ მაღიზიანებდა. პირიქით, მსიამოვნებდა, რომ გზის გამკვლევი ვიყავი და ვამტკიცებდი, რომ ინგლისურ ფეხბურთში ჩემმა თანამემამულეებმაც შეიძლება თქვან თავიანთი სიტყვა".

„მიუხედავად იმისა, რომ აქ სრულიად განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობენ, ინგლისში მოწყობა და საკუთარი ადგილის პოვნა შესაძლებელია, თუმცა ზოგმა ფეხბურთელმა შეცდომა დაუშვა".

შემდეგ ლებეფი „ჩელსის" ცხოვრებას შეეხო:

„მთელი კარიერის მანძილზე არსად შევხვედრივარ ასეთ საშინელ პირობებს. ჩვენი ბოსები, რომლებიც 15 წლის განმავლობაში იმ ტერიტორიას ქირაობდნენ, სადაც „ჩელსი" ვარჯიშობს, დღეს ახალ ადგილს ეძებენ საწვრთნელი ცენტრის ასაშენებლად. ჩვენ ვვარჯიშობთ უფუნქციო ადგილას, ორ ტრასას შორის, ქარში, სადაც ახლო მცენარეებს ყავის სუნი ასდით. თქვენ წარმოიდგინეთ, ყოველ დილით თერთმეტს თხუთმეტი რომ დააკლდება მწვრთნელი იძულებულია ლაპარაკი შეწყვიტოს, რადგან ჩვენს თავზე „კონკორდი" გადაიფრენს ხოლმე".



ფრანკ ლებეფი

კითხვაზე, სადმე ხომ არ აპირებს გადასვლას, ლებეფი ასე პასუხობს: „საქმე ის გახლავთ, რომ რამდენადაც ვიცი დღეს წასასვლელი არსად მაქვს. ერთადერთი გუნდი, რომელზეც ბავშვობიდან ვოცნებობდი მადრიდის „რეალია", სხვამ კი არა მგონია დამაინტერესოს".

ფრანკ ლებეფის ეს გამონათქვამები „ეკიპისა" და „ფრანს სუარისთვის" მიცემული ინტერვიუებიდანაა შეკრებილი.

# ექვსეულის მეშვიდე წევრი

რახანია, ევროპის ჩემპიონთა თასის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირთა შორის ახალი სახელები აღარ გამოჩენილა. ექვსეულის ბოლო წევრი ფრანგი ჟან-პიერ პაპენი გახლდათ, რომელსაც ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში 28 გოლი გაეტანა.

ოთხშაბათს, „რუსენბორგი" — „დინამოს" მატჩის შემდეგ კი ფრანგს შევიწროვება მოუხდა. ტრონჰეიმელთა კარში ორი გოლის გამტანი სერგეი რებროვი ექვსეულის მეშვიდე წევრად იქცა. ვფიქრობთ, უკრაინელი ამაზე არ გაჩერდება და კვლავაც წინ წაიწევს, თუმცა ლეგენდარულ ალფრედო დი სტეფანომდე ჯერაც შორია.



სერგეი რებროვი

1 ალფრედო დი სტეფანო (რეალი, არგენტინა, ესპანეთი) . . . 49
2 ეუსებიო (ბენფიკა, პორტუგალია) . . . 46
3-4 გერდ მიულერი (ბაიერნი, გერმანია) . . . 36
3-4 ფერენც პუშკაში (რეალი, უნგრეთი) . . . 36
5 ფრანსისკო ხენტო (რეალი, ესპანეთი) . . . 31
6-7 ჟან-პიერ პაპენი (მარსელი, მილანი, საფრანგეთი) . . . 28
6-7 სერგეი რებროვი (დინამო კიევი, უკრაინა) . . . 28

## შოტლანდია

### გადადებული მატჩი

**სელტიკი 0:1 რეინჯერსი**

0:1 უოლესი (86)

სელტიკი: გოულდი, რისეტი, ბოიდი, სტაბსი, მიალბი (ბერჩილი 85), მაკნამარა, პეტროვი, ვიგჰორსტი, მაე, მორავჩიკი, ვიდუკა

მწვრთნელი: კენი დალგლიში

რეინჯერსი: კლოსი, მური, ლ. ამორუზო, ნუმანი, ბ. ფერგიუსონი, ვან ბრონკჰორსტი, უოლესი, ალბერტცი, ჯ. რეინა, ვიდმარი, მაკკანი

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

გაფრთხილება: ნუმანი, მორავჩიკი, მიალბი

მსაჯი: მაკკლასკი

59 800 მაყურებელი

რეინჯერსელმა როდ უოლესმა „სელტიკს" გაჩემპიონების იმედები თითქმის გადაუწურა, მატჩის 86-ე წუთზე ერთადერთი გოლი გაიტანა და „სელტიკ პარკზე" შეკრებილი 60 ათასამდე ქომაგი ერთობ გააწბილა.

„რეინჯერსი" გათამაშების ცხრილს უკვე დიდი უპირატესობით ლიდერობს და მდევარ „სელტიკს" მთელი 12 ქულით უსწრებს. ალბათ შორს არ არის ის დრო, როდესაც გუნდი უკანასნელი 12 წლის მანძილზე მეთერთმეტედ გახდება შოტლანდიის ჩემპიონი.

თუმცა „სელტიკის" თავკაც კენი დალგლიშს ფარ-ხმალი ჯერ არ დაუყრია და აცხადებს: „დღეს ოდნავ არ გაგვიმართლა, მატჩი ვერ მოვიგეთ, თუმც ჩემპიონობის იმედი ჯერ არ დაგვიკარგავს. მართალია, „რეინჯერსს" უდიდესი უპირატესობა აქვს, მაგრამ ჩვენ უნდა ვეცადოთ".

ძნელი სათქმელია, რამდენად გულახდილი გახლდათ „რეინჯერსის" თავკაცი დიკ ადვოკაატი, თუმც ალბათ თავმდაბლობა და ჯენტლმენობა გამოიჩინა და განაცხადა: „დღევანდელი მოგება ჩემპიონობის გარანტიას ნამდვილად არ იძლევა, ჯერ კიდევ რთული გზა გველის, ბრძოლა მოგვიწევს, ჩემპიონატის დასასრულამდე 12 ტური დარჩა, თუმცა დღევანდელმა შედეგმა აშკარად წინ წაგვწია".

სელტიკელი მარკ ვიდუკა, რომელიც 23 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია, თავის გამოჩენას „რეინჯერსთანაც" ცდილობდა, მას რამდენიმე სახიფათო მომენტი შეექმნა, მაგრამ ვერ გამოიყენა. 63-ე წუთზე მან გოლიც გაიტანა, რომელიც მთავარმა არბიტრმა არ ჩათვალა. მან მიიჩნია, რომ ვიდუკამ დარტყმამდე ბურთი ხელით გაისწორა.

მატჩის მე-80 წუთზე პენალტიც დაინიშნა, რეინჯერსელი ნილ მაკანი სელტიკელმა ალან სტაბსმა წააქცია. მასპინძელთა მეკარე ჯონათან გოულდმა გამოცდილი იორგ ალბერტცის დარტყმული მოიგერია, თუმცა 86-ე წუთზე „სელტიკი" წაგებას მაინც ვერ გადაურჩა — ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის აქტიურობას როდ უოლესის ერთადერთი და გადამწყვეტი გოლი მოჰყვა.

ალბერტცის აცილებულ პენალტზე „რეინჯერსის" თავკაცმა თავისი აზრი გამოთქვა: „თერთმეტმეტრიანი დარტყმის შანსს თითქმის ყოველთვის ალბერტცს ვანდობ. ამჯერად მან ააცილა, ეს უკვე მეოთხედ მოხდა. „დარწმუნებული ვარ, ამიერიდან პენალტს აღარ გააფუჭებს"...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 24 | 18 | 5 | 1 | 65:18 | 59 |
| სელტიკი | 24 | 15 | 2 | 7 | 66:25 | 47 |
| მოზერუელი | 24 | 9 | 8 | 7 | 33:41 | 35 |
| ჰართსი | 23 | 9 | 6 | 8 | 34:30 | 33 |
| დანდი იუნ. | 23 | 9 | 4 | 10 | 25:36 | 31 |
| ჰიბერნიანი | 25 | 7 | 9 | 9 | 36:43 | 30 |
| სტ. ჯონსტონი | 24 | 7 | 8 | 9 | 24:27 | 29 |
| დანდი | 25 | 7 | 3 | 15 | 30:51 | 24 |
| აბერდინი | 24 | 6 | 4 | 14 | 30:64 | 22 |
| კილმარნოკი | 24 | 3 | 11 | 10 | 25:33 | 20 |



REUTERS

რეინჯერსელი როდ უოლესი (მარცხნივ) მეშვიდე ცაზეა...

# ალო, რონალდო ხარ?



ვანდერლეი ლუქსემბურგო

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა, ვანდერლეი ლუქსემბურგომ დაადასტურა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის კამპანიის შემდეგ თანამდებობას დატოვებს.

ლუქსემბურგოს შესარჩევი შეჯიბრება ამ თვის ბოლოს არგენტინასთან შეხვედრით ეწყება. მოგეხსენებათ, სამხრეთ ამერიკული გუნდები 2002 წლის, კორეა-იაპონიის საგზურებს მარტივი ფორმულით, ყველა-ყველასთან ორ წრედ შეხვედრით ათამაშებენ, მერე კი ლუქსემბურგო, წასვლას გეგმავს.

გავიხსენოთ: ლუქსემბურგო ეროვნულ ნაკრებს სათავეში მას მერე ჩაუყენეს, რაც ბრაზილიამ 1998 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში საფრანგეთთან 0:3 წააგო და იმ გუნდის მწვრთნელი მარიო ზაგალო მოხსნეს. გასულ ზაფხულს მისი ხელმძღვანელობით ბრაზილიელებმა პარაგვაიში სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი ანუ კოპა ამერიკა მოიგეს, ახლა კი ლუქსემბურგო ამბობს, რომ 2002 წლიდან რამდენიმე ევროპული კლუბისგან აქვს მიწვევა.

გარდა ეროვნული ნაკრებისა, ბრაზილიელი მწვრთნელი ქვეყნის ოლიმპიურ გუნდსაც თავკაცობს და მას სექტემბერში სიდნეის ოლიმპიადაზე უნდა გაუძღვეს. მოგეხსენებათ, ოლიმპიური გუნდი 23 წლამდელთა ნაკრებია, მაგრამ მასში, ალბათ, რონალდოსაც შეიყვანენ, თუმცა თავად ფეხბურთელი და მისი კლუბი, იტალიური „ინტერნაციონალე" ამის წინააღმდეგი გახლავან.

კამათი ამ საკითხთან დაკავშირებით გრძელდება და მწვავდება. ერთი ხნის წინ საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ რონალდომ ლუქსემბურგოსთან სატელეფონო საუბარიც კი იუარა — ყურმილი არ აიღო.

## ინგლისი

### გადადებული მატჩი

**ვესტ ჰემი 2:0 საუთჰემპტონი**

1:0 ვანჩოპე (17), 2:0 სინკლერი (48)

ვესტ ჰემი: ფორესტი, პირსი (მინტო 9), შტიმაცი, რ. ფერდინანდი, ლამპარდი, ლომასი, მონკუ, ფოე, ჯ. კოული (დი კანიო 73), ტ. სინკლერი, ვანჩოპე

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, ლუნდეკვამი, ბენალი, მარსდენი, ოუკლი, ბრიჯი, ტესემი, დევისი, პახარსი, კაჩლული (სოლტვედტი 65)

მწვრთნელი: გლენ ჰოდლი

გაფრთხილება: დევისი

მსაჯი: ლოჯი

23 484 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 27 | 17 | 7 | 3 | 60:34 | 58 |
| ლიდსი | 27 | 17 | 3 | 7 | 42:29 | 54 |
| ჩელსი | 27 | 14 | 7 | 6 | 38:24 | 49 |
| არსენალი | 27 | 14 | 6 | 7 | 47:28 | 48 |
| ლივერპული | 26 | 14 | 6 | 6 | 39:22 | 48 |
| ვესტ ჰემი | 27 | 11 | 8 | 8 | 38:36 | 41 |
| ევერტონი | 27 | 10 | 10 | 7 | 47:36 | 40 |
| სანდერლენდი | 27 | 11 | 7 | 9 | 44:42 | 40 |
| ასტონ ვილა | 27 | 10 | 9 | 8 | 32:25 | 39 |
| ტოტენჰემი | 27 | 11 | 6 | 10 | 36:30 | 39 |
| ლესტერი | 26 | 11 | 5 | 10 | 40:38 | 38 |
| ნიუკასლი | 27 | 9 | 7 | 11 | 46:42 | 34 |
| მიდლსბრო | 27 | 9 | 6 | 12 | 28:38 | 33 |
| ქოვენთრი | 27 | 8 | 8 | 11 | 35:35 | 32 |
| საუთჰემპტონი | 27 | 8 | 6 | 13 | 31:44 | 30 |
| უიმბლდონი | 27 | 6 | 11 | 10 | 37:49 | 29 |
| დერბი ქაუნთი | 27 | 7 | 7 | 13 | 32:39 | 28 |
| ბრედფორდი | 27 | 6 | 8 | 13 | 27:43 | 26 |
| უენსდი | 27 | 4 | 6 | 17 | 24:54 | 18 |
| უოტფორდი | 27 | 4 | 3 | 20 | 24:59 | 15 |

### პირველი დივიზიონი

XXXV ტური

**სიტი 1:3 ქუინზ პარკი**

0:1 კივომია (37), 0:2 ვიკენსი (45ს.კ.), 0:3 ბეკი (73პ), 1:3 უიტლი (84)

**ნოტინგემი 1:1 ნორვიჩი**

1:0 ლესტერი (1), 1:1 რობერტსი (28)

# ვინ მოიგებს ლიგას?

ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტურის შემდეგ ცნობილმა ინგლისურმა ბუქმეიკერულმა კანტორა „უილიამ ჰილმა" ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ახალი კოეფიციენტები გამოაქვეყნა. უპირველესი ფავორიტი ესპანური ფეხბურთის გრანდი „ბარსელონაა", რომელმაც ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ორი ტურით ადრე დაიბევა მეოთხედფინალში მონაწილეობის უფლება. მისი შანსები „ჰილმა" 3,25-ად შეაფასა. საკმაოდ მარტივი პრინციპია, ყოველი შეტანილი დოლარი „ბარსელონას" გამარჯვების შემთხვევაში 3,25 დოლარად გექცევათ.

შემდეგ მოდის თასის ამჟამინდელი მფლობელი, „მანჩესტერ იუნაიტედი" — 4,5. უკანასკნელ ორ ტურში მადრიდის „რეალის" შემარცხვენელი მიუნხენის „ბაიერნის" შანსები კი 5,0-ს უტოლდება.

საკმაო რეგრესი განიცადა რომის „ლაციომ", რომელიც აქამდე ლიგის მოგების მეორე რეალურ კანდიდატად ითვლებოდა, ხოლო მეოთხე ტურის შემდეგ ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, რომ იქნებ ჯგუფიდანაც ვერ გააღწიოს. „ჰილმაც" კოეფიციენტი უმალ მოუმატა და 6,5 გახადა.

ფავორიტ გუნდთა შემდეგი ჩამონათვალი შემდეგნაირად გამოიყურება: „ჩელსი" — 7,0; „რეალი" — 11,0; „ფიორენტინა" — 23,0; „ფეიენოორდი" — 29,0; „ვალენსია" — 29,0; „დინამო" — 34,0; „პორტუ" — 34,0; „მარსელი" — 201,0; „სპარტა" — 301.0. ალბათ, შეამჩნევდით, რომ ნუსხას სამი გუნდი აკლია, „ბორდო", „რუსენბორგი" და „ჰერტა", რომლებმაც მომდევნო ეტაპზე მოხვედრის თეორიული შანსიც კი დაკარგეს.

## ფეხბურთის რუკასთან



თურქულმა „ფენერბაჰჩემ“ გუნდის თავკაცად ჯოვანი ტრაპატონის დანიშვნა მოისურვა. გამოცდილი სპეციალისტი ამჟამად „ფიორენტინას“ მთავარი მწვრთნელია და დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნის, იმასაც ამბობენ, შესაძლოა სეზონის ბოლოს პოსტი დატოვოსო. „ფენერბაჰჩეს“ კი ჩეხი ზდენეკ ზემანი თავკაცობდა, თუმც იანვარში, ათკვირიანი მოღვაწეობის შემდეგ იგი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ბრიტანული სააგენტოების ცნობით, „ფენერბაჰჩემ“ „ნიუკასლ იუნაიტედის“ ფორვარდის, დანკან ფერგიუსონის შეძენაც მოისურვა და ინგლისელებს 12 მილიონი დოლარი შესთავაზა. „ნიუკასლ იუნაიტედს“ ამის თაობაზე კომენტარი ჯერჯერობით არ გაუკეთებია.

**განელი აბედი პელე და კამერუნელი როჟე მილა, ახლო წარსულში ცნობილი აფრიკელი ფეხბურთელები, იოჰანესბურგში ჩავიდნენ და 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის სამხრეთ აფრიკის კანდიდატურას დაუჭირეს მხარი. აბედი პელეს განცხადებით, მოვიდა დრო, აფრიკის რომელიმე ქვეყანამ მსოფლიოს უპირველეს საფეხბურთო ფორუმს უმასპინძლოს. „სპორტში საკმაო მიღწევები გვაქვს, ორგანიზაციული საკითხებიც თითქმის მოვაგვარეთ. აფრიკის კონტინენტმა დიდი სპორტული ზეიმი დაიმსახურა“ — ამბობს პელე. „აფრიკა შეეცდება, ფიფა დაარწმუნოს, რომ დიდი ტურნირის მასპინძლობისთვის მზადაა, აფრიკელი სპორტსმენები ვცდილობთ, ეს ყველამ ირწმუნოს. სამხრეთ აფრიკა ყველაზე რეალური კანდიდატია“ — აცხადებს როჟე მილა.**

იტალიურმა „რომამ“ სერია C1/a-ში მოასპარეზე „რეჯანას“ ნიგერიელი მცველის, ჯერო შაკპოკეს გადაბირება განიზრახა. 20 წლის პერსპექტიულ მცველს რომაელთა თავკაცმა ფაბიო კაპელომ უკვე კარგა ხანია დაადგა თვალი. „რომამ“ „რეჯანას“ 2 მილიონი დოლარი შესთავაზა და არ არის გამორიცხული, სეზონის ბოლოს შეიძინოს კიდეც.

**ინგლისურმა „ჩელსიმ“ „პარმას“ ნახევარმცველის დინო ბაჯოს შეძენა გადაწყვიტა. ფეხბურთელს კლუბთან მიმდინარე კონტრაქტი გაისად უმთავრდება. თუ ხელშეკრულება არ გაახანგრძლივა, მომავალ წელს გუნდის დატოვება თავისუფალი აგენტის სტატუსით შეეძლება. ინგლისური სააგენტოების ცნობით, ლონდონელები პარმელებს 7 მილიონ დოლარს სთავაზობენ. „ჩელსი“ კიდევ ერთი ფეხბურთელის შეძენას აპირებს. მათ „რივერ პლეიტის“ ფორვარდ პაბლო აიმარს დაადგეს თვალი, რომლის გადაბირებას „ინტერი“, „ლაციო“, „პარმა“ და „ფიორენტინა“ ცდილობს, თუმც არგენტინული კლუბი ფეხბურთელს საკმაოდ ძვირს, 25 მილიონ დოლარს აფასებს. „ჩელსის“ კიდევ ერთი ახალგაზრდა მცველის შეძენა განუზრახავს. იგი 18 წლის განელი ჯონ მენსა გახლავთ, რომელიც „ბოლონიამ“ დროებით შვეიცარიულ „ბელინზონაში“ გაანათხოვრა.**

ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა რუუდ ვან ნისტელროიმ მუხლის ტრავმა მიიღო და დაახლოებით ორ თვეს ვერ ითამაშებს. ფეხბურთელის შეძენას რამდენიმე ინგლისური გრანდი, მათ შორის „არსენალი“ და „ჩელსი“, ცდილობდა, თუმც პსვ-სთან შეთანხმებას ჯერჯერობით ვერცერთმა მიაღწია. ჰოლანდიის ნაკრების თავკაცმა ფრანკ რაიკარდმა ვან ნისტელროოი ბოლო შეკრებებზე მიიწვია და ერთობ კმაყოფილი დარჩა. იგი იმედოვნებს, რომ ფეხბურთელი ევრო 2000-თვის მწყობრში ჩადგება და ჰოლანდიის ნაკრებს დაეხმარება.

**ისრაელის თასის გათამაშების მეოთხედფინალის წილისყრა: ჰაპოელი (ქვარ სავა) — მაკაბი (ფეთაჰ თიკვა); მაკაბი (ჰაიფა) — ბეითარი (თელ ავივი) (II); მაკაბი (ნეთანია) — ბეითარი (ბეერშევა) (II) ან ბეითარი (იერუსალიმი); ჰაპოელი (ბეერშევა) — ჰაპოელი (თელ ავივი). მატჩები გაიმართება 21 მარტს.**

შვეიცარიის თასის მეოთხედფინალის წილისყრა: ტუნი (II) — ციურიხი; ლუცერნი — სერვეტი; ლუგანო — სენტ გალენი; ლოზანა — ბაზელი. მატჩები გაიმართება 11-12 აპრილს.

**ხორვატია. მე-19 ტური. დრაგოვოლიაცი — დინამო 2:4; ზაგრები — რიეკა 4:1; ჰაიდუკი — ციბალია 1:1; ვუკოვარი — ისტრა 1:3; ოსიეკი — ვარტექსი 1:1; სლავენი — შიბენიკი 0:0. ჩემპიონატს 50 ქულით ზაგრების „დინამო“ ლიდერობს, მეორე ადგილზეა სპლიტის „ჰაიდუკი“ — 49 ქულა, მესამეა „ოსიეკი“ — 34 ქულა.**

## ბელგია

გუშინ ადგილობრივმა ფეხბურთის ფედერაციამ შეცვალა 23 იანვრის მატჩის შედეგი. „ჰარელბეკე“ — „ბევერენი“, რომელიც 6:3 დასრულდა მასპინძელთა გამარჯვებით, გაუქმდა. მიზეზი „ჰარელბეკეს“ შემადგენლობაში განაცხადში შეუყვანელი ფეხბურთელის თამაში გახლდათ. „ბევერენს“ მოგება ჩაეთვალა — 5:0. შესაბამისად შეიცვალა ცხრილიც:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 25 | 18 | 6 | 1 | 67:24 | 60 |
| სტანდარდი | 25 | 16 | 2 | 7 | 57:36 | 50 |
| გენტი | 25 | 15 | 1 | 9 | 61:45 | 46 |
| ბრიუგე | 25 | 14 | 4 | 7 | 54:25 | 46 |
| ლიერსი | 25 | 13 | 5 | 7 | 53:31 | 44 |
| მუსკრონი | 25 | 13 | 4 | 8 | 52:39 | 43 |
| გენკი | 25 | 12 | 6 | 7 | 51:42 | 42 |
| ბეერსხოტი | 25 | 12 | 6 | 7 | 43:36 | 42 |
| ვესტერლო | 25 | 10 | 6 | 9 | 45:55 | 36 |
| მეხელენი | 25 | 10 | 3 | 12 | 40:56 | 33 |
| ლოკერენი | 25 | 9 | 6 | 10 | 44:50 | 33 |
| აალსტი | 25 | 10 | 2 | 13 | 45:51 | 32 |
| ჰარელბეკე | 25 | 7 | 4 | 14 | 42:52 | 25 |
| ბევერენი | 25 | 6 | 6 | 13 | 35:48 | 24 |
| სტ. ტრუიდენი | 25 | 6 | 4 | 15 | 27:53 | 22 |
| შარლერუა | 25 | 5 | 6 | 14 | 29:50 | 21 |
| გეელი | 25 | 3 | 9 | 13 | 20:45 | 18 |
| ლომელი | 25 | 1 | 10 | 14 | 23:53 | 13 |

### თასის ნახევარფინალის წილისყრა

სტანდარდი — ლიერსი; გენკი — სენტ ტრუიდენი

*პირველი მატჩები გაიმართება 12 აპრილს, საპასუხოები — 30 აპრილს*

## უნგრეთი

მე-20 ტური. დუნაფერი — ტატაბანია 2:0; ნიირშეგი — უიპეშტი 2:1; დიოშდიორი — დებრეცენი 0:1; ზალაეგერსეგი — ფერენცვაროში 0:0; მტკ — ნადიკანიჟა 3:1; ვაცი — შიოფოკი 1:0; პეჩი — ჰონვედი 1:2; ჰალადაში — დიორ ეტო 0:3; ვაშაში — სეგედი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 20 | 13 | 6 | 1 | 52:17 | 45 |
| მტკ | 20 | 12 | 6 | 2 | 38:15 | 42 |
| ვაშაში | 19 | 12 | 2 | 5 | 39:19 | 38 |
| დებრეცენი | 20 | 10 | 5 | 5 | 30:21 | 35 |
| დიორ ეტო | 20 | 8 | 6 | 6 | 34:20 | 30 |
| ფერენცვაროში | 20 | 8 | 6 | 6 | 34:21 | 30 |
| უიპეშტი | 20 | 8 | 6 | 6 | 33:26 | 30 |
| პეჩი | 20 | 7 | 8 | 5 | 26:29 | 29 |
| ზალაეგერსეგი | 20 | 6 | 9 | 5 | 22:14 | 27 |
| ტატაბანია | 20 | 6 | 9 | 5 | 21:26 | 27 |
| ნიირშეგი | 20 | 6 | 5 | 9 | 19:33 | 23 |
| ჰონვედი | 20 | 5 | 7 | 8 | 20:28 | 22 |
| ჰალადაში | 20 | 6 | 3 | 11 | 22:31 | 21 |
| დიოშდიორი | 20 | 5 | 6 | 9 | 19:30 | 21 |
| ნადიკანიჟა | 20 | 4 | 7 | 9 | 18:26 | 19 |
| შიოფოკი | 20 | 5 | 4 | 11 | 15:30 | 16 |
| ვაცი | 20 | 2 | 6 | 12 | 18:43 | 12 |
| სეგედი | 19 | 3 | 5 | 11 | 13:44 | 8 |

*„შიოფოკს“ და „სეგედს“ დაკლებული აქვთ 3-3 ქულა.*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტოკოლი (დუნაფერი) | 16 |
| ჰ. ჰორვატი (ფერენცვაროში) | 12 |
| მ. ტოტი (ფერენცვაროში) | 10 |



არსენალელი დენის ბერხკამპი და მანჩესტერელი იაპ სტამი

# შობაღდლის მუშაკი

**„არსენალისა“ და ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელი დენის ბერხკამპი ჩემპიონთა ლიგის ავსა და კარგზე, „ჰაიბერისა“ და „უემბლიზე“ და ეროვნული გუნდიდან ლამაზად წასვლაზე გველაპარაკება**

**— „არსენალს“ ამ სეზონში მთლად გეგმის მიხედვით ვერ მიუდის საქმეები. ჩემპიონთა ლიგიდან გავარდა, „მანჩესტერ იუნაიტედს“ ათი ქულით ჩამორჩება და მომავალ სეზონში იმავ ლიგაში გასვლა სულაც არ აქვს გარანტირებული...**

— მართლაც, თანმიმდევრობით ვერ დავიკვეხნით და ჩვენი უმთავრესი პრობლემაც სწორედ ეს არის. ახლა ჩვენი ამოცანა სწორედ ლიგაში გამსვლელი ადგილის მოპოვება გახლავთ, რადგან სინამდვილეს თვალი რომ გავუსწოროთ, ჩემპიონობა „არსენალისთვის“ უკვე მიუღწეველია. მეორე ადგილზე გასვლა ჯერ კიდევ არ არის გამორიცხული, თუმცა ლიგაში მესამე ადგილითაც მოვხვდებით და, ალბათ, ამით დავკმაყოფილდებით კიდეც.

**— ცხადია, ლიგაში გასვლა უეფას თასზე გასვლას გაცილებით გირჩევნიათ.**

— დიახ. უპირველესი მიზანი ლიგაში გასვლაა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ორწლიანი გამოცდილება წყალში ჩაგვეყრება. ახლა, ლიგაში გამსვლელი ადგილი რომ ვერ მოვიპოვოთ, სულ მცირე, ერთი წელიწადი გაგვიცდება და ყველაფრის თავიდან დაწყება მოგვიწევს. იქნებ გეუცნაუროთ კიდეც, რომ ჩემპიონატში მეორე-მესამე ადგილზე გასვლა ქვეყნის თასის მოპოვებაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, მაგრამ მეორე მხრივ არც ჩემპიონთა ლიგას უნდა ერქვას ჩემპიონთა ლიგა. დღეს მასში მონაწილეობა არაჩემპიონებსაც, ანუ ყველას შეუძლია და უცნაური სწორედ ეს არის. ამიტომ, სანამ არსებობს შანსი, ბოლომდე ვიბრძოლებთ. ზოგადად კი, ბუნებრივია, მეორე თუ მესამე ადგილზე გასვლას ტიტულის მოპოვება სჯობს.

**— როგორც ჩანს, ჩემპიონთა ლიგას ძველებური ჩემპიონთა თასი გირჩევნიათ.**

— ჩემი აზრით, ძველი შეჯიბრება უფრო საგანგებო იყო. მაშინ შეჯიბრებაში ნამდვილად დიდი ღირსეული გუნდები მონაწილეობდნენ. ისინი, ვინც იქ იმიტომ მოხვდნენ, რომ თავიანთი ქვეყნების ჩემპიონები გახდნენ. დღეს კი ჩვენ ძალიან მასშტაბური შეჯიბრება გვაქვს. ფულის თუ სხვა რამის გამო მასში ბევრი გუნდი მხოლოდ იმიტომ არის, რომ მონაწილეთა რაოდენობა საჭირო რიცხვს გაუტოლდეს.

**— კეთილი, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გასულ სეზონში სამი ტიტული მოიგო, არადა ლიგაში მეორე ადგილით იყო გასული, მაშინ ხომ ჩემპიონი „არსენალი“ გახდა.**

— „იუნაიტედს“ მიღწევას ვერ დავუკარგავ, მაგრამ ხალხს მართლაც დაავიწყდა, რომ იგი ლიგაში თავისი ქვეყნის ჩემპიონად არ შესულა. დღესაც ძველი ფორმატი რომ იყოს, „მანჩესტერი“ შეჯიბრებაში მართლაც ვერ ჩაერთვებოდა, მაგრამ ახლა საკითხს მეორე მხრიდან შევხედოთ: წლევანდელ „არსენალზე“ რაღას იტყვით? ჩვენც მეორე ადგილით მოვხვდით შეჯიბრებაში და რომ მოგვეგო, განა არავინ არაფერს იტყოდა?

**— უეფას თასისა და ჩემპიონთა ლიგის შედარება გვინდა გთხოვოთ. თქვენ „დეპორტივოს“ პირველ შეხვედრაში 5:1 მოუგეთ. რაც საუცხოო შედეგი გახლდათ...**

— უეფას თასზე ცოტა ამოვისუნთქეთ. ამ შეჯიბრებაში ზეწოლას არ ვგრძნობთ, არავინ გვთხოვს მაინცდამაინც გამარჯვებას. ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში გვინდოდა წარმატება. თანაჯგუფელებს, „ბარსელონასა“ და „ფიორენტინას“ რომ ვუყურებ, კვლავ ვრწმუნდები, რომ ისინი ძლიერი გუნდებია. უეფას თასზე კი ზეწოლა გაცილებით ნაკლებია და „არსენალს“ აქ წარმატების მიღწევა ნამდვილად შეუძლია. გარემოა განსხვავებული, არც საკუთარ და არც სხვის შედეგს დაძაბული არ ელოდები.

**— „არსენალი“ უეფას თასის საშინაო შეხვედრებს „ჰაიბერიზე“ ატარებს („ნანტთან“ 3:0, „დეპორტივოსთან“ 5:1). ამას თუ „უემბლიზე“ ჩატარებულ მატჩებს შევადარებთ, მიზეზების ჩხრეკა მოგვინდება...**

— სტადიონი თამაშის ყაიდაზე ახდენს გავლენას. როდესაც უცხოელი ინგლისში ჩადის და ინგლისურ გუნდს ინგლისურ სტადიონზე ხვდება, იქმნება საგანგებო გარემო. ასეთ პირობებში „ჰაიბერის“ ტიპის სარბიელი დიდ მნიშვნელობას იძენს. ზუსტად ეს მოხდა „დეპორტივოსთან“ შეხვედრაში, ამიტომაც გავიმარჯვეთ იოლად: მეტოქეს შევუტიეთ, ხალხმა მხარი დაგვიჭირა და მეტოქემ ამას თავი ველარ გაართვა.

**— ალბათ, ფეხბურთელთათვის, მით უფრო ვარსკვლავთათვის, ევროპულ სარბიელზე თამაში ძალიან მნიშვნელოვანია.**

— მოდით, „არსენალი“ მთლიანობაში განვიხილოთ. მწვრთნელით დავიწყოთ. ორი-სამი წლის წინ მან რაღაცის შენებას ჩაუყარა საფუძველი. პირველსავე სეზონში ჩვენ ინგლისის ჩემპიონის ტიტული და თასი მოვიგეთ, ახლა კი ევროპულ სიმაღლეებს ვუმიზნებთ და ვიმეორებ, თუ ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოვხვდით, სეზონი გაგვიცდება, ლიგაში გამარჯვება კი გამოცდილების გარეშე წარმოუდგენელია. [illegible] რომ „არსენალში“ მივედი, ევროპაზე ლაპარაკიც არ იყო და არც მაღელვებდა, რადგან ჩემი ამოცანა ინგლისურ ფეხბურთთან შეგუება გახლდათ. დღეს კი აზრი შევიცვალე.

**— სეზონი ევროპული შეჯიბრების გარეშე, თითქოს, სრულყოფილი სეზონი არც არის, არა?**

— აშკარად. კარგი კლუბისთვის ევროპული ფეხბურთი ნებისმიერი სეზონის ნაწილი უნდა იყოს. „არსენალი“ ევროშეჯიბრების გარეშე დაუშვებელია. მიზანი ყოველთვის ერთი უნდა იყოს: ქვეყნის ჩემპიონობა და ევროპული თასის მოპოვება. ამ ორიდან უფრო მნიშვნელოვანი ეროვნული პირველობაა, რადგან გამარჯვება კონტინენტზე თამაშის საშუალებას იძლევა.

**— მართალია, უეფას თასი ჩემპიონთა ლიგასთან შედარებით უმნიშვნელოა, მაგრამ მასში გამარჯვება, ალბათ, მაინც ძალიან დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.**

— ცხადია, ეროვნული პირველობა უფრო მნიშვნელოვანია, მაგრამ უეფას თასის მოგებაც დიდი საქმეა.

**— ალან შირერმა ამასწინათ განაცხადა, რომ ევრო 2000-ის შემდეგ სანაკრებო ფეხბურთს თავს დაანებებს. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ იმ დროისთვის — აგვისტომდე — ის 30 წლისაც არ იქნება. გაგაოცათ მისმა ნათქვამმა?**

— არ გამკვირვებია. არ მინდა ვიწუწუნო, მაგრამ პრემიერლიგა ერთობ დამღლელია. საშობაო არდადეგებიც კი არ გვაქვს. ივლისიდან მაისამდე შეუსვენებლად ვთამაშობთ. ზაფხულგამოტოვებით ამას სანაკრებო შეჯიბრებები ემატება, ამასობაში კი წლები გემატება, გყავს ოჯახი, რომელიც შენს დროს ითხოვს. საერთაშორისო ფეხბურთი საკლუბოსთან ერთად ძალიან ძნელი გასაძლები ხდება და ამიტომაც, შირერის გადაწყვეტილებაში უცნაურად არაფერი მეჩვენება.

**— თქვენც იგივეს ხომ არ აპირებთ?**

— ამ წუთას გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ისე ჩანს, რომ ევრო 2000 ჩემთვის უკანასკნელი დიდი ტურნირი იქნება. ჯერ კიდევ ორი წლის წინ ვფიქრობდი, რომ სანაკრებო კარიერის დასრულება იმ ჩემპიონატზე, რომელიც ჩემს სამშობლოში ტარდება, ძალიან ლამაზი იქნებოდა.

**— და ინგლისის ნაკრებს შირერის წასვლის შემდეგ მისი შემცვლელი ეყოლება?**

— ინგლისს ბევრი თავდამსხმელი ჰყავს. ძალიან მომწონს ემილ ჰესკი. მისი გუნდში ყოლა აუცილებელია. მას შეუძლია მარჯვნივ და მარცხნივ მოძრაობა და წინა თავდამსხმელისთვის სივრცისა და მომენტების შექმნა. იქნებ მას ბევრი გოლი არც გააქვს, მაგრამ ბომბარდირთათვის შეუცვლელი კაცია.

**— დაბოლოს, თქვენი კონტრაქტის საქმე როგორ არის?**

— არაფერი შეცვლილა. თავს ბედნიერად ვგრძნობ, რომ კიდევ ერთი წელიწადი მაკავშირებს „არსენალთან“. საკონტრაქტო მოლაპარაკებანი წინაა და ვნახოთ, რა მოხდება. კმაყოფილი ვარ, რომ ტრავმა მოვიშუშე და, ალბათ, მალე ძველებურად ავთამაშდები.

**365-დან თარგმნა**
**პაპუნა ბედიამ**

## ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. C ჯგუფი

### ბაიერნი 4:1 რეალი

1:0 შოლი (4), 2:0 ელბერი (30), 2:1 ივან ელგერა (69), 3:1, 4:1 ციკლერი (79, 90)
ბაიერნი: კანი, კუფური, ლინკე, მათეუსი (პ. ანდერსონი 89), ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი, ფინკი, ეფენბერგი, შოლი, პაულო სერჟიო, ელბერი (ციკლერი 72)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
რეალი: კასილიასი, რობერტო კარლოსი, კარანკა (ანელკა 69), იერო, მიჩელ სალგადო, რედონდო, გუტი, ჯერემი (მაკმანამანი 62), ივან ელგერა, რაული, მორიენტესი (ივან კამპო 85)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: კარანკა, შოლი, რობერტო კარლოსი, ეფენბერგი
მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)
60 000 მაყურებელი

ყველა სხვა შემთხვევაში მსაჯი მას ყვითელი ბარათით დასჯიდა, მეტოქეები კი მუჯლუგუნებით მიაბრძანებდნენ მოედნიდან, თუმცა გაფრთხილება და კინკლაობა რა მოსატანია, სულ ხვევნა-კოცნითა და გზის დალოცვით დამთავრდა ყველაფერი. „რეალი" იმ დროს 1:3 აგებდა და ვითომ ეჩქარებოდა, მაგრამ მხოლოდ ვითომ — აკი დელ ბოსკემ ბოლო წუთებში მორიენტესი მცველ ივან კამპოთი შეცვალა, ემანდ მთლად არ გავნადგურდეთო. მოკლედ, „რეალს" ალარსად ეჩქარებოდა და ლოთარ მათეუსის გაცილებაც აღარ შეურაცხყო. ორიოდ წუთში „რეალი" მაინც განადგურდა — ციკლერმა მეოთხეც შეაგდო. მერე კი იყო ზეიმი, თან ისეთი ფოიერვერკით, თბილისი რომ შეხვდება 3000 წელს. ამის შემხედვარე, შესაძლოა, ფერნანდო იეროსაც გასჩენოდა მშობლიურ კლუბთან დამშვიდობების სურვილი, მითუმეტეს, რომ... ჯერ იყო და, მადრიდელთა კაპიტანმა მე-4 წუთზე საკუთარ მეკარესთან პირისპირ დატოვა შოლი (სწორედ ამიტომაც არ იყო თამაშგარე) და ანგარიში გაახსნევინა, 30-ე წუთზე კი თვით ჩვენი ეროვნული ჩემპიონატისთვის უცხო, ელემენტარული შეცდომა დაუშვა და ამჯერად უკვე ელბერი მიუშვა კასილიასთან — 2:0. ამ ორ გოლს შორისაც მოასწრო იერომ თავის შერცხვენა. ასე რომ, თუ მალე „სანტიაგო ბერნაბეუს" თავზეც ფოიერვერკი იხილეთ, არ გაიკვირვოთ.

...სტუმართა რიგებში მხოლოდ რაული ჰგავდა სამეფო კლუბის ფეხბურთელს, თუმცა მარტოკაცი, ჯერ ჭამა რაა, თამაშში ხომ სულ საცოდავია. რობერტო კარლოსმაც მხოლოდ ერთხელ გაისროლა და ძელს გაარტყა. ამაზე ზუსტი ელგერას დარტყმა გამოდგა და თითქოს... მხოლოდ თითქოს — თამაშის შემომტრიალებელი არც მაკმანამანი იყო და არც ანელკა. დელ ბოსკეზე რომ არაფერი ვთქვათ. ჰიცფელდმა კი ციკლერი შეუშვა და გაუმართლდა. ამან ჯერ მათეუსის წამოწყებული კომბინაცია დაასრულა ცხრიანში დარტყმით, წამატებულ დროში კი, ჩვენებურ გიორგი დემეტრაძისგან განსხვავებით, ხუთწამიანი სანახაობა მოაწყო — როგორ გაიტანო გოლი მეკარესთან პირისპირ გასულმა.

და ერთიც. „ბაიერნი" მეოთხედფინალში გავიდა (როგორც რამდენიმე სააგენტომ გადმოსცა) და თან არც გასულა. ცხადია, მიუნხენელები დარჩენილ ორ თამაშს (შემდეგი შინ, „რუსენბორგთან") არ წააგებენ, მაგრამ სანამ „რეალსა" და „დინამოს" თეორიული შანსი აქვთ, ჰოპლას ძახილი, მითუმეტეს, გერმანელებს, არ ეგებით.


REUTERS მიუნხენიდან

ბაიერნი — რეალი 4:1. მიუნხენელი მეჰმეტ შოლი ანგარიშის გახსნას ხარობს

### რუსენბორგი 1:2 დინამო

0:1 რებროვი (32), 1:1 ბერგი (38), 1:2 რებროვი (66)
რუსენბორგი: არასონი, ბასმა, ბრაგსტადი, ჰოფტუნი, იონსენი, სტრანდი (სტორვიკი 78), სკამელსრუდი, ო. ბერგი, სორენსენი, კარეუ, მინიაკობსენი (კნუტსენი 78)
მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი
დინამო: შოვკოვსკი, გერასიმენკო, მამედოვი, ნესმაჩნი (კორმილცევი 67), ხაცკევიჩი, კალაძე, გუსინი, ბელკევიჩი, ფიოდოროვი, რებროვი, შაცკიხი (დემეტრაძე 46)
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
გაფრთხილება: კალაძე
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
13 069 მაყურებელი

ამ შეხვედრას ორივე გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა — დამარცხებული მეოთხედფინალში გასვლის შანსს კარგავდა. კიეველებმა იყოჩაღეს და ჯგუფში ორი წაგების შემდეგ ზედიზედ ორჯერ მოიგეს.

სწრაფი გოლის იმედით მასპინძლებმა თავიდანვე მწვავედ შეუტიეს, მაგრამ სტუმართა დაცვის წინააღმდეგ ვერაფერს გახდნენ. „დინამო" კი დაცვაში გამაგრებას არ აპირებდა— ჰაერივით სჭირდებოდა ერთი გოლი მაინც, რომელიც 32-ე წუთზე გავიდა. უკრაინელებმა კუთხურიდან ჩააწოდეს. საჯარიმოში კი ბურთს ის ფეხბურთელი შესწვდა, [illegible] მოსალოდნელი იყო. ტანდაბალმა სერგეი რებროვმა ახმახ ნორვეგიელებს აჯობა და ანგარიში გახსნა.

„რუსენბორგი" მშობლიურ სტადიონზე მარცხს ძნელად თუ შეეგუებოდა და ისევ შეტევაზე გადაერთო. ტრონჰეიმელებს მონდომება დაუფასდათ. 38-ე წუთზე შოვკოვსკის კართან არეულობა შეიქნა. ბურთისთვის ბრძოლაში ათიოდე ფეხბურთელი მაინც ჩაება. იქ ბერგმა იმარჯვა, ბურთს ფეხი წაჰკრა და როცა კიეველთა მეკარე სიტუაციაში გაერკვა, გვიანლა იყო. ესეც 1:1.

მეორე ტაიმში ბრძოლა გამწვავდა. იმატა სახიფათო მომენტების რიცხვმაც. ჩინებული შანსი შეცვლაზე შესულ გიორგი დემეტრაძესაც მიეცა, მაგრამ... ჯერ იყო და საჯარიმოში შეიჭრა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ბოლო ბარიერის გადალახვა ველარ შეძლო. მეორე შემთხვევაში არნი არასონსაც გასცდა და ის იყო, ცარიელ კარში უნდა გაეტანა, რომ ფეხი დაუცდა და ასპროცენტიანი გოლი ვერ შეაგდო.

სტუმრებს მხსნელად კვლავაც სერგეი რებროვი მოევლინათ. 66-ე წუთზე მის მიერ 15 მეტრიდან დარტყმული ბურთი „რუსენბორგის" კარის ბადეში გაეხვია. ეს უკვე გამარჯვების გოლი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ 14 მარტს „სანტიაგო ბერნაბეუზე" დიდ ბრძოლას უნდა ველოდოთ — მეოთხედფინალში გასასვლელად „დინამო" და „რეალი" ძალებს არ დაზოგავენ.

შეხვედრის შემდეგ კიეველთა მეორე მწვრთნელმა ალექსეი მიხაილიჩენკომ თქვა: „ურთულესი მატჩი გვქონდა. ვფიქრობ შედეგის გარდა თამაშის ხარისხითაც დავამტკიცეთ, რომ „რუსენბორგზე" ძლიერები ვართ". ნორვეგიელთა თავკაც ნილს არნე ეგენს კი რაღა ეთქმოდა: „უცნაური მატჩი იყო. ამდენი საგოლე მომენტი ჩემპიონთა ლიგის არც ერთ შეხვედრაში არ შეგვიქმნია. მაგრამ ვაი, რომ ფორტუნამ ზურგი გვაქცია".

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | 2:1 | 4:1 | 14.III | 11:5 | 10 |
| 2 | დინამო | 22.III | | 1:2 | 2:1 | 6:6 | 6 |
| 3 | რეალი | 2:4 | 14.III | | 3:1 | 8:10 | 6 |
| 4 | რუსენბორგი | 1:1 | 1:2 | 22.III | | 4:8 | 1 |

## ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. D ჯგუფი

### ფეიენოორდი 0:0 ლაციო

ფეიენოორდი: დუდეკი, ვან გობელი, ვან ვონდერენი, კონტერმანი, რზასა, ბოსველტი, ვან გასტელი, პაუვე (კალუ 66), დე ვისერი, დალ ტომასონი, ხულიო კრუზი
მწვრთნელი: ლეო ბეენჰაკერი
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, მიხაილოვიჩი, ნესტა, პანკარო, სენსინი, ნედვედი, ვერონი, სერჟიო კონსეისაო, სალასი, მანჩინი (ს. ინძაგი 66)
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
გაფრთხილება: ნესტა, ვერონი, კონტერმანი, ვან ვონდერენი, მიხაილოვიჩი
მსაჯი: გიუნტერ ბენკო (ავსტრია)
45 000 მაყურებელი

ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთმა ფავორიტმა, რომის „ლაციომ" როტერდამის „ფეიენოორდის" დამარცხება ვერც ამჯერად მოახერხა, შეხვედრა ფრედ 0:0 დაასრულა და თასის აღება რა სახსენებელია, მეოთხედფინალში მოხვედრაც კი საეჭვოდ გაიხადა. რომაელები 4 ტურის შემდეგ ხუთი ქულით მესამე ადგილზე დამკვიდრებულან და ორით ჩამორჩებიან „ჩელსისა" და „ფეიენოორდს". სვენ გორან ერიკსონმა რაიმე თუ არ ილონა და რომაულმა კლუბმა დარჩენილ ორ ტურში არ იყოჩაღა, „ლაციო" შეიძლება ჯგუფშიც ჩარჩეს, ეს კი შვედ თავკაცს ალბათ, სავარძლის ფასად დაუჯდება.

„შედეგმა აშკარად იმედი გამიცრუა. ვფიქრობ, ჩემმა გუნდმა ბევრი იშრომა და მოინდომა, მაგრამ ბედმა გვიმუხთლა. გოლის გატანის რამდენიმე შანსი მოგვეცა, თუმც ფორვარდებმა ვერ ივარგეს — განაცხადა ერიკსონმა და დასძინა — მეტოქის თამაშმა კი ნამდვილად მომხიბლა, განსაკუთრებით მომეწონა მათი მეკარე იურეკ დუდეკი. ორი ქულის დაკარგვით საქმეები ერთობ გავირთულეთ. მეოთხედფინალში მოსახვედრად ორივე მატჩი უნდა მოვიგოთ, რაც გუნდს ფსიქოლოგიურ პრობლემასაც უქმნის. ამ მხრივ „ფეიენოორდსა" და „ჩელსის" უპირატესობა აქვთ".

ერიკსონისგან ნაქებმა დუდეკმა თქვა: „შედეგით კმაყოფილი უნდა ვიყოთ, კარგია, რომ კარი მშრალად შევინახე, „ლაციოს" ხომ უმაღლესი კლასის ფეხბურთელები ჰყავს — ვერონი, სალასი, მიხაილოვიჩი. ვერონს ურთულესი სიტუაციიდან შეუძლია გოლის გატანა. ასე რომ, უკანასკნელ წამებამდე დაძაბული უნდა იყო".

მიუხედავად კარგი თამაშისა, დუდეკმა ერთი საკმაოდ მარტივი შეცდომა მაინც დაუშვა — საკუთარი საჯარიმოდან ბურთი ხეირიანად ვერ მოიგერია და რამდენიმე მეტრში მყოფ მარსელო სალასს მიუგორა, რომელიც მოულოდნელმა საჩუქარმა ოდნავ დააბნია და ხელსაყრელი პოზიციიდან გოლის გატანა ვერ მოახერხა.

როტერდამელთა თავკაცი ლეო ბეენჰაკერი კმაყოფილი ჩანდა: „მაყურებელმა დღეს ნამდვილად ლამაზი სანახაობა იხილა. მართალია, გოლი არ გასულა, მაგრამ მომენტები მრავლად იყო. საბოლოო შედეგით კმაყოფილი ვარ. როდესაც მეორე ჯგუფურ ეტაპზე მოვხვდით, ამდენსაც არ ვგეგმავდი. ახლა კი მეოთხედფინალში მოხვედრის შანსი გაგვიჩნდა".

### ჩელსი 1:0 მარსელი

1:0 უაიზი (27)
ჩელსი: დე გუი, ბაბაიარო, ლებეფი, დესაი, ფერერი, დეშამპი (დი მატეო 79), პოიეტი, უაიზი, მორისი, ძოლა (ჰარლი 79), ფლო
მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი
მარსელი: ტრევიზანი, პერესი (ფიშერი 39), სიპრიენი (დე ლა პენია 66), ბრანდო, დალმა, აბარდონადო, ჟ. ლერუა, ლუქსენი, პირესი, პუჟე, ბაკაიოკო
მწვრთნელი: ბერნარ კაზონი
გაფრთხილება: დეშამპი, ლებეფი, პუჟე, ფიშერი
მსაჯი: ხუან ანტონიო ფერნანდეს მარინი (ესპანეთი)
33 206 მაყურებელი

27-ე წუთზე დენის უაიზის მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით „ჩელსიმ" „სტემფორდ ბრიჯზე" მარსელის „ოლიმპიკი" დაამარცხა და D ჯგუფს სათავეში მოექცა, თუმცა ლონდონურ კლუბს იოლი გამარჯვება ნამდვილად არ მოუპოვებია. ფრანგები საკმაოდ აქტიურობდნენ და მასპინძელთა კართან არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ ედ დე გუის ვაჟკაცობამ და იღბალმა „ჩელსი" აშკარად იხსნა და მინიმუმ ორი ქულა შეუნარჩუნა.


REUTERS ლონდონიდან

ჩელსი — მარსელი 1:0. ლონდონელ დენის უაიზს (№11) მარსელელთა კარში გოლი გააქვს

„ამ საღამოს ბედი გვწყალობდა" — განაცხადა ლონდონელთა თავკაცმა ჯანლუკა ვიალიმ და დასძინა — ერთი კვირის წინანდელ მატჩზე კი სრულიად საპირისპირო მეთქმის. რაც შეეხება დღევანდელ შეხვედრას, პირველ ტაიმში ჩვენი მოვალეობა მეტ-ნაკლებად კარგად შევასრულეთ, მეორეში კი ოდნავ დავიბენით. მარსელელებმა გვაჯობეს, სახიფათოდ შემოგვიტიეს და აშკარად გაგვიმართლა, სამი ქულა რომ არ დავკარგეთ".

თავის დამრიგებელს ნორვეგიელი თავდამსხმელი ტორე ანდრე ფლოც დაეთანხმა, რომელმაც ერთადერთ გოლში ლომის წვლილი დაიდო. „მართალია, ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ საბოლოოდ მოვიგეთ. დღეს ჩვენი საქმე ვიცოდით და მიზანსაც მივაღწიეთ, თუმცა კმაყოფილი ნამდვილად არ ვართ. აშკარად მეტი შეგვეძლო".

„ოლიმპიკის" ბანაკში კი იმედგაცრუება სუფევდა. „ჩელსისთან" წაგებით გუნდი მეოთხედფინალს თითქმის გამოემშვიდობა და მხოლოდ თეორიულ შანსს თუ ინარჩუნებს. გუნდის თავკაცმა ბერნარ კაზონიმ განაცხადა: „ნამდვილად არ გაგვიმართლა, „ჩელსის" კი, პირიქით, ბედი სწყალობდა. კარგად ვითამაშეთ და გოლი რომ გაგვეტანა, ალბათ, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. მონდომება არ დაგვიკლია, მაგრამ როცა იღბალი გღალატობს, ვერაფერს გახდები".

მარსელელთაგან ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა ფეხბურთელმა ჟერომ ლერუამ, რომელმაც დე გუის კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა, სინანული ვერ დამალა: „იმდენი შანსი ვერ გამოვიყენეთ, რომ საბოლოოდ დავისაჯეთ. მოგებას, ალბათ, ვიმსახურებდით, მაგრამ ახლა გვიანაა, ეს მინდორზე უნდა დაგვემტკიცებინა. მომდევნო ტურში „ლაციოსთან" თუ მოვიგეთ, მეოთხედფინალში გასვლის შანსს კიდევ შევინარჩუნებთ, მაგრამ ეს ურთულესი ამოცანა იქნება".

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩელსი | | 3:1 | 22.III | 1:0 | 4:2 | 7 |
| 2 | ფეიენოორდი | 14.III | | 0:0 | 3:0 | 6:4 | 7 |
| 3 | ლაციო | 0:0 | 1:2 | | 14.III | 3:2 | 5 |
| 4 | მარსელი | 1:0 | 22.III | 0:2 | | 1:6 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ყინვა უდაბნოში



გრეგ რუზეცკი

სკოტსდეილი. აშშ. „ფრანკლინ ტემპლტონ ტენის კლასიკი". ჰარდი. საპრიზო 350 ათასი $

არიზონას შტატის პატარა ქალაქში მიმდინარე მეტად გრძელი სახელწოდების კაცთა ტურნირის საპრიზო ფონდი მხოლოდ 350 ათასი დოლარია, თუმცა მისი შემადგენლობა არაჩვეულებრივად ძლიერია: კლასიფიკაციის პირველ-მეორეადგილოსნები ანდრე აგასი და პიტ სამპრასი, სამი ყოფილი მსოფლიოს პირველი ჩოგანი — პატრიკ რაფტერი, მარსელო რიოსი და კარლოს მოია. თავად განსაჯეთ, რვა განთესილს შორის ინგლისელი გრეგ რუზეცკიც კი ვერ მიხვდა.

და რა იზიდავს ყველა ჩოგბურთელს სკოტსდეილში? არა, ლამაზი ბუნება, კარგი პირობები, ან თუნდაც სურვილი, სეზონის პირველი, ინდიან უელსის მასტერსის (ყოფილი მერსედეს სუპერ 9) ტურნირისთვის მოემზადო, აქ არაფერ შუაშია.

საქმე ის არის, რომ საპრიზო ფონდზე სამჯერ მეტ თანხას ორგანიზატორები პირადად ჩოგბურთელების მიწვევას ახარჯავენ. მაგალითად, ანდრე აგასის 200-300 ათასი დოლარი ერგება, მარსელო რიოსს, პატრიკ რაფტერსა და მისთანებს — დაახლოებით 100. და ეს თუნდაც მაშინ, თუ პირველ წრეში წააგებენ.

ერთადერთი ბობოლა, ვინც წლეულს იოლი ფულით ხელი ვერ მოითბო, უიმბლდონის ექვსგზის ჩემპიონი პიტ სამპრასია. ამერიკელს ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში მიღებული ტრავმის შემდეგ არსად უთამაშია, სკოტსდეილში ასპარეზობა მოგვიანებით გადაწყვიტა და ძირითად ბადეში მოსახვედრად უაილდ ქარდი დასჭირდა.

სამპრასს პირველ წრეში მეტად უსიამოვნო მეტოქე ერგო მსოფლიოში უსწრაფესი მოწოდების პატრონი გრეგ რუზეცკის სახით, თუმცა ორშაბათს დაგეგმილი მატჩი უამინდობის გამო არ გაიმართა.

საერთოდ, არიზონაში ეს რამდენიმე დღეა, უცნაური რამ ხდებოდა. ზოგჯერ თვეების მანძილზე წვეთი არ ჩამოვარდება ციდან, მაგრამ იქვე მიმდინარე ქალთა ტურნირის ფინალი ლინდსი დევენპორტსა და მარტინა ჰინგისს შორის თავსხმა წვიმების გამო ჯერ ერთი დღით გადაიდო, მერე კი საერთოდ გაუქმდა.

სამპრასმა და რუზეცკიმ კორტზე გამოსვლა, ბოლოს და ბოლოს, კი მოახერხეს, მაგრამ სათამაშო პირობებს იდეალური ნამდვილად არ ერქმოდა — ჰაერის ტემპერატურა მხოლოდ 5 გრადუსი იყო.

„ჩემთვის რომ ეთქვათ, რომ აქ ასეთი სიცივე დამხვდებოდა, არც ჩამოვიდოდი — აღნიშნა მოგვიანებით პისტოლ პიტმა — ასე თამაში ძალიან ძნელია. პირველ ყოვლისა იმაზე უნდა იზრუნო, რომ გათბე, რადგან იოლად შეიძლება დაშავდე. მსგავს ყინვაში მხოლოდ ერთხელ, ჰამბურგში მიასპარეზია".

ალბათ, ამის ბრალიც იყო ის, რომ მატჩის განმავლობაში რუზეცკის მხოლოდ 5 ეისი დაუგროვდა, სამპრასს კი ოდნავ მეტი.

თავად შეხვედრა ამერიკელის უპირატესობით წარიმართა. მან კარგად ისარგებლა მეტოქის ორმაგი შეცდომით, რომელიც გრეგმა უადგილო დროს დაუშვა, რუზეცკის 3:1-ზე მოწოდება აართვა და პირველი სეტი იოლად მოიგო.

მეორე ხელში ინგლისელსაც გაუჩნდა იმედის ნაპერწკალი, მაგრამ 2:2-ზე ბრეიკ-პოინტები ვერ გამოიყენა, ასეთი შანსი კი სამპრასთან შეხვედრაში მხოლოდ ერთი-ორჯერ თუ მოგეცემა. საბოლოოდ 6:3, 6:4 პიტის სასარგებლოდ.

„ერთადერთი რამ, რამაც დღეს დამალალატა, მოწოდება იყო. უკანა ხაზიდან და შემოვლებულებზე მშვენივრად ვირჯებოდი, მაგრამ როცა ანდრეს, პიტს ან კაფელნიკოვს ეთამაშები, თითოეული შეცდომისთვის ისჯები. ახლა უკვე ვიცი, რაც უნდა გამოვასწორო — დღეში მინიმუმ ერთი საათი მოწოდებებზე ვივარჯიშებ, სამი თვის არყოფნამ თავისი გააკეთა" — განაცხადა რუზეცკიმ, რომელმაც დეკემბერში ფეხის ოპერაცია გადაიტანა.

28 წლის სამპრასი, ბუნებრივია, უკეთეს ხასიათზე იყო: „ტრავმის გამო იძულებითი შესვენება შეიძლება პირიქით, სასარგებლო გამოდგეს. ამდენი ხნის მანძილზე არყოფნამ უკეთ მიმახვედრა, თუ როგორ მიყვარს ჩოგბურთი. თამაშს მოწყურებული ვარ და იმედი მაქვს, წინ წარმატებული სეზონი მელის."

ბოლო ხანებში ATP ტურზე გახშირებული ტრავმიანობის შედეგად ძნელია, ისეთი ჩოგბურთელი გამოძებნო, რაიმე არ სტკიოდეს ან ოპერაცია არ გადაეტანოს.

მარსელო რიოსს სხეულზე ლამის კიდური არა აქვს დარჩენილი, ქირურგის სკალპელს მადიანად არ დაემუშავებინოს. ამჯერად კიკინიანმა ჩილელმა ნოემბერში საზარდულის ოპერაცია გაიკეთა და 2000-ში სკოტსდეილამდე ერთადერთი მატჩი გამართა — მშობლიურ სანტიაგოში პირველივე წრეში დამარცხდა.

24 წლის ჩოგბურთელი, რომელიც ორი წლის წინ მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო, ამჟამად ახალი კლასიფიკაციის სისტემით მხოლოდ 182-ე გახლდათ და კიდევ 19 ჩოგბურთელთან ინაწილებდა უკანასკნელ ადგილს.

პირველ წრეში რიოსს, თავისდა საბედნიეროდ, საშინელ ფორმაში მყოფი ამერიკელი ვინს სპედეა შეხვდა, რომელიც წლეულს მატჩს მატჩზე აგებს. ჩილელმა სწრაფად მოიგო პირველ სეტი, მეორეში კი ლამის 5:1 უპირატესობა გაანიავა, თუმცა საათზე ოდნავ მეტში მაინც იმარჯვა 6:4, 6:4.

„ეს ოთხი თვის მძიმე შრომის შედეგი იყო. როდესაც იგებ, თითქოს დახარჯული ენერგიაც უკან გიბრუნდება. მეგონა, რომ გასული კვირისთვის მზად ვიყავი, მაგრამ ფეხები ჯერ კიდევ მოისუსტებდნენ და თავსაც მაინცდამაინც კარგად არ ვგრძნობდი. ამ ტურნირისთვის, მგონი, შედარებით უკეთ გამოვიყურები" — ეს რიოსის სიტყვებია.

მოიგო წლეულს საერთოდ უთამაშებელმა კარლოს მოიამაც. 23 წლის ესპანელი ზურგს ჯერ კიდევ გასულ ზაფხულში იტკივებდა, მაგრამ ამას შესაფერისი ყურადღება არ მიაქცია, შემოდგომაზე ისევ ითამაშა და უკვე სერიოზულადაც დაშავდა.

როლან გაროსის ჩემპიონი საბოლოო გამოჯანმრთელებამდე აჭიანურებდა სპორტში დაბრუნებას, მერვედფინალის საგზური კი არგენტინელი მარიანო ზაბალეტას 7:5, 7:5 დამარცხებით მოიპოვა.

ერთადერთი მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ვისაც ნაადრევად მოუხდა აბარგება, პატრიკ რაფტერი აღმოჩნდა. აშშ-ის ღია პირველობის გამარჯვებული 20 წლის ამომავალ ვარსკვლავ ხუან კარლოს ფერეროსთან დამარცხდა 4:6, 2:6 და საკუთარ თავზე ძალიანაც გაბრაზდა.

„ალბათ, ცოტა ვიჩქარე მხრის ოპერაციის შემდეგ თამაში. არ მაქვს ძველებური რიტმი, სტაბილურობა ან ბურთის შეგრძნება და სადღაც გონებაშიც ვიცი, რომ საჭირო სამუშაო არ შემისრულებია."

პირველი წრე: **ანდრე აგასი (1, აშშ)** — მარკუს ონდრუშკა (სამხრეთ აფრიკა) 6:1, 6:2; **ნიკოლას ლაპენტი (4, ეკვადორი)** — ენდრიუ ილი (ავსტრალია) 1:6, 6:2, 6:3; **ტიმ ჰენმანი (5, ინგლისი)** — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:3, 7:6 (7:3); **ლეიტონ ჰიუიტი (6, ავსტრალია)** — დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) 6:1, 6:7 (3:7), 6:2; **ალბერტ კოსტა (7, ესპანეთი)** — პოლ გოლდსტაინი (აშშ) 6:3, 6:1; **ალექს კორეტხა (ესპანეთი)** — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6:3, 6:1; **უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა)** — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 6:7 (4:7), 6:4, 6:4; **ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი)** — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:0, 6:3.

ბოგოტა. კოლუმბიის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 350 ათასი $

პირველი წრე: **გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია)** — სერხი ბრუგერა (ესპანეთი) 6:4, 6:1; **იუნეს ელ აინაუი (2, მაროკო)** — გასტონ ეტლისი (არგენტინა) 6:4, 4:6, 7:6 (7:1); **ფელიქს მანტია (3, ესპანეთი)** — გალო ბლანკო (ესპანეთი) 7:5, 6:2; **ფერნანდო ვისენტე (4,ესპანეთი)** — მარტინ როდრიგესი (არგენტინა) 7:5, 7:5; **არნო დი პასკუალე (5, საფრანგეთი)** — ტომაშ ჟიბი (ჩეხეთი) 6:4, 6:3; **დავიდე სანგვინეტი (იტალია)** — გასტონ გაუდიო (6, არგენტინა) 6:2, 6:4.

**ავთანდილ სვანიძე**



მარსელო რიოსი





ბო ჰამბურგერი ტკივილსაც ებრძვის და მეტოქეებსაც

# დანიელებს ჰამბურგერი შეყვართ

ბო ჰამბურგერი გუშინწინდლამდე ორი რამით იყო განთქმული: მადისაღმძვრელი გვარით და 1994 წლის „ტურ დე ფრანსზე" ერთი ეტაპის მოგებით. ამიერიდან 31 წლის დანიელ ვეტერანს, რომელმაც სამშობლოს სახელით პირველად ამა წლის 8 მარტს ირბოლა, „პარიზი — ნიცის" ეტაპის მოგებაც გაჰყვება ტკბილ მოგონებად. რიგით მეოთხე რბოლა სპორტსმენებმა ტრევოში დაიწყეს და სენტ ეტიენში დაასრულეს. 178-კილომეტრიანი გზის საწყისი მესამედი მეგობრულ ერთიანობაში გაილია და მხოლოდ ამის შემდეგ გავარდა 11 კაცი წინ. ახლა მათმა კოლექტიურმა ქროლამ შეიწირა კიდევ 30 კილომეტრი, მერე კი ჰამბურგერი და ერთი იტალიელი — რინალდო ნოკენტინი დაწინაურდნენ. ფინიში დრამატული არ ყოფილა. ჰამბურგერი სიტუაციას კარგად აკონტროლებდა და მეტოქესაც ათიოდე წამით გაუსწრო. დანიელის გამარჯვება დასაფასებელია, რადგან ბოლო სეზონებია, ხერხემალი ვერა აქვს წესრიგში და თითოეული რბოლა ნებისყოფის დიდ დაძაბვად უჯდება. ხედავენ ამას დანიელები და დაბრუნებულ თანამემამულეს გვარიანად ამკობენ. საერთოდ, საფრანგეთში მათი ერთადერთი გუნდი გამოდის, „ჯეკი და ჯონსი", რომელიც ახალბედაა და „პარიზი — ნიცის" ტურზე ფანტასტიკური შედეგების ჩვენებას კი არა, „ტურ დე ფრანსის" საგზურების დათრევას გეგმავს. „საამისოდ გუნდში მშვენიერი ატმოსფეროა" — ამბობს დანიელთა თავკაცი ჯონი ველცი — „პირველი შემთხვევაა, როცა დანიელები ერთად, ერთ გუნდში რბოლობენ და ერთნაირი ტანსაცმელი აცვიათ. აქ „ტურ დე ფრანსის" სამი საგზური მაინც უნდა დაგვრჩეს". მოვიწონოთ ბატონ ველცის ოპტიმიზმი, მკითხველს კი საერთო ჩათვლის საუკეთესო ხუთეულს ვთავაზობთ.

**დავით გულუა**

**საერთო ჩათვლა**

1 ლორან ბროშარი (საფრანგეთი, „ჟან დელატური") — 14.23.35;
2 ანდრეას კლოედენი (გერმანია, „დოიჩე ტელეკომი") — +10;
3 ფრენკი ენდრიუ (აშშ. „იუ-ეს პოსტალი) — +12;
4 ფრანსისკო მანსეტი (ესპანეთი, „ბანესტო") — +13;
5 ფრან სიმონი (საფრანგეთი, „ბონეური") — +16



# რიჩარდსონ ლომგული



მარკ რიჩარდსონი

27 წლის ბრიტანელი მარკ რიჩარდსონი ერთ იმ მძლეოსანთაგანია, ვინც გასული წლის მეორე ნახევარში, მძლავრად აგორებულ სადოპინგო წუმპეში მოჰყვა. 27 ოქტომბერს ბრიტანელს სისხლში ყველაზე პოპულარული დოპინგი, ნანდროლონი უპოვეს. თუმცა, მაშინ, ბრიტანეთის მძლეოსნობის ფედერაციამ გაამართლა, როგორც ეს კიდევ რამდენიმე ცნობილი მძლეოსნის შემთხვევაში მოხდა. მერე, თუ გახსოვთ, მსოფლიოს მძლეოსნობის მამები ავარდნენ, რას აკეთებს ეს ხალხი, თუ მისდგნენ და დიდი პატარა ასე ამართლეს, ჩვენ რისთვისღა ვმუშაობთო. შეიძლება სწორედ ამის გამოძახილია, ახლა რიჩარდსონს თავად ბრიტანელებმა რომ ურჩიეს მოთმენა. ურჩიეს კი არა, დაუკანონეს, სანამ შენს საქმეს საფუძვლიანად არ გავარჩევთ, ჩუმად იყავიო, თანაც ანუგეშეს, ნუ გეშინია, ჩვენი აზრითაც შენს სისხლში ნანდროლონის მომატება საკვების დამატების ბრალი უნდა იყოს და წესით, სიმართლე არ უნდა დაგეკარგოსო. „რას ქვია, მეშინია!" — აილეწა რიჩარდსონი, როცა ჟურნალისტებმა მომხდარის კომენტარი სთხოვეს — „მე არაფრის მეშინია! მაიკლ ჯონსონი დამიმარცხებია, ატლანტის 4X400 მეტრიან ესტაფეტაში ვერცხლის მედალი ამიღია და რა მაქვს დასამალი. ყველამ, ვინც მე მიცნობს, ხუთიანზე იცის, რომ ფარსია ეს ყველაფერი, ამიტომაც გამოვიტანე მთელი ამბავი ღია სამსჯავროზე". რიჩარდსონს შეუძლია მხნედ იყოს, რადგან მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მამები როგორც იქნა, უფრო ჩაუღრმავდნენ ნანდროლონის პრობლემას და დაასკვნეს, ლირს შემოწმება, შეიცავენ თუ არა საკვები დანამატები ამ წყეულ ნივთიერებას, მათაც და მძლეოსნებსაც ნერვებს რომ უშლის კარგა ხანია.

**დავით გულუა**

# მკვლელების დრო წავიდა
## ჯავშანი სამეფო ავტომხედრიონისთვის

*ზეგ მელბურნში ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებით დაიწყება ფორმულა 1-ის 51-ე ჩემპიონატი. „ალბერტ-პარკის" ტრასა მეხუთედ უმასპინძლებს „სამეფო რბოლებს". ეს ხუთკილომეტრიანი წრე ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე და უხიფათოა წლევანდელი პირველობის 17 ავტოდრომს შორის.*

*ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილი ახალი ტრასები (მათ შორის მალაიზიის ულტრათანამედროვე „სეპანგი"), ცხადია, მრბოლების დაცვის გაცილებით საიმედო გარანტიას იძლევა. წინათ კი...*

ფორმულის გარიჟრაჟზე, ანუ 50-იან წლებში, სულ ორი-სამი ტრასა თუ მოიძებნებოდა, რომლებზეც შედარებით უხიფათოდ შეიძლებოდა რბოლა. უმეტესობას ჩქაროსნულ მოსახვევებიანი, რთული კონფიგურაცია ჰქონდა, რის გამოც საკმაოდ ხშირი იყო ფატალური შემთხვევები. ამას ასფალტის დაბალი ხარისხიც უწყობდა ხელს. რამდენიმე რბოლა სწორედ ამ მიზეზით სულაც ვერ ჩატარდა.

უმთავრესი კი უსაფრთხოების დაცვის პრიმიტიული სისტემა, უფრო ზუსტად, მისი არარსებობა იყო და უზარმაზარ სიჩქარეზე მანქანების თუნდაც მცირედი კონტაქტი თითქმის მუდამ ტრაგიკულად მთავრდებოდა. ტრასაზე უსაფრთხოება გზის გასწვრივ მოსახვევებში თივის ზვინების დალაგებით შემოიფარგლებოდა, ხოლო მძღოლთა ხალვათი ჩაცმულობა — ჩვეულებრივი მაისურა, შარვალი და კეპი ქალაქგარეთ გასასეირნებლად უფრო გამოდგებოდა. უფრო მეტიც — 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, ბრიტანელი მაიკ ჰოტორნი სულაც „პეპელა" ჰალსტუხით გამოპრანჭული უჯდა საჭეს. ასე რომ, მრბოლები, პრაქტიკულად ყოველ ეტაპზე მხოლოდ განგებისა და საკუთარი ბედ-იღბლის იმედად იყვნენ. ძნელი მისახვედრი არაა, თუ როგორი განწყობით გადიოდნენ ისინი საჯიროთოდ იმ ტრასებზე, სადაც ლამის ყოველწლიურად იღუპებოდნენ მათი კოლეგები. ზოგი ახალი მანქანის, კონკრეტულად ძრავის თუ საბურავების გამოცდას შეეწირა, უმეტესობა კი კვალიფიკაციისას, ან უშუალოდ რბოლისას გამოესალმა სიცოცხლეს. დღემდე დაღუპულია 44 პილოტი, მათ შორის მსოფლიოს ოთხი ჩემპიონი. ყველაზე სახიფათო ტრასებად ითვლებოდა მონცა, სპა, ნიურბურგრინგი — ისინი თავიდანვე „მკვლელებად" მონათლეს.

მონცაზე პირველი ტრაგედია დატრიალდა 1955 წელს, როცა ამ ზეჩქაროსნულ ათკილომეტრიან წრეზე, ახალი „ფერარის" გამოცდისას 37 წლისა დაიღუპა იტალიელთა კერპი, ორგზის ჩემპიონი ალბერტო ასკარი. მოგვიანებით, იქვე მისი ხვედრი გაიზიარა ავსტრიელმა იოხენ რინდტმა (28). იგი ერთადერთი პილოტია, ვინც სიკვდილის შემდეგ გახდა ჩემპიონი, რაკი ქულათა ისეთი მარაგი დაუგროვდა, რომ დარჩენილ ოთხ რბოლაში ვერავინ შესძლო მისი გასწრება.

არანაკლებ სისხლიანი რეპუტაცია ჰქონდა ძველ ნიურბურგრინგს. 23-კილომეტრიანი ჩქაროსნული წრის თითქმის ყოველ მოსახვევში სულ ადვილად შეიძლებოდა კისრის მოტეხვა. რა გასაკვირია, რომ 70-იან წლების ბოლოს ჩატარებულ ძირეულ რეკონსტრუქციამდე იქ ხუთი მრბოლის სიცოცხლე შეწყდა. მეორე გერმანულმა ტრასამ ხოკენხაიმში იმსხვერპლა ბრიტანელი ორგზის ჩემპიონი ჯიმ კლარკი (32), რომელიც პარალელურად ფორმულა 2-შიც გამოდიოდა და სწორედ მორიგ ეტაპზე ასპარეზობისას დაიღუპა ნაწვიმარ გზაზე.

შედარებით უწყინარ იმოლაზეც კი, 6 წლის წინ ერთმანეთის მიყოლებით დაღუპული ავსტრიელი როლანდ რაცენბერგერისა (31) და ბრაზილიელი სამგზის ჩემპიონის აირტონ სენას (34) ჩათვლით, მსხვერპლთა რიცხვმა ათს მიაღწია. მართალია, შვიდი მოტომრბოლი იყო, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს.

ორიოდე სიტყვით ინდიანაპოლისზეც. ეს ამერიკული ეტაპი 1950-60 წლებში ფორმულის ჩათვლაში კი შედიოდა, თუმცა მხოლოდ ნომინალურად, რადგან ევროპელები ოკეანის გაღმა წასვლით თავს არ იწუხებდნენ და საქვეყნოდ ცნობილ „ოვალზე" მხოლოდ იქაურები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. იმ 11 რბოლაში რვა პილოტი დაიღუპა, მათ შორის ბილ ვუკოვიჩი, ერთადერთი, ვინც ორჯერ შეძლო ინდი-500-ის მოგება.

მადლობა ღმერთს, ის საშინელი წლები ისტორიას ჩაბარდა. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის მიერ მრბოლთა უსაფრთხოების დასაცავად გატარებულმა რადიკალურმა ღონისძიებებმა სასურველი შედეგი გამოიღო და ტრაგიკულ შემთხვევათა ალბათობაც თითქმის ნულამდე შემცირდა. ეს თანაბრად ეხება როგორც ძველი ტრასების ძირფესვიან რეკონსტრუქციასა და ახალი, უხიფათოების მოწყობას, ასევე ბოლიდებში ყოველმხრივ გათვლილ-გათვალისწინებულ თითოეულ წვრილმანს და პილოტთა ალჭურვილობას.

მრბოლის დღევანდელი ჩაცმულობა კოსმონავტის, ან ზებგერითი თვითმფრინავის პილოტთა ტანსაცმელს უფრო ჰგავს. უმთავრესი, ცხადია, ჩაფხუტია, რომლის საიმედოობაზეც ბევრადაა დამოკიდებული მძღოლის სიცოცხლე. მას იმავე მსუბუქი და ზეგამძლე მასალისგან ამზადებენ, რომლისგანაც ბოლიდის კორპუსს. ბოლო დროს ჩაფხუტის საქარე მინა ლამის ტყვიაგაუმტარი „ლექსანით" შეცვალეს, რომელსაც 500 კმ/სთ სიჩქარით ნატყორცნ ქვასაც ვერაფერს დააკლებს. ეს უნიკალური „ქუდი" თითქმის კილონახევარს იწონის და 2500 დოლარი ღირს.

კომბინეზონი, ანუ დამცავი ჟილეტი, „ნომექსის" ფირმის შედევრია. ის დამზადებულია სპეციალური ცეცხლგამძლე მატერიისგან, რომელიც ცუდად იწვის და 700-გრადუსიან ცეცხლს თითქმის 20 წამს უძლებს. ეს დრო კი სრულიად საკმარისია საიმისოდ, რომ ტრასის ნებისმიერ წერტილში მაშველებმა დაშავებულ პილოტამდე მიღწევა და ხანძრის ჩაქრობა მოასწრონ. კომბინეზონში ჩაკერებულია საგანგებო სამხრეები, რომლებითაც საჭიროების შემთხვევაში პილოტს კოკპიტიდან ამოიყვანენ.

ხსენებულმა „ჯავშანმა" ათი წლის წინ უმკაცრეს გამოცდას გაუძლო და თავისი მოვალეობაც პირნათლად შეასრულა, როცა იმოლას ტრასაზე კედელს შეჯახებული გერჰარდ ბერგერის „ფერარი" ბურბუშელასავით აალდა. ავსტრიელი პილოტი დახმარების მოსვლამდე სწორედ „ნომექსის" კომბინეზონმა გადაარჩინა უეჭველ სიკვდილს.

დაბოლოს კოკპიტზე, ანუ იმ სარკოფაგზე, რომელშიც ორი საათის განმავლობაში გაუნძრევლადაა ჩაჭედილი პილოტი და სადაც ტემპერატურა თითქმის 50 გრადუსს აღწევს. ასეთ ჯოჯოხეთში გასაგრილებლად მრბოლს კონდიციონერს, ცხადია, არავინ ჩაუდგამს და მეტი რა გზა აქვს, უნდა გაუძლოს. მით უმეტეს, რომ დაცვის სისტემა საუცხოოდაა შესრულებული. კოკპიტის გარშემო კორპუსის ნაწილები ისეა დამონტაჟებული, რომ ავარიისას ისინი ხახვის ფურცლებივით ეცლება და კაბინაცა და მძღოლიც პრაქტიკულად უვნებელი რჩება.

უსაფრთხოების დაცვის ურთულეს სისტემაში წლეულს კიდევ ექვსი ახალი პუნქტია შეტანილი, რაც უფრო გაზრდის მის ეფექტურობას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოლოდროინდელმა ღონისძიებებმა სასიკეთო ნაყოფი გამოიღო და „სამეფო რბოლებიც" ნაკლებ სახიფათო გახდა. ამაზე მიხაელ შუმახერის შარშანდელი ავარიაც მეტყველებს. გერმანელი პილოტი შედარებით იოლად, მხოლოდ ფეხის მოტეხვით გადაურჩა განსაცდელს. 10-15 წლის წინ კი ვინ იცის, მსგავსი შემთხვევა რა შედეგით დასრულდებოდა...

**ირაკლი ნიკოლაძე**



ადრე ასეთ ავარიას პილოტის უეჭველი სიკვდილი მოჰყვებოდა



გულუბრყვილო 60-იანი წლები: მრბოლებს თივის ზვინი იცავდა, მაყურებელი კი ტრასიდან ხელისგაწვდენაზე იყო



მრბოლის დღევანდელი აღკაზმულობა კოსმონავტისას არ ჩამოუვარდება

## ტრასების მსხვერპლნი

| | | |
|---|---|---|
| 1952 | ლუიჯი ფაჯიოლი (იტალია) | მონაკო |
| 1953 | ჩეტ მილერი (აშშ) | ინდიანაპოლისი |
| | კარლ სკარბორო (აშშ) | ინდიანაპოლისი |
| 1954 | ონოფრე მარიმონი (არგენტინა) | გერმანია |
| 1955 | მანუელ აიალო (აშშ) | ინდიანაპოლისი |
| | ბილ ვუკოვიჩი (აშშ) | ინდიანაპოლისი |
| | ალბერტო ასკარი (იტალია) | იტალია |
| 1957 | კეიტ ენდრიუსი (აშშ) | ინდიანაპოლისი |
| 1958 | პეტ ოკონორი (აშშ) | ინდიანაპოლისი |
| | ლუიჯი მუსო (იტალია) | საფრანგეთი |
| | პიტერ კოლინზი (დიდი ბრიტანეთი) | გერმანია |
| | სტიუარტ ლუის-ევანსი (დიდი ბრიტანეთი) | მაროკო |
| 1959 | ჯერი ანსერი (აშშ) | ინდიანაპოლისი |
| | ბობ კორტნერი (აშშ) | ინდიანაპოლისი |
| 1960 | კრის ბრისტოუ (დიდი ბრიტანეთი) | ბელგია |
| | ალან სტეისი (დიდი ბრიტანეთი) | ბელგია |
| 1961 | ვოლფგანგ ფონ ტრიპსი (გერმანია) | იტალია |
| 1962 | რიკარდო როდრიგესი (მექსიკა) | მექსიკა |
| 1964 | კარელ დე ბოფორი (ჰოლანდია) | გერმანია |
| 1966 | ჯონ ტეილორი (დიდი ბრიტანეთი) | გერმანია |
| 1967 | ლორენცო ბანდინი (იტალია) | მონაკო |
| 1968 | ჯიმ კლარკი (დიდი ბრიტანეთი) | გერმანია |
| | ჯო შლესერი (საფრანგეთი) | საფრანგეთი |
| 1969 | გერხარდ მიტერი (გერმანია) | გერმანია |
| 1970 | ბრიუს მაკლარენი (ახალი ზელანდია) | ინგლისი |
| | იოხენ რინდტი (ავსტრია) | იტალია |
| | პიერ კურაჟი (დიდი ბრიტანეთი) | ჰოლანდია |
| 1971 | იოზეფ სიფერი (შვეიცარია) | ინგლისი |
| | პედრო როდრიგესი (მექსიკა) | გერმანია |
| 1973 | ფრანსუა სევერი (საფრანგეთი) | კანადა |
| | როჯერ უილიამსონი (დიდი ბრიტანეთი) | ჰოლანდია |
| 1974 | ჰელმუტ კოონიგი (ავსტრია) | აშშ |
| | პიტერ რეუსონი (აშშ) | ს. აფრიკა |
| 1975 | მარკ დონოჰიუ (აშშ) | ავსტრია |
| 1977 | ტომ პრაისი (დიდი ბრიტანეთი) | ს. აფრიკა |
| 1978 | რონი პეტერსონი (შვედეთი) | იტალია |
| 1980 | პატრიკ დეპაიე (საფრანგეთი) | გერმანია |
| 1982 | ჟილ ვილნევი (კანადა) | ბელგია |
| | რიკარდო პალეტი (იტალია) | კანადა |
| 1985 | შტეფან ბელოფი (გერმანია) | ბელგია |
| | მანფრედ ვინკელხოკი (გერმანია) | გერმანია |
| 1986 | ელიო დე ანჯელისი (იტალია) | საფრანგეთი |
| 1994 | როლანდ რაცენბერგერი (ავსტრია) | იტალია |
| | აირტონ სენა (ბრაზილია) | იტალია |

# მიუნხენი ნინოს გაეხუმრა

პნევმატური იარაღით მსროლელთა ევროპის ჩემპიონატზე ნინო სალუქვაძემ შარშანდელივით მეოთხე ადგილი დაიკავა. ეს ტურნირი 6 მარტს დამთავრდა მიუნხენში, სადაც ნინოს ამ ბოლო ხანს არაერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება უზეიმია. სალუქვაძეს ფინალში გასვლა, მართალია, არ გასჭირვებია, მაგრამ მოგროვებული 382 ქულა მისთვის საამაყო შედეგი ნამდვილად არ არის. ამ მაჩვენებელს ნინომ ფინალში 98,9 ქულაც დაამატა და როგორც გითხარით, მეოთხე ადგილზე გავიდა. ის სულ რაღაც 0,6-ით ჩამორჩა მესამეადგილოსან პოლონელ კატარჟინა ტეპაჩს. ოქრო-ვერცხლი მისმა ოდინდელმა მეტოქეებმა — რუსმა სვეტლანა სმირნოვამ და ბულგარელმა მარია გროზდევამ ირგუნეს.

ნინო უჩაძე ფინალის მიღმა შარშანდელივით დამატებითმა კოეფიციენტებმა დატოვა. გასულ წელს მან კინაღამ დანიელ სუსანა მეიერჰოფს (მაშინ ის ევროპის ჩემპიონი გახდა) დააკარგვინა მედალი, ამჯერად კი კლეპაჩს უფეშქაშა ფინალის საგზური. კლეპაჩთან პაექრობაში ნინომ ბოლოსწინა გასროლაზე 9,9 დააგროვა. ასე ცოტა დააკლდა უჩაძეს სანუკვარ ათიანამდე, რაც მას კარიერის საუკეთესო შედეგამდე მიიყვანდა.

სუსტად იასპარეზა დარეჯან დუმბაძემ. მან 56-ე ადგილი დაიკავა.

**ირაკლი თავაძე**



# ჩაიკოვსკაიამ ბავშვი შეაცდინა

რუსულ ფიგურულ სრიალს იულია სოლდატოვას სახით ახალი „რენეგატი“ გამოუჩნდა, რომელმაც სულ რამდენიმე დღის წინ სამშობლოს ჩრდილში ყოფნას ბელარუსის მზის ქვეშ დგომა ამჯობინა, ანუ უბრალო ენით რომ ვთქვათ, ამ თვეში დაგეგმილ ნიცის მსოფლიოს ჩემპიონატზე რუსეთის სახელით არწასვლას ბელარუსის დროშის ქვეშ გამოსვლა არჩია. რუსეთის ფიგურული სრიალის ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების მძაფრმა რეაქციამაც არ დააყოვნა. მაგალითად, ამ ფედერაციის პრეზიდენტის, ვალენტინ პისეევის აზრით, 18 წლის გოგონას მძიმე შეცდომა დააშვებინეს. „იმ სულწაწყმედილი ელენა ჩაიკოვსკაიას ბრალია ყველაფერი“ — მიუთითა პისეევმა მოციგურავის მთავარ მწვრთნელზე, რომელმაც არამარტო რუსულ საციგურაო წრეებში რგებია დიდება და პატივი — „მისი ინიციატივით და ჩვენს ზურგსუკან დაძვრებოდნენ ვილაც-ვილაცეები ბელარუსში პრეზიდენტ ლუკაშენკოსთან მოსალაპარაკებლად და სწორ გზას აცდინეს ბავშვი, მაგრამ არ გაუვათ...“ ამ ნერვიულ ნათქვამს რუსული ციგურაობის მთავარმა მამამ არგუმენტებიც მიაყოლა, საიდანაც ირკვევა, რომ რახან სოლდატოვა ამ სეზონის დიდ პრიზებზე რუსეთის სახელით უკვე გამოსულა, მინიმუმ წლეულს მაინც სხვა ქვეყნის დროშას ვეღარ შეეფარება.

რაც შეეხება სოლდატოვას ბელარუსში გადახვეწის მიზეზს, იგი დღესავით ნათელია: 1997 წლის იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონი რუსებმა ნაკრებიდან გარიყეს. რახან ევროპის ახლახან გასრულებულ პირველობაზე მედლები ირინა სლუცკაიამ, მარინა ბუტირსკაიამ და ვიქტორია ვოლჩკოვამ ირგუნეს, სოლდატოვა თამაშგარე დარჩა და სამსოფლიოსჩემპიონატო ნაკრებშიც ვერ მოხვდა. ისიც ადგა და...

**დავით გულუა**



# ამბავი ორი მაიერისა

სამთომოთხილამურეთა მსოფლიოს თასის მორიგი ამბავი სლოვენიის მთა-გორებიდან მოვიდა. კრანსკა გორას ხატოვან ფერდობზე ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს მამაკაცებმა, ალბათ, მანდილოსანთა პატივსაცემად გიგანტური სლალომის მორიგი ეტაპი ჩაატარეს, რომელიც ავსტრიელმა კრისტიან მაიერმა მოიგო. ეს მაიერი ის მაიერი რომ არ გახლავთ, სახელიდანაც მიხვდებოდით. უნდა ითქვას, რომ მაიერების საგვარეულოს უფრო სახელოვანმა შვილმა, ჰერმანმა 8 მარტი არცთუ შესაფერისად აღნიშნა, რადგან თითქმის ზედ ფინიშთან წაიქცა და ღმერთს უმადლოდეს, რომ ძვლები მთელი შერჩა. გიგანტური სლალომის საერთო ჩათვლაში დიდი მაიერის მთავარი მეტოქე მშვიდი ხასიათისაა და ზრდილობით ქებული შვეიცარიელი მიხაელ ფონ გრუნინგენი გახლავთ, რომელსაც ჰერმინატორის უხეირობამ ხეირის ნახვის, ანუ საერთო ჩათვლაში ამაღლების შესაძლებლობა მისცა, მაგრამ კრანსკა გორა მასაც ცუდად დაებედა. მე-8 ადგილმა გრუნინგენი მაიერს სასურველ მანძილამდე ვერ დაუახლოვა, მათ ჯერ კიდევ 52 ქულა აშორებთ.

მაიერებს ასე იოლად ვერ შეველევით. „ჰერმინატორის“ შესახებ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ უნდა გითხრათ. გუშინდლიდან მოყოლებული იგი უკვე მსოფლიოსა და სუპერგიგანტის თასების უცილობელი მპყრობელია და ახლა მხოლოდ გიგანტური სლალომის ამბავი აღელვებს. ნორვეგიელმა კეტილ ანდრე ამოდტმა სლოვენიაში მე-9 ადგილის დაკავებით ისტორიას გააყოლა თავისი ბოლო თეორიული შანსიც, მაიერს დასწეოდა და ახლა შეუძლია მშვიდად იყოს — საერთო ჩათვლაში მეორე ადგილს ვერავინ შეეცილება, ხოლო გიგანტურ სლალომში მეექვსეა და პირველობაზე ვერც ოცნებებს, თითქმის ისევე, როგორც გუშინწინდელი გამარჯვებული. თუმცა კრისტიანი მეოთხე ადგილზე მაინცაა და მინიმუმ საპრიზო სამეულში შესვლას მაინც უნდა ეცადოს.



კრისტიან მაიერი

ისე, იმ ადგილზე, სადაც ჰერმინატორი წაიქცა (ფინიშთან), არაერთი მოთხილამურე დაინავსა. მარტო ერთ გვარს დავასახელებთ — ეს ავსტრიელი ბენიამინ რაიხია, რომელმაც კორეის სამხრეთში გიგანტური სლალომის მოგებით დაგვამახსოვრა თავი. მან ჰერმინატორივით დიდებულად დაიწყო, მაგრამ მერე ზუსტად იქ დაეცა, სადაც მისი სახელოვანი თანამემამულე, თანაც, რაიხის თხილამურები ჰაერში აფრინდა, თავად სპორტსმენმა კი კონტუზია მიიღო. ავსტრიელი სერიოზულად დაზიანდა, ამიტომ თასის მომდევნო ეტაპს გამოტოვებს.

**დავით გულუა**

**სუპერგიგანტი. საერთო ჩათვლა**

1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) — 460
2. მიხაელ ფონ გრუნინგენი (შვეიცარია) — 408
3. ჟოელ შენალი (საფრანგეთი) — 340
4. კრისტიან მაიერი (ავსტრია) — 337
5. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) — 294
6. კეტილ ანდრე ამოდტი (ნორვეგია) — 259

**მსოფლიოს თასი. საერთო ჩათვლა**

1. მაიერი — 1760
2. ამოდტი — 1350
3. იოზეფ შტრობლი (ავსტრია) — 934
4. კრისტიან გედინა (იტალია) — 918
5. სტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) — 860



# ბატალური სცენა ერთი მოქმედი პირით

8 მარტი

**ბუფალო — ბოსტონი 2:1**

1:0 0:0 0:1 1:0

1:0 ვული 4'45 (5); 1:1 ლააკსონენი 49'48 (1); 2:1 ბარნსი 61'54 (18)

**კაროლინა — ჩიკაგო 4:1**

0:0 1:0 3:1

1:0 უესლი 24'05 (6); 1:1 ბ. მირონოვი 40'45 (6); 2:1 ბატალია 42'28 (12); 3:1 ბატალია 57'12 (13); 4:1 ბატალია 59'52 (14)

**პიტსბურგი — მონრეალი 0:3**

0:0 0:2 0:1

0:1 ლინდენი 20'20 (11); 0:2 სავაჟი 32'37 (13); 0:3 პულენი 55'25 (10)

**ტამპა — ფილადელფია 2:3**

2:0 0:2 0:0 0:1

1:0 სილინჯერი 0'33 (19); 2:0 გრეტონი 15'26 (14); 2:1 ლინდროსი 27'43 (26); 2:2 ლეკლერი 39'56 (34); 2:3 დეჟარდენი 63'49 (3)

**დალასი — ვანკუვერი 3:3**

2:1 1:0 0:2 0:0

1:0 ჰალი 9'30 (20); 1:1 კესელსი 11'45 (14); 2:1 მარშალი 18'16 (2); 3:1 სიმი 37'30 (4); 3:2 დრაკენი 41'19 (3); 3:3 მოგილნი 49'41 (19)

**ანაჰაიმი — რეინჯერსი 3:4**

1:1 2:1 0:1 0:1

1:0 ჰრკაჩი 7'11 (4); 1:1 დვორჟაკი 19'24 (17); 1:2 გრეივსი 24'43 (21); 2:2 რუჩინი 26'45 (15); 3:2 სელიანე 32'08 (26); 3:3 ჰლავაჩი 58'40 (18); 3:4 ლიჩი 60'29 (5)

**სან ხოსე — დეტროიტი 1:1**

1:1 0:0 0:0 0:0

0:1 შენაჰანი 6'50 (35); 1:1 ნოლანი 18'32 (40)

ალბათ, დროა, პიტსბურგმა იაგრის დარი მოთამაშე ეძებოს. რაც „პინგვინებს“ ლიდერი გამოაკლდათ, რწმენა დაკარგეს და პლეი ოფში გასვლაც საეჭვოდ გაიხადეს. ვერც კლუბის ახალი თავკაცი შველის საქმეს — ივან ჰლინკამ მხოლოდ თავის მეშვიდე მატჩში იზეიმა პირველი გამარჯვება (პიტსბურგმა ედმონტონს 3:2 სძლია).

„იაგრის არყოფნაში ყველა ცდილობს, მისებურად ლამაზად ითამაშოს, მაგრამ ასლი ხომ ორიგინალი არ არის“ — ასე მხატვრულად გამოთქვა თავისი აზრი პიტსბურგის მეორე მთავარმა მწვრთნელმა ჰერბ ბრუქსმა. ეს სრული სიმართლეა, მაგრამ ახლა, მონრეალთან შეხვედრაში „პინგვინებს“ საერთოდ არაფერი გამოუვიდათ შეტევაში და 1998 წლის 22 დეკემბრის შემდეგ პირველად ვერ დალაშქრეს მეტოქის კარი.

კანადელები კი პირველი წუთიდან ბოლომდე დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ და მეორე მესამედში ტრევორ ლინდენისა და გამოჯანმრთელებული ბრაიან სავაჟის გოლების წყალობით გამარჯვება გაინაღდეს. ამ მატჩის შედეგმა კიდევ უფრო გაართულა ვითარება აღმოსავლეთში, სადაც საპლეიოფო ბრძოლაში მონაწილე სამივე დანარჩენმა გუნდმა მოიგო. რეინჯერსმა ანაჰაიმთან შეხვედრის ოვერტაიმი სულ რაღაც 29 წამში დაასრულა თავის სასარგებლოდ და კონფერენციის მეშვიდე ადგილზე აღზევდა. მასპინძლებს ვერც მათი ტრავმამოშუშებული ლიდერი პოლ კარია (1 პასი) დაეხმარათ. მართალია, ძირითადი დროის მიწურულს „იხვებს“ არაერთხელ შეეძლოთ გადამწყვეტი შაიბის შეგდება, მაგრამ... კვლავ ივარგა ნიუიორკულმა „ჩეხურმა ხაზმა“, რომლის ცენტრფორვარდმა პეტრ ნედველმა სამი პასი მიითვალა, ბრაიან ლიჩის გოლიც მისი უშუალო მონაწილეობით გავიდა.

ასევე დამატებით დროში, ოღონდ დიდი გაჭირვებით მოიგო ბუფალომ. მის მეტოქეს, ბოსტონს, აშკარად ეტყობოდა ბურკის არყოფნა, თუმცა არც მასპინძლებს უძალიათ. ამიტომაც განაცხადა ბუფალოელთა მწვრთნელმა ლინდი რაფმა, რომ თავისი შეგირდების ქმედება მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდში მოიწონა და გამოსარჩევი სტიუ ბარნსის გადამწყვეტი გოლი თუ იყო.

კაროლინელთა ახალთახალ სარბიელზე, „როლი ენთერთეიმენტზე“, პირველი ჰეთ-თრიქი შესრულდა. მისი ავტორი მასპინძელთა ფორვარდი ბეიტს ბატალია გახლდათ, რომელმაც მესამე პერიოდში თავისიანები დააწინაურა, ბოლო შაიბა კი ცარიელ კარში შეაგდო.

დანარჩენ მატჩებშიც ოვერტაიმში განვითარდა ძირითადი მოვლენები. დამატებით დროში ტამპელი რობერტ პეტროვიცკის გაძევების შემდეგ ფილადელფია რიცხვმრავლობაში აღმოჩნდა და ეს უპირატესობა ხელიდან არ გაუშვა. ზურგის ტრავმის შემდეგ დაბრუნებულმა ერიკ ლინდროსმა ზედიზედ მეორედ გაიტანა, ხოლო მისმა თანაკლუბელმა მარკ რეკიმ 3 პასით ქულათა მარაგი 79-მდე გაზარდა და ახლა იაგრს მხოლოდ 6-ით ჩამორჩება. მატჩამდე კი „მფრინავებმა“ გაცვლის შედეგად ფინიქსიდან ძალისმიერი ფორვარდი რიკ ტოკეტი დაიბრუნეს. 35 წლის ჰოკეისტი თავის დროზე ამ ამპლუის ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახლდათ, საუკეთესო წლები კი პიტსბურგსა (მარიო ლემიეს მუდმივი პარტნიორი იყო) და ფილადელფიაში გაატარა. მის ნაცვლად კი „კოიოტებმა“ ასევე ცნობილი ფორვარდი მიქაელ რენბერგი შეიძინეს. ოთხი-ხუთი წლის წინ იგი სახელგანთქმულ „საბედისწერო ლეგიონში“ ლინდროსსა და ლეკლერთან ერთად თამაშობდა, მაგრამ მერე ტამპაში გადავიდა. ფილადელფიაში რენბერგის მეორედ მისვლა კი ესოდენ წარმატებული როდი გამოდგა.

ვანკუვერმა დალასთან ბოლომდე და ზედიზედ მეორე, თითქმის უიმედო მატჩი გადაარჩინა. აღსანიშნავია, რომ ოვერტაიმში ორივე გუნდს შეეძლო მოგება. ალექსანდრ მოგილნის აქტიურობას „ვარსკვლავთა“ ფორვარდმა ჯემი ლანგენბრუნერმა სამი დარტყმით უპასუხა, მაგრამ ვანკუვერის მეკარე გარტ სნოუს ვერაფერი მოუხერხა.

დეტროიტთან შეხვედრაში სანხოსელმა ოუენ ნოლანმა წლეულს მეორემ მიაღწია 40-შაიბიან ზღვარს, რითაც თავისივე საკლუბო რეკორდი გააუმჯობესა, ხოლო 78 ქულით მან სელი კისოის მიღწევა (1992-93 წლების სეზონი) გაიმეორა.

**სამველ ლარიბიანი**



AP ფოტო

ფილადელფიელი ჯონ ლეკლერის კარის სიახლოვიდან განდევნა ურთულესი საქმეა

**სატურნირო ვითარება**

| ალმოსავლეთ კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 67 | 38 | 8 | 5 | 21 | 202:162 | 89 |
| ტორონტო | 67 | 37 | 7 | 3 | 23 | 203:176 | 84 |
| ვაშინგტონი | 67 | 35 | 11 | 1 | 21 | 180:158 | 82 |
| ფილადელფია | 66 | 35 | 11 | 2 | 20 | 193:151 | 83 |
| ფლორიდა | 67 | 35 | 5 | 5 | 27 | 198:166 | 80 |
| ოტავა | 66 | 33 | 11 | 2 | 22 | 193:168 | 79 |
| რეინჯერსი | 68 | 28 | 10 | 3 | 30 | 192:190 | 69 |
| მონრეალი | 67 | 29 | 7 | 3 | 31 | 158:155 | 68 |
| პიტსბურგი | 66 | 27 | 8 | 6 | 31 | 192:192 | 68 |
| ბუფალო | 68 | 27 | 10 | 2 | 31 | 168:174 | 66 |
| ბოსტონი | 67 | 19 | 17 | 5 | 31 | 165:198 | 60 |
| აილენდერსი | 66 | 19 | 8 | 1 | 39 | 155:216 | 47 |
| ტამპა | 65 | 15 | 7 | 7 | 43 | 163:245 | 44 |
| ატლანტა | 65 | 12 | 6 | 4 | 47 | 140:242 | 34 |

| დასავლეთ კონფერენცია | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 66 | 43 | 7 | 0 | 16 | 205:133 | 93 |
| დალასი | 67 | 36 | 7 | 3 | 24 | 166:147 | 82 |
| კოლორადო | 68 | 31 | 10 | 1 | 27 | 191:174 | 73 |
| დეტროიტი | 68 | 40 | 8 | 1 | 20 | 226:175 | 89 |
| ფინიქსი | 66 | 33 | 7 | 1 | 26 | 192:184 | 74 |
| ლოს ანჯელესი | 66 | 31 | 8 | 3 | 27 | 208:194 | 73 |
| ედმონტონი | 67 | 25 | 15 | 8 | 27 | 185:175 | 73 |
| სან ხოსე | 69 | 28 | 9 | 7 | 32 | 187:179 | 72 |
| კალგარი | 67 | 28 | 8 | 5 | 31 | 179:205 | 69 |
| ანაჰაიმი | 68 | 28 | 10 | 2 | 30 | 180:189 | 68 |
| ვანკუვერი | 67 | 23 | 13 | 7 | 31 | 177:196 | 66 |
| ნეშვილი | 67 | 23 | 6 | 6 | 38 | 170:198 | 58 |
| ჩიკაგო | 67 | 24 | 7 | 2 | 36 | 195:214 | 57 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში ნაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. 24-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 მარტი | | | |
| 001 უნტერჰახინგი-კაიზერსლაუტ. | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 002 შტუტგარტი-აინტრახტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 11 მარტი | | | |
| 003 ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 004 დუისბურგი-ჰერტა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 005 ჰამბურგი-ულმი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 006 ჰამბურგი-ულმი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 007 ბაიერნი-შალკე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 008 ბაიერნი-შალკე 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 009 არმინია-მიუნხენ 1860 | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 12 მარტი | | | |
| 010 ჰანზა-დორტმუნდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 011 ვერდერი-ფრაიბურგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. 22-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 მარტი | | | |
| 012 მიონხენგლადბახი-ზტ.პაული | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 013 ნიურნბერგი-კოტბუსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 014 მაინცი-ქემნიცი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 11 მარტი | | | |
| 015 ოფენბახი-კარლსრუე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 12 მარტი | | | |
| 016 ვალდჰოფი-ალემანია | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 017 ფორტუნა-ჰანოვერი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 018 კიკერსი-ფიურტი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 019 ბოხუმი-ობერჰაუზენი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 13 მარტი | | | |
| 020 ბერლინი-კიოლნი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 28-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 მარტი | | | |
| 021 ასტონ ვილა-ქოვენტრი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 022 ჩელსი-ევერტონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 023 ლივერპული-სანდერლენდი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 024 მანჩესტერი-დერბი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 025 მანჩესტერი-დერბი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 026 ნიუკასლი-უოტფორდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 027 ნიუკასლი-უოტფორდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 028 უენსდი-ვესტ ჰემი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 029 ტოტენჰემი-საუთჰემპტონი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 030 უიმბლდონი-ლესტერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 12 მარტი | | | |
| 031 ბრედფორდი-ლიდსი | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| 032 მიდლსბრო-არსენალი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 36-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 მარტი | | | |
| 033 ბარნსლი-მანჩესტერ სიტი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 034 ბოლტონი-ფულემი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 035 ჩარლტონი-სუინდონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 036 ჩარლტონი-სუინდონი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 037 ჰადერსფილდი-უოლსოლი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 038 ნორვიჩი-კრისტალ პალასი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 039 პორტ ვეილი-შეფილდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 040 პორტსმუთი-ნოტინგემი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 041 ქუინზ პარკი-გრიმსბი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 042 სტოკპორტი-ვესტ ბრომვიჩი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 043 ტრანმერი-ბირმინგემი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 044 ვულვერჰემპტონი-იფსვიჩი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 12 მარტი | | | |
| 045 ბლექბერნი-ქრიუ | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 36-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 მარტი | | | |
| 046 ბლეკპული-კარდიფი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 047 ბორნმუთი-პრესტონი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 048 ბრისტოლი-ჯილინგემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 049 ბერი-როვერსი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 050 ჩესტერფილდი-უიგანი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 051 კოლჩესტერი-ოქსფორდი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 052 ლუტონი-მილუოლი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 053 ნოტსი-სტოკი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 054 რედინგი-ბრენტფორდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 055 სკანთორპი-კემბრიჯი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 056 რექსემი-ბარნლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 057 უიკომბი-ოლდემი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 36-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 მარტი | | | |
| 058 სუონსი-ნორთჰემპტონი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 11 მარტი | | | |
| 059 ექსეტერი-პლიმუთი (16$^{00}$) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 060 ბარნეტი-ჰარტლპული | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 061 ბრაიტონი-საუთენდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 062 ჩელტენემი-ჰალიფაქსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 063 ჩესტერი-შრიუსბერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 064 ჰალი-როჩდეილი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 065 ლეიტონი-დარლინგტონი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 066 მენსფილდი-მაკლსფილდი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 067 პიტერბრო-ლინკოლნი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 068 ტორკი-როტერჰემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 069 იორკი-კარლაისლი | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. 28-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 მარტი | | | |
| 070 ლე ავრი-მეცი | 2,2, | 2,9 | 3,0 |
| 071 სედანი-პსჟ | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 072 მარსელი-ბორდო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 073 ნანტი-სტრასბური | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 074 ბასტია-მონპელიე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 075 სენტ ეტიენი-რენი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 12 მარტი | | | |
| 076 ლანსი-ტრუა | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 077 ნანსი-ლიონი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 078 ოსერი-მონაკო | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. 29-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 მარტი | | | |
| 079 ლილი-კაენი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 11 მარტი | | | |
| 080 გენგამი-ნიორი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 081 ამიენი-ლე მანი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 082 სოშო-კანი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 083 გენიონი-ვალანსი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 084 აიაჩო-შატორუ | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 085 ნიცა-ლუანი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 086 ნიმი-ტულუზი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 087 ლავალი-ვასკეალი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 088 ლორიანი-კრეტეი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### იტალია. სერია "ა". 25-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 მარტი | | | |
| 089 ბოლონია-ვენეცია | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 090 ლაციო-ინტერი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 12 მარტი | | | |
| 091 კალიარი-რომა | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| 092 მილანი-ვერონა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 093 მილანი-ვერონა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 094 პერუჯა-ლეჩე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 095 პიაჩენცა-იუვენტუსი | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| 096 რეჯინა-უდინეზე | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 097 ტორინო-ფიორენტინა | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| 098 ბარი-პარმა | 2,6 | 2,7 | 2,6 |

### იტალია. სერია "ბ". 26-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 მარტი | | | |
| 099 ტრევიზო-პესკარა | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 12 მარტი | | | |
| 100 ბრეშა-მონცა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 101 ჩეზენა-ტერნანა | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 102 კიევო-ნაპოლი | 2,6 | 2,5 | 2,8 |
| 103 ემპოლი-პისტოიეზე | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 104 ჯენოა-კოზენცა | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 105 სალერნიტანა-ალძანო | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 106 სავოია-ფერმანა | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 107 ვიჩენცა-რავენა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 13 მარტი | | | |
| 108 ატალანტა-სამპდორია | 2,2 | 2,4 | 3,8 |

### იტალია. სერია "ც1/ა". 26-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 მარტი | | | |
| 109 კრემონეზე-ბრეშელო (17$^{30}$) | 2,2 | 2,4 | 3,6 |
| 110 ლეკო-მონტევარკი (17$^{30}$) | 1,9 | 2,4 | 5,0 |
| 111 ლუკეზე-ალბინოლეფე (17$^{30}$) | 1,7 | 2,5 | 6,5 |
| 112 პიზა-კომო (17$^{30}$) | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 113 რეჯანა-ჩიტადელა (17$^{30}$) | 2,0 | 2,4 | 4,2 |
| 114 სანდონა-ლივორნო (17$^{30}$) | 2,2 | 2,3 | 4,0 |
| 115 სიენა-კარარეზე (17$^{30}$) | 1,6 | 2,6 | 7,5 |
| 116 სპალ-მოდენა (17$^{30}$) | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 117 ვარეზე-ლუმეცანე (17$^{30}$) | 1,6 | [illegible] | [illegible] |

### იტალია. სერია "ც1/ბ". 26-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 მარტი | | | |
| 118 არეცო-ნოჩერინა (17$^{30}$) | 1,7 | 2,5 | 6,5 |
| 119 ატლეტიკო-კატანია (17$^{30}$) | 2,9 | 2,3 | 2,9 |
| 120 აველინო-პალერმო (17$^{30}$) | 2,4 | 2,3 | 3,4 |
| 121 კროტონე-ასკოლი (17$^{30}$) | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 122 დი სანგრო-ფ.ანდრია (17$^{30}$) | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 123 გუალდო-ვიტერბეზე (17$^{30}$) | 2,5 | 2,4 | 3,0 |
| 124 ლოდიჯანი-ჯულიანოვა (17$^{30}$) | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 125 მარსალა-ბენევენტო (17$^{30}$) | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| 126 სტაბია-ანკონა (17$^{30}$) | 2,7 | 2,3 | 3,0 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 28-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 მარტი | | | |
| 127 ბილბაო-ბარსელონა | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| 128 რეალი-სევილია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 129 რეალი-სევილია 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 130 დეპორტივო-ვალენსია | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 12 მარტი | | | |
| 131 რასინგი-სარაგოსა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 132 ესპანიოლი-სელტა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 133 ალავესი-სოსიედადი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 134 ბეტისი-რაიო ვალეკანო | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 135 ნუმანსია-ოვიედო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 136 მალაგა-მალიორკა | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 137 ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 30-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 მარტი | | | |
| 138 ტენერიფე-ელჩე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 139 უელვა-ხეტაფე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 140 მერიდა-ალბასეტე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 141 ატლეტიკო "ბ"-სალამანკა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 142 ოსასუნა-ლოგრონიესი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 143 კომპოსტელა-ლას პალმასი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 144 კორდობა-ესტრემადურა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 12 მარტი | | | |
| 145 სპორტინგი-ეიბარი (15$^{00}$) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 146 ლეგანესი-ლეიდა (15$^{00}$) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 147 ლევანტე-ვილიარეალი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 148 ტოლედო-ბადახოსი | 2,6 | 2,9 | 2,4 |

### პორტუგალია. 25-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 მარტი | | | |
| 149 ბრაგა-სპორტინგი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 11 მარტი | | | |
| 150 პორტუ-გიმარაეში | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 151 პორტუ-გიმარაეში 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,2 |
| 12 მარტი | | | |
| 152 ალვერკა-მარიტიმუ | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 153 კამპომაიორენსე-ლეირია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 154 ჟილ ვისენტე-სალგეირუში | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 155 ფარენსე-სეტუბალი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 156 რიუ ავე-ბელენენსეში | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 157 ბოავიშტა-ბენფიკა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 13 მარტი | | | |
| 158 ამადორა-სანტა კლარა | 1,5 | 3,1 | 7,0 |

### ჰოლანდია. 25-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 მარტი | | | |
| 159 ალკმაარი-ვალვაიკი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 160 ნაიმეგენი-სიტარდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 11 მარტი | | | |
| 161 მაასტრიხტი-გრააფსხაპი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 162 ტილბურგი-ჰერენვენი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 163 როდა-სპარტა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 164 ტვენტე-კამბური | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 165 ტვენტე-კამბური 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 166 ფეიენოორდი-დენ ბოსხი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 167 ფეიენოორდი-დენ ბოსხი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 12 მარტი | | | |
| 168 პსვ-უტრეხტი (17$^{30}$) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 169 პსვ-უტრეხტი 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,6 |

### ბელგია. 26-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 მარტი | | | |
| 170 გენტი-ბრიუგე | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 11 მარტი | | | |
| 171 ვესტერლო-სენტ ტრუიდენი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 172 ანდერლეხტი-აალსტი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 173 ანდერლეხტი-აალსტი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 174 სტანდარდი-ლიერსი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 175 გენკი-ლომელი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 176 გენკი-ლომელი 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,6 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 177 | მუსკრონი-გეელი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 178 | მუსკრონი-გეელი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | 12 მარტი | | | |
| 179 | მეხელენი-ლოკერენი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 180 | ჰარელბეკე-ბეერსხოტი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 181 | შარლერუა-ბევერენი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

**საბერძნეთი. 23-ე ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 12 მარტი | | | |
| 182 | კალამატა-ეთნიკოსი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 183 | პროდეფტიკი-პანაჰაიკი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 184 | ირაკლისი-პანათინაიკოსი | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| 185 | პანიონიოსი-ქსანთი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 186 | პანილიაკოსი-პაოკ | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 187 | აპოლონი-ოფი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 188 | ოლიმპიაკოსი-აეკ | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 189 | კავალა-არისი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 190 | იონიკოსი-ტრიკალა | 1,6 | 3,0 | 5,6 |

**ჩეხეთი. მე-20 ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 10 მარტი | | | |
| 191 | ტეპლიცე-ბუდეიოვიცე | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | 11 მარტი | | | |
| 192 | დუკლა-სპარტა ($17^{30}$) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | 12 მარტი | | | |
| 193 | ვიკტორია-ბანიკი ($13^{15}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 194 | იაბლონეცი-ბრნო ($17^{30}$) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 195 | ოპავა-ბოჰემიანსი ($17^{30}$) | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 196 | სლავია-ბლშანი ($17^{30}$) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 197 | სლავია-ბლშანი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 198 | დრნოვიცე-ჰ.კრალოვე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 199 | დრნოვიცე-ჰ.კრალოვე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 200 | სიგმა-ლიბერეცი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

**პოლონეთი. მე-17 ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 201 | რაძიონკოვი-პოლონია ($17^{00}$) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 202 | გროცლინი-სტომილი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 203 | პოგონი-ლეხი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 204 | ლეგია-გურნიკი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 12 მარტი | | | |
| 205 | ოდრა-ლკს ($17^{00}$) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 206 | პლოცკი-ვისლა ($17^{00}$) | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 207 | ვიძევი-რუხი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 208 | ამიცა-ზაგლებე | 1,7 | 3,0 | 4,7 |

**თურქეთი. 24-ე ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 10 მარტი | | | |
| 209 | ტრაბზონი-ერზურუმი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 210 | ტრაბზონი-ერზურუმი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 11 მარტი | | | |
| 211 | ალთაი-დენიზლი ($15^{30}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 212 | გაზიანთეფი-გენჩლერბირლ. | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 213 | ქოჯაელი-ვანი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 214 | ქოჯაელი-ვანი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 215 | ანკარაგიუჯიუ-ფენერბაჰჩე | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| | 12 მარტი | | | |
| 216 | ადანა-გიოზთეფე ($15^{30}$) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 217 | ანთალია-სამსუნი ($15^{30}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 218 | ისთანბული-ბეშიქთაში ($15^{30}$) | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 219 | გალათასარაი-ბურსა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 220 | გალათასარაი-ბურსა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**შოტლანდია. 26-ე ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 221 | სელტიკი-სენტ ჯონსტონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 222 | სელტიკი-სენტ ჯონსტონი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**ავსტრია. 24-ე ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 10 მარტი | | | |
| 223 | შტურმი-გრაცერი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 11 მარტი | | | |
| 224 | აუსტრია-ლუსტენაუ | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 225 | აუსტრია-ლუსტენაუ 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 226 | რიდი-ტიროლი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 227 | ზალცბურგი-ლინცერი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 12 მარტი | | | |
| 228 | ბრეგენცი-რაპიდი | 5,0 | 3,2 | 1,6 |

**შვეიცარია. I ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 10 მარტი | | | |
| 229 | გრასჰოპერი-სენტ გალენი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | 11 მარტი | | | |
| 230 | სერვეტი-ივერდონი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 12 მარტი | | | |
| 231 | ლუცერნი-ქსამაქსი ($17^{30}$) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 232 | ლოზანა-ბაზელი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

**დანია. მე-19 ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 12 მარტი | | | |
| 233 | ვაილე-აკადემისკი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 234 | ვიბორგი-სილკებორგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 235 | ორჰუსი-ოდენსე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 236 | ბრიონდბიუ-ესბიერგი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 237 | ბრიონდბიუ-ესბიერგი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 238 | ოლბორგი-კოპენჰაგენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 13 მარტი | | | |
| 239 | ლიუნგბიუ-ჰერფიოლგე | 2,4 | 2,9 | 2,6 |

**შოტლანდია. თასის 1/4 ფინალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 11 მარტი | | | |
| 240 | ჰიბერნიანი-ფალკირკი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 12 მარტი | | | |
| 241 | დანდი იუნაიტედი-აბერდინი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 242 | რეინჯერსი-ჰართსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |

**კალათბურთი. NBA**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 10 მარტი | | | |
| 801 | ბოსტონი-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 802 | ფილადელფია-ნიუ იორკი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 803 | ვაშინგტონი-სან ანტონიო | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 804 | მაიამი-დენვერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 805 | კლივლენდი-ინდიანა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 806 | დეტროიტი-ვანკუვერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 807 | მილუოკი-ნიუ ჯერსი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 808 | ფინიქსი-იუტა | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 809 | კლიპერსი-შარლოტი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 810 | საკრამენტო-ტორონტო | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 811 | სიეტლი-გოლდენ სტეიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | 11 მარტი | | | |
| 812 | ორლანდო-დენვერი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 813 | ატლანტა-ვანკუვერი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 814 | დეტროიტი-პორტლენდი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 815 | დალასი-ფინიქსი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 816 | ჰიუსტონი-მინესოტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | 12 მარტი | | | |
| 817 | ბოსტონი-ფილადელფია | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 818 | ნიუ იორკი-სან ანტონიო | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 819 | ნიუ ჯერსი-ორლანდო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 820 | ვაშინგტონი-პორტლენდი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 821 | ინდიანა-მაიამი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 822 | მილუოკი-კლივლენდი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 823 | ლეიკერსი-საკრამენტო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 824 | გოლდენ სტეიტი-კლიპერსი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 825 | სიეტლი-ტორონტო | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| | 13 მარტი | | | |
| 826 | დეტროიტი-ბოსტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 827 | ჩიკაგო-იუტა | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 828 | დენვერი-ლეიკერსი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 829 | ვანკუვერი-სიეტლი | 2,5 | 12,0 | 1,35 |

**ჰოკეი. NHL**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 10 მარტი | | | |
| 830 | ბუფალო-მონრეალი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 831 | კაროლინა-ბოსტონი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 832 | ატლანტა-ნიუ ჯერსი | 3,0 | 4,0 | 1,5 |
| 833 | ტამპა ბეი-ფლორიდა | 2,7 | 4,0 | 1,6 |
| 834 | ნეშვილი-დეტროიტი | 2,7 | 4,0 | 1,6 |
| 835 | დალასი-აილენდერსი | 1,3 | 4,0 | 4,0 |
| 836 | ედმონტონი-კოლორადო | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| | 11 მარტი | | | |
| 837 | სენტ ლუისი-ანაჰაიმი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 838 | მონრეალი-ბოსტონი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 839 | ოტავა-ტორონტო | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 840 | ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 841 | პიტსბურგი-რეინჯერსი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 842 | ფლორიდა-ჩიკაგო | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 843 | ფინიქსი-ვანკუვერი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 844 | ლოს ანჯელესი-კალგარი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| | 12 მარტი | | | |
| 845 | კაროლინა-ატლანტა | 1,35 | 4,0 | 3,6 |
| 846 | ბუფალო-აილენდერსი | 1,35 | 4,0 | 3,6 |
| 847 | ნეშვილი-ედმონტონი | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| 848 | დალასი-სენტ ლუისი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 849 | ტამპა ბეი-ჩიკაგო | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 850 | კოლორადო-ფილადელფია | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| | 13 მარტი | | | |
| 851 | რეინჯერსი-დალასი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 852 | პიტსბურგი-ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 853 | ატლანტა-ედმონტონი | 2,7 | 4,0 | 1,6 |
| 854 | ფინიქსი-ფილადელფია | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 855 | ლოს ანჯელესი-ვანკუვერი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 856 | სან ხოსე-კალგარი | 1,7 | 4,0 | 2,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეგულარული ჩემპიონატი

# კარტერმა ისეთი ჩააგდო!...

8 მარტი

**ბოსტონი 112:101 მილუოკი**

ბოსტონი: უოლკერი (30 ქულა, 19 მოხსნა, 10 პასი), პირსი (20)
მილუოკი: ალენი (28)

**ფილადელფია 107:90 ვანკუვერი**

ფილადელფია: აივერსონი (20), კუკოჩი (20), ლინჩი (19 ქულა, 10 მოხსნა)
ვანკუვერი: ჰარინგტონი (20), აბდულ-რაჰიმი (17)

**ვაშინგტონი 118:113 ნიუ იორკი**

(ძირითადი დრო 102:102)

ვაშინგტონი: რიჩმონდი (32), ჰოვარდი (29)
ნიუ იორკი: სპრიუელი (33), იუინგი (23 ქულა, 16 მოხსნა), ჰიუსტონი (23)

**დეტროიტი 130:116 დენვერი**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (40), ჰილი (27 ქულა, 10 პასი)
დენვერი: მაკდაიესი (29), ვან ექსელი (19 ქულა, 10 პასი)

**ორლანდო 103:67 ჩიკაგო**

ორლანდო: არმსტრონგი (17)
ჩიკაგო: კარი (13)

**კლიპერსი 94:95 ტორონტო**

კლიპერსი: ანდერსონი (21), ნესბი (21), ოდომი (16 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი)
ტორონტო: კარტერი (23), კრისტი (18)

**საკრამენტო 105:92 შარლოტი**

საკრამენტო: დივაცი (27 ქულა, 11 მოხსნა), ვებერი (22)
შარლოტი: ვესლი (21), კემპბელი (15 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება)

**ნიუ ჯერსი 115:102 პორტლენდი**

ნიუ ჯერსი: მარბერი (24 ქულა, 13 პასი, 7 მოხსნა)
პორტლენდი: ვოლესი (19), საბონისი (16)



კლიპერსი — ტორონტო. ჩრდილოელთა სიხარულის ზვავმა ვინს კარტერი ქვეშ მოიყოლა

ნუთუ ეს ის „პორტლენდია" რომელსაც ჩემპიონობა უნდა? — კითხულობდნენ „ნიუ ჯერსი" — „პორტლენდის" შეხვედრის დროს მასპინძელთა გულშემატკივრები — თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენი უფრო გვეკუთვნის პირველობა.

აბა, რომელი გუნდის ქომაგი იტყოდა ჩემპიონობაზე უარს, მაგრამ საქმე ისაა, ვის რისი შნო აქვს... „ნიუ ჯერსი" სულაც არ განეკუთვნება გრანდებს. უფრო მეტიც, თუ სასწაული არ მოხდა, პლეი ოფშიც ვერ მოხვდება, უცებ კი „ნეთსმა" ჩემპიონობის ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატთან გამოაჩინა ბრჭყალები და ვარსკვლავებით გადაჭედილი მეტოქე ბეჭებზე გააკრა. წინა დღით შინ „ტორონტოს" მიერ 19 ქულით ძლეული „ბლეიზერსი" ორ დღეში მეორედ შერცხვა. თან ისეთ მეტოქესთან, რომელიც აღმოსავლეთში მხოლოდ მეთორმეტე ადგილზეა და დიდი დიდი კიდევ ორი საფეხურით წაიწიოს.

„ნიუ ჯერსიზე" ძვირად ითქმის, არაფრის მაქნისი გუნდიაო. მართალია, „ბადეებმა" სეზონი საზიზღრად დაიწყეს — საწყისი 15 შეხვედრიდან 13 დათმეს, მაგრამ შემდეგ რაც ითამაშეს, ნახევარში გამარჯვებულები გამოვიდნენ. თან „პორტლენდთან" დამაჯერებელი მოგებით მიმდინარე სეზონში ბევრმა როდი გაიხარა. „რა უნდა ვთქვა, ზედიზედ ორი სამარცხვინო მარცხი ვიგემეთ. სრულყოფილებამდე ბევრი რომ გვიკლია, ამ ორმა მატჩმაც ცხადყო. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს და კარგი იქნება, თუ პრობლემებს პლეი ოფის დაწყებამდე მოვაგვარებთ" — „პორტლენდის" მთავარმა მწვრთნელმა მაიკ დანლივიმ კიდევ ბევრი ისაუბრა გუნდში არსებულ ხარვეზებზე და ისიც არ დაუმალავს, რომ „ბლეიზერსი" ხშირად ფსიქოლოგიურად ვერაა სათანადო დონეზე.

მეტოქეების ზემოდან ყურებამ უკვე მოიტანა თავისი შედეგი. დღეს „პორტლენდს" სანანებელი გახდომია, რომ „ნიუ ჯერსი" ვერ შეაფასა ჯეროვნად. „იმედი მაქვს ბიჭები გაითვალისწინებენ ამას და მომდევნო მატჩში „ინდიანასთან" მობილიზებულები გამოვლენ, სხვაგვარად გამარჯვებაზე ვერც ვიფიქრებთ, „ინდიანას" შინ ზედიზედ 24 თამაში არ წაუგია" — დასძინა მთავარმა მწვრთნელმა.

და მართლაც, პორტლენდელები „ნიუ ჯერსისთან" მატჩზე ისე გამოვიდნენ, თითქოს ვარჯიშზე ყოფილიყვნენ. იფიქრეს, ამათ ჩვენ რა უნდა დაგვაკლონო. დაარხეინებულ სტუმრებს მასპინძლებმა მთელი სერიოზულობით შეუტიეს და კიდეც დაფასდა მათი მონდომება — თვით „პორტლენდი". გააგორეს. მათი გამარჯვების სულისჩამდგმელი კი გამთამაშებელი სტივენ მარბერი გამოდგა. მისმა თავგამოდებამ თანაგუნდელებიც აიყოლია და მის გარდა კიდევ ოთხმა მასპინძელმა მოაგროვა ათ ქულაზე მეტი. იმდენად თვალსაჩინო იყო მათი უპირატესობა, რომ, თუ საწყის წუთებს არ ჩავთვლით, „პორტლენდი" მუდმივად მდევრის როლში მოგვევლინა. „ნიუ ჯერსი" პირველი მეოთხედის შემდეგ 30:25 იგებდა, მეორეს შემდეგ სხვაობამ უკვე 14 ქულას უწია — 61:47, მესამე მეოთხედის მიწურულს კი მრისხანე „ბლეიზერსი" უკვე 24 ქულას აგებდა — 94:70.

8 მარტს კიდევ ერთი მოულოდნელობა დაფიქსირდა. „ვაშინგტონ ვიზარდსმა" შინ ძლივსძლიობით, მაგრამ მაინც დასცა თანადივიზიონელი „ნიუ იორკ ნიქსი". თუ ზემძლავრი „პორტლენდი" ორ თამაშს აგებს ზედიზედ, მაშინ რატომ არ შეიძლება „ვაშინგტონმა" მიყოლებით ორჯერ იმარჯვოს. სწორედ ზედიზედ მეორედ მოიგო „ვიზარდსმა", რაც 21 დეკემბრის შემდეგ არ მომხდარა.

თვითონ თამაში უკიდურესად დაძაბული გამოდგა. მასპინძელთა ჰოვარდ-რიჩმონდ-სტრიკლენდის სამეული



საკრამენტო — შარლოტი. საკრამენტოელ ჯეისონ ვილიამსს (№55) ენტონი მეისონი (მარჯვნივ) და ედი ჯონსი უფარებენ

ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა სტუმართა სპრიუელ-ჰიუსტონ-იუინგის ტრიოს. „ჯადოქრებს" გულში ამოეჭრათ ნიუიორკელთა დამარცხება და ამისთვის არაფერს იშურებდნენ. ცხადია, ჯაბანი არც „ნიქსია" და ბრძოლაც გაიმართა. ბოლო მეოთხედში მასპინძლები ექვსქულიან უპირატესობას ფლობდნენ. „ნიუ იორკმა" გაიჭირვა და პატრიკ იუინგის თავგამოდების წყალობით შეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ აქვე დიდი დანაკლისი განიცადა. იუინგმა მთელი 43 წუთი შეუცვლელად ჩაატარა და იქნებ მისმა ამგვარმა ექსპლუატაციამ დაღუპა სტუმრები. გადაღლილი მოხუცი პატრიკი დაცვაში ველარ ვარგოდა და ბოლო მეოთხედის შუაწელს ორი პერსონალური მიიღო. აქედან მეორე მისთვის მთლიანობაში მეექვსე იყო და თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე „ნიუ იორკი" ფაქტობრივად უცენტროდ დარჩა. მართალია, „ვაშინგტონს" არა ჰყავს ხეირიანი ცენტრი, მაგრამ იუინგის არყოფნა მაინც დაეტყოთ სტუმრებს. ბობოქრობდა რიჩმონდი, რომელმაც თავისი სოლიდური 32-ქულიანი მონაგარიდან ზუსტად ნახევარი პირველ მეოთხედში ჩააგდო და რვა ქულაც ბოლო თორმეტწუთეულში მიითვალა. მაგრამ მისმა თავგამოდებამ მხოლოდ ის მოიტანა, რომ თამაში ოვერტაიმში გადავიდა. აქ ჯუონ ჰოვარდის ჯერიც დადგა. მან ზედიზედ სამჯერ დაასრულა თავისიანთა შეტევა წარმატებით, ჯერ რიჩმონდმა, მერე კი სტრიკლენდმაც ივარგეს და დედაქალაქელები ოვარტაიმის მეოთხე წუთისთვის 112:109 დაწინაურდნენ. ამის შემდეგ ახლოსაც აღარ გაიკარეს სტუმრები. „მეტად მნიშვნელოვან გამარჯვებას მივაღწიეთ. ჩვენ კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეგვიძლია. მთავარია, მოვინდომოთ და გულიანად ვითამაშოთ — ამბობდა დედაქალაქელთა ახალგაზრდა თავკაცი დარელ უოლკერი — რაც შეეხება ჩემი გუნდის ლიდერთა სამეულს, მიმაჩნია, რომ თუ მათ იზარმაცეს, ნებისმიერი გაგვაპანღურებს. ასჯერ მითქვამს, როდის, მიჩის და ჯუონის თამაშის ხარისხს უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ. სხვა თუ არაფერი, მათი თავგამოდება სამაგალითოა ახალგაზრდებისთვის."

ატლანტიკის დივიზიონელ სუსტებს იმ დღეს ნამდვილად იღბლიანი დღე ჰქონდათ. „ნიუ ჯერსსა" და „ვაშინგტონთან" ერთად „ბოსტონმაც" იმარჯვა და პლეი ოფისთვის მებრძოლი „მილუოკი" კიდევ უფრო დააქვეითა. „ბოსტონს" თავისი მეტოქის ჯინი სჭირდა. ამას წინათ „მილუოკისთან" შეხვედრაში ბოსტონელები 21 ქულის სხვაობით იგებდნენ და მერე ის თამაში 114:112 წააგეს. ამჯერად „ბოსტონმა" თავისი გამარჯვება ეჭვქვეშ არ დააყენა და ლიდერ ანტუან უოლკერის შესანიშნავი თამაშის წყალობით საკმაოდ იოლად მოუგო. უოლკერმა 30 ქულით, 19 მოხსნით (სეზონში ყველაზე მეტი) და 10 პასით მიმდინარე სეზონში თავისი პირველი, ოთხწლიან კარიერაში კი მეოთხე სამმაგი დუბლი შეასრულა. „ვფიქრობ, სრულიად გამოვავლინე ჩემი შესაძლებლობები — უოლკერი კმაყოფილებას არ მალავდა — ერთხელ 49 ქულა ჩავაგდე, მაგრამ ის შეხვედრა წავაგეთ. საერთოდ ეს ჩემი საუკეთესო თამაშია, რაც პროფესიონალი გავხდი."

„მილუოკის" დამარცხებით კარგად ისარგებლა „ორლანდომ" და მას გაუთანაბრდა, რაც შინ შავი დღე აყარა „ჩიკაგოს". თავიდან „ორლანდოს" პლეი ოფში მოხვედრის კანდიდატად არავინ თვლიდა, მაგრამ ეს ახლა უკვე რეალობად იქცა, თუმც „მეჯიქის" აღზევება მაინც ერთგვარი მოულოდნელობაა.

წარმატებული გამოდგა ჯორჯ ირვინის დებიუტი „დეტროიტის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ირვინს გაუმართლა, მეტოქედ ამ ხანებში ფორმიდან ამოვარდნილი „დენვერი" რომ შეხვდა. მაინც შთამბეჭდავია „დეტროიტის" მიერ მატჩში დაგროვილი 130 ქულა, რაშიც ლომის წილი თავისი (კარიერაში სარეკორდო) 40 ქულით ჯერი სტეკჰაუზმა დაიდო.

„ლოს ანჯელეს კლიპერსი" ლიგის ყველაზე სუსტი გუნდი კია, მაგრამ პერიოდულად მაინც ახერხებს, ვინმეს უჩხვლიტოს. ზოგჯერ კიდეც იგებს, თუმც სეზონის მეორე ნახევარში მისი წარმატებები უიშვიათეს მოვლენად იქცა. კალიფორნიელები თავდადებით შეებნენ ყინვიანი კანადიდან ნასტუმრებ „ტორონტოს". მასპინძლები კარგად სარგებლობდნენ „რეპტორზის" ლიდერ ვინს კარტერის უგერგილო გარჯით და მესამე მეოთხედის მერე 75:69 იგებდნენ. იმედიც ჰქონდათ, იქნებ გავიმარჯვოთო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. კარტერმა რომ დაინახა, ჩემიანები უჩემოდ ვერ ხეირობენო, „კლიპერსთან" მარცხი ითაკილა და ჩვეულად ათამაშდა. მან ბოლო თორმეტწუთეულში 14 ქულა მიითვალა, ამასთან საფინალო სირენასთან ერთად სამქულიანი ჩააგდო და მასპინძლებს, რომლებიც უკვე ულოცავდნენ ერთმანეთს გამარჯვებას, პირში ჩალა გამოავლო. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ კარტერი სიხარულით გაგიჟებულ თანაგუნდელებს ძლივს გადაურჩა.

**ირაკლი ფირაშვილი**

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| მაიამი | 37 | 23 | 61,6 |
| ნიუ იორკი | 36 | 24 | 60,0 |
| ფილადელფია | 34 | 25 | 57,6 |
| ორლანდო | 29 | 32 | 47,5 |
| ბოსტონი | 25 | 35 | 41,7 |
| ნიუ ჯერსი | 25 | 36 | 41,0 |
| ვაშინგტონი | 20 | 42 | 32,3 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 41 | 19 | 68,3 |
| ტორონტო | 35 | 25 | 58,3 |
| შარლოტი | 33 | 28 | 54,1 |
| დეტროიტი | 29 | 30 | 49,2 |
| მილუოკი | 29 | 32 | 47,5 |
| კლივლენდი | 25 | 35 | 41,7 |
| ატლანტა | 23 | 36 | 39,0 |
| ჩიკაგო | 13 | 47 | 21,7 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 39 | 20 | 66,1 |
| სან ანტონიო | 38 | 22 | 63,3 |
| მინესოტა | 35 | 25 | 58,3 |
| დენვერი | 26 | 34 | 43,3 |
| ჰიუსტონი | 24 | 36 | 40,0 |
| დალასი | 24 | 36 | 40,0 |
| ვანკუვერი | 18 | 43 | 29,5 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| ლეიკერსი | 50 | 11 | 81,9 |
| პორტლენდი | 46 | 14 | 76,7 |
| ფინიქსი | 39 | 21 | 65,0 |
| სიეტლი | 37 | 25 | 59,7 |
| საკრამენტო | 35 | 25 | 58,3 |
| გოლდენ სტეიტი | 16 | 43 | 27,1 |
| კლიპერსი | 12 | 49 | 19,7 |



ქართული კალათბურთის პატრონებს საფიქრალი არ ელევათ

# დებულება უმოწყალოა, ალმასკომი — მოწყალე

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომა გასულ კვირას უნდა გამართულიყო, მაგრამ ფედერაციის პრეზიდენტის, გოგი ქათამაძის ავადმყოფობის გამო გადაიდო და ახლაღა შედგა. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც „ცეკავშირმა" უმასპინძლა ქართულ საკალათბურთო ელიტას, რომელსაც შინაური კალათბურთის სადღეისო ყოფაზე უნდა ემსჯელა, განეხილა სხვადასხვა საკითხი და სათანადო გადაწყვეტილებები მიეღო.

დაინტერესებულ ჟურნალისტებს სხდომაზე დასწრების საშუალება არ მოგვეცა, რადგან ჩვენი კალათბურთის საფიხვნომ დახურულ კარს მიღმა სჯაბაასი ამჯობინა. ამიტომაც ზედმიწევნით ვერ მოგითხრობთ სხდომის მიმდინარეობაზე, თავადაც ხომ ალმასკომის წევრთა ნაუბარს დავჯერდით...

როგორც გაირკვა, შეკრების ძირითადი მიზეზი მეცხრე ეროვნული ჩემპიონატი ყოფილა. ალმასკომის წევრებსაც ძირითადად მიმდინარე გათამაშების თაობაზე და არსებული სიძნელეების აღმოფხვრაზე უთათბირიათ.

საკმაოდ მწვავედ დაისვა ჩემპიონატის დებიუტანტ „გორის" ყოფნა-არყოფნის საკითხი. ამ კლუბს გათამაშებიდან მოხსნის საფრთხე დაემუქრა, რადგან წლეულს უკვე სამი მატჩი გამოტოვა და შესაბამისად, სამჯერვე 0:20 წაგება ჩაეთვალა და 0 ქულა დაეწერა. შიდა ქართლის გუნდს ფულს ედავებოდნენ, ფულს, რომელიც, წესითა და რიგით, კალათბურთის ფედერაციას ეკუთვნის. საუბარია ჩემპიონატში სამონაწილეო თანხის გადახდაზე, რაც ნებისმიერ კლუბს ეკისრება. ბუნებრივია, საქმე აქამდე არ მივიდოდა, გორელებს ფედერაციის დავალიანება დროულად რომ დაეფარათ. თუმც მათ ეს ვერ მოახერხეს და შედეგად საკალათბურთო თემის სამსჯავროზე წარდგნენ.

ვერდიქტი, რომელიც ალმასკომმა ამ საკითხთან დაკავშირებით გამოიტანა, საკმაოდ ჰუმანურია — „გორს" თამაშის უფლება დართეს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ეს გადაწყვეტილება ალმასკომისავე დაკანონებულ ჩემპიონატის დებულებას ეწინააღმდეგება, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ გუნდი, რომელიც ზედიზედ ორ მატჩს გამოტოვებს, ავტომატურად მოიხსნება ჩემპიონატიდან.

ისე არ გაიგოთ, თითქოს „გორის" საწინააღმდეგო გვქონდეს რაიმე, უბრალოდ, გვსურს აღვნიშნოთ, რომ დებულება კვლავაც ფარატინა ფურცელია და მეტი არაფერი. ალმასკომი დარწმუნებულია თავისი გადაწყვეტილების სისწორეში და ყოველივეს იმით ასაბუთებს, რომ ქართული კალათბურთის „გეოგრაფიული მასშტაბების გასაფართოებლად" „გორმა" აუცილებლად უნდა ითამაშოს.

რაც შეეხება ფედერაციის კუთვნილ ფულს, ქართლელებმა დაარწმუნეს ალმასკომი, რომ ამ თანხას კაპიკ-კაპიკ მიიღებს ქართული კალათბურთის მმართველი ორგანო.

სხდომაზე გაიჟღერა რუსთავის „აზოტის" მოთამაშე მიხეილ ბერუაშვილის სახელმაც. დავა-კამათი იმაზე გაჩაღდა, თუ რამდენმატჩიანი დისკვალიფიკაცია უნდა აკმარონ მეთვრამეტე ტურში მსაჯ ზაზა მაჩალაძესთან შეხლა-შემოხლისთვის მოედნიდან გაძევებულ ბერუაშვილს. გამოითქვა აზრი, რუსთაველისთვის სეზონის ბოლომდე აეკრძალათ თამაში, რადგან ბერუაშვილს წინა ჩემპიონატის დროინდელი დანაშაულიც ზურგს უმძიმებდა, რის შედეგადაც მას პირობითი დისკვალიფიკაცია მიეცა. ალმასკომმა დაადგინა, რომ მაშინ ბერუაშვილს განუსაზღვრელი ვადით კი არ მიეცა დისკვალიფიკაცია, არამედ სეზონის ბოლომდე და წლეულს სასჯელი აღარაა ძალაში. ყოველივეს გათვალისწინებით კი აზოტელს ორი თამაშის გამოტოვება უბრძანეს და რაკი ეს ვადა უკვე ამოწურულია, ბერუაშვილს უახლოეს ტურში თსუ-სთან ასპარეზობის უფლებაც აქვს.

კიდევ ერთი საკითხი მოახლოებული ექვსეულის თამაშებსა და ჩემპიონატის შემდგომი მიმდინარეობის ფორმულას შეეხო. როგორც თავიდანვე ითქვა, რეგულარული ჩემპიონატის გასრულების შემდეგ პირველ-მეექვსე და მეშვიდე-მეთორმეტე ადგილებზე გასულები ორ წრედ ითამაშებენ ერთმანეთში. დადგინდა, რომ ეს შეხვედრები თბილისში, კერძოდ, ვერის ბაღში გაიმართება. აი, საპლეიოფო მატჩები კი (იგივე ნახევარფინალები) მიმოსვლით ჩატარდება. პირველადგილოსანი მეოთხეს შეხვდება, მეორე და მესამე ადგილოსნები კი ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. რაკი პლეიოფების გამართვა მიმოსვლით გადაწყდა, ალმასკომმა მიიჩნია, რომ გათამაშების ცხრილში უკეთეს ადგილზე მყოფ გუნდს გარკვეული პრივილეგია უნდა მიეცეს. ამაში, ცხადია, საკუთარი მოედნის ფაქტორი იგულისხმება.

ერთი სიტყვით, ითქვა, რომ სატურნირო ცხრილში უკეთეს პოზიციაზე მოკალათებული გუნდი პირველ ორ შეხვედრას სტუმრად გამართავს, მერე ამდენჯერვე შინ უმასპინძლებს მეტოქეს და თუ მეხუთე მატჩიც საჭირო გახდა (პლეი ოფში გუნდები სამ მოგებამდე ითამაშებენ), მასაც საკუთარ მოედანზე ითამაშებს. თუ ნახევარფინალური წყვილიდან ორივე დედაქალაქის გუნდი იქნება, ბუნებრივია, ორთაბრძოლები თბილისში გაიმართება. რაც შეეხება გადამწყვეტ, ფინალურ თამაშებს, ისინი ნებისმიერ შემთხვევაში თბილისში ჩატარდება და ისიც სამ გამარჯვებამდე.

ალმასკომის სხდომამ „ბასკო" — სდასუ-ს შეხვედრის გამართვის ზუსტი თარიღიც დააკანონა. მოგეხსენებათ, ბათუმის „ბასკო" ამჟამად თურქეთშია, სადაც ამხანაგურ მატჩებს მართავს. ამიტომაც ოცდამეერთე ტურის ეს შეხვედრა შაბათის ნაცვლად ორშაბათს ჩატარდება. თამაშის დაწყების დრო კი უცვლელი დარჩა, ბათუმში მატჩი დღის ორ საათზე დაიწყება.

**გიორგი ბიძაშვილი**

# ბასკომ პირველად წააგო. ბურსაში

თურქულ ტურნეში ბათუმის „ბასკოს" შემდეგი მეტოქეც ანკარის გუნდი და მეორე ლიგის ბინადარი გახლდათ. „მულქიემ" რეგულარული ჩემპიონატი მესამე ადგილზე დაასრულა და ორიოდ დღეში პირველ ლიგაში გადასასვლელ პლეი ოფში ჩაებმება.

„ბასკომ" შეხვედრა ხისტი დაცვით დაიწყო. მისი ზონური დაცვა გაუვალი იყო. ამის მაგალითად ის გამოდგება, რომ „მულქიემ" პირველი ქულები მეხუთე წუთზე მოიპოვა — ეროლლუმ სამქულიანი ჩააგდო. ამ დროს ბათუმის გუნდი 14:3 იგებდა. დაცვასთან ერთად „ბასკო" შეტევაშიც რიგიანად ირჯებოდა — სწრაფმა პირველმა შეტევებმა და სრაფმა გარღვევებმა არაერთი ქულა მოუტანა ქართველებს. შორი სროლებიც წაუვიდა „ბასკოს": მაისურაძემ ზედიზედ ორი, ხოლო ბეჟანიშვილმა ერთი სამქულიანი ჩააგდეს და მეათე წუთისთვის ანგარიში 27:9 გახდა.

„მულქიემ" პრესინგს მიმართა. არცთუ იოლად, მაგრამ „ბასკომ" მაინც მოახერხა მისი დარღვევა და უპირატესობა თუ ვერ გაზარდა, არც დაუკარგავს. ტაიმი ძალისმიერ თამაშში გაილია. მსაჯები ხისტი თამაშის საშუალებას აძლევდნენ გუნდებს, თუმცა ეს გამოკვეთილ უხეშობაში არ გადაზრდილა.

მეორე ნახევარში „მულქიემ" ფარის მისადგომები გაამაგრა, რითაც ვალერი კილაძეს ფარქვეშიდან შეტევა გაუჭირდა. ქართველმა ფორვარდ-ცენტრმა ორნავ გვერდზე გაიწია და საშუალო მანძილებიდან იწყო ქულების დაგროვება. ბეჟანიშვილმა ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო (სულ მატჩში — ხუთი) და დამთავრებამდე ათი წუთით ადრე ანგარიშში სხვაობამ 26 ქულას მიაღწია „ბასკოს" სასარგებლოდ (63:37). აღსანიშნავია, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ბათუმელებს დაცვაში ყურადღება არ მოუდუნებიათ.

„ბუიუქ კოლეჟთან" მატჩის შემდეგ, „ბასკოს" მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ თავისი გუნდის არასტაბილურობაზე დაიჩივლა. სამწუხაროდ, ამას ვერც „მულქიესთან" მატჩისას გადაურჩნენ ბათუმელები: საკმარისი იყო დაცვის ოდნავი შესუსტება, მოთამაშეების ოდნავ მოშვება და „მულქიემ" ორწუთიანი მონაკვეთი 12:0 მოიგო. „ბასკოს" თამაშის დალაგებისთვის გარკვეული დრო დასჭირდა, რომლის განმავლობაშიც ანკარელებმა სხვაობა 11 ქულამდე შეამცირეს (66:55). მერე კვლავ ამუშავდა ბათუმელთა დაცვის მანქანა და „მულქიეს" აღმაფრენაც ჩაცხრა. ბასკოელებმა ინდივიდუალური მოქმედებაც მოსინჯეს, რაც ხშირად აბრამიძისა და დავითულიანის წინააღმდეგ წესის დარღვევით მთავრდებოდა. პერსონალურებს ბათუმელებიც ბლომად იღებდნენ, რაც, ალბათ, დაღლილობას უნდა მივაწეროთ. აღსანიშნავია, რომ საჯარიმოებს ორივე გუნდი კარგად ასრულებდა, რამაც დაწინაურებული „ბასკოს" წისქვილზე დაასხა წყალი და ქართველმა კალათბურთელებმა 77:65 მოიგეს მეორე საკონტროლო მატჩიც, რომელიც ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს: მაისურაძე (8), აბრამიძე (13), დავითულიანი (8), ბეჟანიშვილი (24), ვ. კილაძე (22), კეშელავა, ბაქრაძე (2), კვაჭაძე, ბერია, ა. კილაძე

ამით „ბასკო" ანკარაში თამაშს მორჩა და ბურსაში გადაინაცვლა. მისი მომდევნო მეტოქე თურქეთის პირველი ლიგის გუნდი „ოიაქ რენო" იყო, რომელთანაც წუხელ 70:87 დამარცხდა.

**მერაბ რატიშვილი ანკარიდან**

## ევროლიგა. მერვედფინალი (ორ მოგებამდე)

გადამწყვეტი მატჩები. 9 მარტი

| | |
|---|---|
| *ბარსელონა* | 2 |
| ულქერი | 1 |

ბარსელონა 86:65 ულქერი

| | |
|---|---|
| ცსკა | 1 |
| *ციბონა* | 2 |

ცსკა 69:78 ციბონა

| | |
|---|---|
| *მაკაბი* | 2 |
| პაოკ | 1 |

მაკაბი 78:62 პაოკ

| | |
|---|---|
| *ოლიმპია* | 2 |
| ოლიმპიაკოსი | 1 |

ოლიმპია 85:67 ოლიმპიაკოსი

| | |
|---|---|
| *პანათინაიკოსი* | 2 |
| ბუდუჩნოსტი | 1 |

პანათინაიკოსი 78:61 ბუდუჩნოსტი

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ მეოთხედფინალში*



ოლიმპია — ოლიმპიაკოსი 85:67. ოლიმპიელ მარკო მილიჩს (თეთრ ფორმაში) დრაგან ტარლაჩმა ხელი ვერ შეუშალა

## საპორტას თასი

მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. 7-8 მარტი

პორტუ (პორტუგალია) — *ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა)* 87:77 (73:93)

პორტუ: მორეირა (5), პინტუ (13), გრანტი (13), ლოურენსო, მილერი (17), მირანდა (4), პედრერა (9), პერდიგაო (17), როჩა (9)

ლიეტუვოს რიტასი: აიდიეტისი (2), ელიოტი (8), გუდრაიტისი (32), კაზლაუსკასი (5), ოკუნსკი (12), შიშკაუსკასი (18)

*ზადარი (ხორვატია)* — ცეპტერი (პოლონეთი) 69:64 (63:56)

ზადარი: ერცეგოვიჩი (8), კომაზეცი (16), კრუნიჩი (10), პერინჩიჩი (7), რაჯა (15), ი. რუჟიჩი (1), ტ. რუჟიჩი (12)

ცეპტერი: გრეგოვი (2), მაკნაული (8), ობონინი (6), შტელმახერსი (6), შიბილსკი (11), ვოიჩიკი (20), ზელინსკი (11)

პამესა (ესპანეთი) — *კინდერი (იტალია)* 78:59 (61:85)

პამესა: გარსია (5), გრასია, ალვარესი (11), ბერდი (12), ჰოპკინსი (11), ლუენგო (2), მალუენდა (14), მარკოვიჩი (2), როდილია (21)

კინდერი: აბიო (10), დ. ანდერსენი (2), მ. ანდერსენი, ბინელი (8), დანილოვიჩი (21), ეკონომუ (11), რიგოდო (2), შტომბერგასი (5)

ირაკლისი (საბერძნეთი) — *აეკ (საბერძნეთი)* 73:70 (73:84)

ირაკლისი: ხაძივრეტასი (14), დიამანტიდისი, დინკინსი (13), ელისი (2), ჰუპმანი (2), ჯონსონი (30), მარკოპულოსი (5), პაპანდოპულოსი (8), საუერი

აეკ: ბოუი (11), ხაცისი (4), ჰანსელი, კაკიუზისი (6), კორონიოსი (24), მიურსეპი (6), დიკუდისი (4), ოსალივანი (2), ცაკალიდისი (13)

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ ნახევარფინალში შეხვედრები გაიმართება 21 და 28 მარტს*

## კორაჩის თასი

ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები. 8 მარტი

*ლიმოჟი (საფრანგეთი)* — ხირონა (ესპანეთი) 69:57 (77:77)

ლიმოჟი: ბონატო (12), ბრაუნი (21), დიუმა, ფრიგუ (8), ჰემი (6), მეტელი (4), ვეესი (6), ვილიამსი (12)

ხირონა: ჯონსონი (2), კუისმა (3), ლასო, მიდლტონი (18), მორაგა (10), სანჩესი (4), სტიუარტი (20)

ესტუდიანტესი (ესპანეთი) — *უნიკახა (ესპანეთი)* 53:47 (72:85)

ესტუდიანტესი: აიშა (8), აზოფრა, გარსია, ხიმენესი (10), მარტინესი (10), რეიესი (7), რობლესი (6), ტომპსონი (5), ვანდივერი (7)

უნიკახა: ფერნანდესი, ჟომინი (15), კორალი (2), მარკაჩინი, მრშიჩი (14), კონსეისაო (1), ორენგა (6), პეტრუშკა (2), სალიერი (7)

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ ფინალში შეხვედრები გაიმართება 22 და 29 მარტს*

## რა განსხვავებაა გაზეთ „სარბიელსა“ და ჟურნალ „სარბიელს“ შორის?

- გაზეთი „სარბიელი“ თითქმის ათი წელიწადია რაც გამოდის, ჟურნალ „სარბიელს“ კი მკითხველი ორშაბათიდან გაეცნობა.
- გაზეთი „სარბიელი“ კვირაში ხუთჯერ მიდის მკითხველთან, ჟურნალი „სარბიელი“ თვეში ერთხელ მივა.
- გაზეთი „სარბიელი“ შავ-თეთრია, ჟურნალი „სარბიელი“ — ფერადი.
- და რა არის საერთო გაზეთ „სარბიელსა“ და ჟურნალ „სარბიელს“ შორის?

**ორივე სარბიელია**






## ქუდში რა ყრია

უკრაინელი მძიმეწონოსანი მოკრივე ვიტალი კლიჩკო ცდილობს დაამტკიცოს, რომ კუნთების გარდა თავიც არანაკლები აბია. კლიჩკო, რომელიც 1 აპრილს ერთ დროს სახელოვან კანადელ დონოვან რადოკს უნდა გაეჯიბროს, გერმანელი ფოტოგრაფების თვალწინ კიევის უნივერსიტეტის მიერ ბოძებული დოქტორის ქუდით იწონებს თავს. უცხოელები იქნებ კიდეც მოტყუვდნენ, მაგრამ მეტად საეჭვოა, მის მისაღებად მოკრივეს ტვინის დიდად გაქანება დასჭირვებოდა.

## არწივი ნახეს...



ედ ბელფორი არა მცველთა, არამედ წესრიგის დამცველთა გარემოცვაში

რამ გადარია ეს ჰოკეისტები. ბოსტონელ მარტი მაკსორლის საქციელთან დაკავშირებული ვნებათაღელვა ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა და ახალი დაიწყო. ამ ინციდენტის მთავარი გმირი დალასის მეკარე ედ ბელფორია. გუნდის შარშანდელი ტრიუმფის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ოთხშაბათ ღამით დალასის მაღალი კლასის რესტორანს უცხო ქალბატონთან ერთად ეწვია საკმაოდ შეზარხოშებული. მერე მას სასტუმროს ნომრამდე დაცვის დახმარებით მიუღწევია. მალე ქალმა პოლიციას მიმართა თხოვნით, სასტუმროდან ტაქსის გაჩერებამდე მიეცილებინათ, რადგან ბელფორის შეეშინდა. როცა პოლიციელებმა ქალი მანქანაში ჩასვეს, გაცხარებული ბელფორიც გამოჩნდა. დაცვის მცდელობამ, იგი როგორმე შეეჩერებინათ, „არწივი ედი“ კიდევ უფრო განარისხა. მან ერთ-ერთ პოლიციელს პიჯაკზე სტაცა ხელი და კედელს მიანარცხა, მერე კი ილლიაში ამოიჩარა. კიდევ კარგი, სხვები მიეხმარნენ კოლეგას, თორემ იქნებ დაეხრჩო კიდეც. პოლიციის ადგილობრივ განყოფილებაში ბელფორი 6 საათს აყურყუტეს, მერე კი 500 დოლარი გირაო გადაახდევინეს და გაათავისუფლეს. ახლა მან იმაზე უნდა ილოცოს, სასამართლოში არ გამოიძახონ და საქმე მხოლოდ გუნდის სანქციებით დასრულდეს. ჯერჯერობით „არწივმა“ მორიგი მატჩი გამოტოვა და ავტომატურად ხელფასიც გამოექვითა.

REUTERS მასალებიდან



## პოლიცია ოფლს ღვრის

ფილიპინებზე პოლიცია ყოფილა, მტერს და აჯს. საშინლად კორუმპირებული, მოსახლეობის მტანჯველი და მშრომელ კაცზე წიხლის დამჭერი. დასუქებულან ფილიპინელი პოლიციელები ქრთამით და დაუდიათ ღიპები. და მთავრობა რასა იქმს? გულხელდაკრეფილი არა ბრძანდება: საგანგებო პროგრამა შეუდგენია პოლიციის ზნეობის, იერისა და შესაბამისად იმიჯის გამოსასწორებლად. ამიტომ, სულ მალე ფილიპინებზე ვეღარ ნახავთ ღიპიან და სქელუა პოლიციის ოფიცერს. ვინც წონაში ვერ დაიკლებს, სამსახურიდან დაითხოვენ. ექვს თვეში პოლიციის ოფიცრის წელის გარშემოწერილობა 34 ინჩს არ უნდა გასცდეს.

ნახეთ, როგორ ვარჯიშობენ.

## კვახაობა

ესპანეთის პატარა სოფელ ვილანევა დე ლა ვერაში წარმართული დროებიდან შემორჩენილა პეპორელოს დღეობა, ანუ ეგრეთ წოდებული კვახაობა. კვახაობა იმგვარი დღეობაა, რომ ხუთი დღის განმავლობაში ვლეხკაცობა გაილეშება და მერე კვახებს ესვრის ერთმანეთს. კვახი კი ბევრი მოდის ამ სოფელში.




**სარბიელი**

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli